

**არაქელ ღაჭიჩიშვილის ცნობები საქართველოს
უესსსებ**

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XXXII

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ
О ГРУЗИИ
FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ АРАКЕЛА ДАВРИЖЕЦИ
О ГРУЗИИ

Перевод, предисловие и комментарии К. К. Куция

**EXCERPTA HISTORIAE AD GEORGIA PERTINENTIA ARAKEL
DAVRIGECI**

Versione georgica, introductione commentariisque instruxit
К. КУЦИЯ

ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА» —
SEM TIBUS ACADEMIAE SCIENTIARUM GEORGIAE
ТБИЛИСИ — 1974 — TBILISSIS

საქართველოს სსრ მემცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

არაქელ დავრიშვიცის ცნობები საქართველოს შესახებ

თარგმანი, შესავალი და კომენტარები პარლო კუტინასი



გამომცემლობა „მემცნიერება“

თბილისი — 1974

9(C41)
9(47.922) (00)
577

არაქელ დავრიყეცის (თავრიზელის) „ისტორიაში“ დაცულია საყურადღებო ცნობები XVII საუკ. პირველი ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ვითარების შესახებ; ვრცლად აღწერილი ქართველი ხალხის ბრძოლა სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ. წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია არაქელ დავრიყეცის თხზულებიდან ამოკრებილი ცნობები საქართველოს შესახებ და მათი კომენტარი.

მთავარი რედაქცია: რ. კიკნაძე, ნ. ჯანაშია
ს. ყაუხჩიშვილი, გ. შერეთელი (მთავარი რედაქტორი),
ს. ჯიქია

სომხური წყაროების სერიის რედაქტორი ნ. ჯანაშია

შესავალი

შუა საუკუნეების სომხური ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია არაქელ დავრიყეცი.

ერთადერთ წყაროს, რომელშიც შემონახულია ცნობები არაქელის ბიოგრაფიისათვის, წარმოადგენს მისივე თხზულება „ისტორიათა წიგნი“ (*ყასამაყჩუქ*) ანუ უბრალოდ „ისტორია“ (*ყასამაქჩუნ*), რომლის 56-ე თავში მოკლედაა მოთხრობილი არაქელის ნაწარმოების შედგენის ისტორია.

ირკვევა, რომ ისტორიკოსი დაიბადა დაახლოებით XVI საუკუნის დამლევს სამხრეთ აზერბაიჯანის სატახტო ქალაქ თავრიზში, რომელსაც სომხები „დავრეეს“ (*Դավրէժ*) უწოდებდნენ (შდრ. ძველქართ. „თავრეჟი“). აქედან წარმოსდგა არაქელის ზედსახელიც „დავრიყეცი“, რაც „თავრიზელს“ ნიშნავს.

მომავალი ისტორიკოსი ბავშვობიდანვე სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის საკათალიკოსო ცენტრში — ეჩმიაწინში იზრდებოდა. აქ შეისწავლა მან წერა-კითხვა. გაეცნო თეოლოგიურ ლიტერატურას და აქვე მიიღო ვარდაპეტის (მოდღვარის) წოდება. არაქელ დავრიყეცი თითქმის გამოუსვლელად ცხოვრობდა ეჩმიაწინში. ერთადერთ გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ 1645 წელი, როდესაც იგი ეჩმიაწინის სხვა ვარდაპეტებთან ერთად სომხური ეკლესიის საქმეების მოსაგვარებლად გაემგზავრა მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში. აღნიშნული მგზავრობის დროს არაქელმა ისფაჰანიც მოინახულა.

არაქელ დავრიყეცი გარდაიცვალა 1670 წელს და დასაფლავებულია ეჩმიაწინში, საკათალიკოსო ტაძრის მახლობლად.

არაქელს თავისი საისტორიო ნაწარმოების შედგენა დაუწყია 1651 წელს კათალიკოს ფილიპოს აღბაკეცის (1633—1655) ბრძანებით. შაგრამ ფილიპოსის გარდაცვალების წელსვე (1655) არაქელს შეუწყვეტია „ეს სულის მომქანცველი“ შრომა და მხოლოდ 1658 წელს, ახალი კათალიკოსის ჰაკოფ ჯუღაეცის (1655—1680) განკარგულებით გაუგრძელებია მუშაობა თავის საისტორიო ნაწარმოებზე, რომელიც მან 1662 წელს დაასრულა.

არაქელ დავრიყეცის „ისტორია“ მოიცავს სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების (ირანი, თურქეთი, შირვან-ყარაბაღი, საქართველო) პოლიტიკური და ნაწილობრივ ეკონომიური ხასიათის ცნობებს. თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო თავსდება 1602—1662 წლების ფარგლებში. ისტორიკოსი უმთავრესად ეყრდნობა თავისი თვალით ნანახს და ყურით მოსმენილს. არაქელის ინფორმატორებს შორის იყვნენ როგორც „ქრისტიანები, ისე სხვა ხალხების“ წარმომადგენლებიც, რომელთა ნაამბობს იგი ერთმანეთს უღარებდა, კრიტიკულად განიხილავდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეჰქონდა თავის თხზულებაში. თვითონ ისტორიკოსი ვვატყობინებს, რომ „ქეშმარიტების დადგენისათვის მას ათჯერ და უფრო მეტჯერაც“ მოუხდა თავისი „ისტორიის“ გადაწერა. ამრიგად, არაქელ დავრიყეცი აღწერილი ამბების თანადამხდურად გვევლინება. მაგრამ XVI საუკუნის დამლევისა და XVII საუკუნის დამდეგის მოვლენების გადმოცემისას არაქელი, როგორც ჩანს, სარგებლობდა წინარე ხანის ისტორიკოსთა თხზულებებითაც, კერძოდ, ამაზე, უნდა მიუთითებდეს ის გარემოებაც. რომ არაქელ დავრიყეცს მიუტკვლევია და თავის საისტორიო ნაწარმოებში (54-ე თავი) შეუტანია XVI საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ავტორის ჰოვჰანეს წარეცის მცირე საისტორიო ნაწარმოები „აღვანთა ქვეყნის ისტორია“ (*պատմութիւն Աղուսանից աշխարհին*), რომელიც 1590 წელს იქნა დასრულებული.

არაქელ დავრიყეცის ყურადღების ცენტრშია სეფიანთა სახელმწიფოს და თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობა და ამ ურთიერთობის შედეგად სომხეთსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება. ისტორიკოსი ვრცლად აღწერს ჯელაღების თარეშს სომხეთში, შაჰ აბას 1-ის (1587—1629) ბრძოლას ერევნის ციხისათვის (1603—1604), სპარსელთა ლაშქრის მიერ სომხეთის დარბევას და მოსახლეობის ირანში წაყვანას. საგანგებო თავი ეთმობა თხზულებაში ე. წ. „დიდ სურგუნს“ (*մեծ սրկուն*) ანუ „დიდ გადასახლებას“, რომელიც გულისხმობს 1605 წელს შაჰ აბასის მიერ მდიდარი სომეხი ვაჭრებით დასახლებულ ქალაქ არეზის ჯუღის დანგრევად და მისი მცხოვრებლების ირანში გადასახლებას. სხვათა შორის, არაქელ დავრიყეცის შესანიშნავად ესმის შაჰ აბასის პოლიტიკის არსი. იგი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიიდან ტყვეების გაყვანა ირანში და მათი იქ დასახლება, ერთის მხრივ, მიზნად ისახავდა სომხეთ-საქართველოს ეკონომიურად დასუსტებას, ამ ქვეყნების სამხედრო პოტენციალის დაქვეითებას, ხოლო მეორე მხრივ — საკუთრივ სპარსეთის სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობა-ვაჭრობის აღმავლობა-განვითარებას.

გარდა ზემონათქვამისა, ისტორიკოსი დიდ ყურადღებას უთმობს სომხურ ქრისტიანულ-გრიგორიანული ეკლესიის მდგომარეობის გადმოცემასაც. თხზულების ბოლოს მოცემულია სომხეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიული მოვლენების ვრცელი ქრონოლოგია. რომელიც იწყება სომხური წელთაღრიცხვით 10 წელს (561 წ.) და სრულდება 1113 წელს (1664 წ.).

არაქელ დავრიყეცის „ისტორიაში“ უხვადაა მოტანილი ცნობები საქართველოს, კონკრეტულად კი ქართლისა და კახეთის სამეფოების შესახებ. თავისი საისტორიო ნაწარმოების მე-9, 10, 11 და 12 თავებს არაქელი საგანგებოდ უთმობს საქართველოს და ვრცლად აღწერს იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ქართლ-კახეთში შაჰ აბასის დაპყრობითი ომების შედეგად. გარდა ამისა, საქართველოს შესახებ ცნობები დამოწმებულია აგრეთვე „ისტორიათა წიგნის“ სხვა ნაწილებშიც.

ისტორიკოსის რწმენით, შაჰ აბასის ძირითად მიზანს საქართველოში წარმოადგენდა შუღლის ჩამოგდება ქართველ მეფე-მთავართა შორის, მათი დასუსტება და ქვეყნის საბოლოოდ დამორჩილება. ამ თვალსაზრისით აღწერს ისტორიკოსი ირანის შაჰის ურთიერთობას კახეთისა და ქართლის მეფეებთან (ალექსანდრე II, გიორგი X, თეიმურაზ I, ლუარსაბ II...), საყურადღებო ცნობები აქვს დაცული არაქელ დავრიყეცის აგრეთვე გიორგი სააკაძის შესახებაც, რომელსაც იგი მოურავის (*მარქაჟი*) სახელით იცნობს. ცალკე თავში მოგვითხრობს ისტორიკოსი თეიმურაზ I-ის დედის, კახეთის დედოფალ ქეთევანის წამებას შირაზში.

არაქელ დავრიყეცი უდიდეს სიმპათიას იჩენს საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ და გულსიტკივილით აღნიშნავს, რომ სპარსელთა თარეშის შედეგად აოხრდა და გაუკაცრიელდა მდიდარი და აყვავებული ქართლ-კახეთი. მაგ., შაჰ აბასის ლაშქრის მიერ კახეთის დარბევის აღწერისას არაქელი გადმოგვცემს: „როგორც ვთქვი, [სპარსელებმა] ორმოცდაათი დღე დაჰყვეს კახეთში. არ დარჩენილა სიმაგრე, რომ არ აეღოთ; ან ადგილი, რომ არ აეოხრებინათ; სრულიად იავარპყვეს და წაბილწეს ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთისა და გრემის ქვეყანა“.

როგორც ჩანს, არაქელი შესანიშნავად იცნობდა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ისტორიკოსის ინფორმატორებს შორის ისეთი პირებიც იყვნენ, რომელთაც საკუთარი თვლით ჰქონდათ ნანახი საქართველოში მომხდარი ამბები. გამორიცხული არაა, რომ ზოგიერთი ცნობა არაქელმა ქართველებიგანაც შეიტყო. ამას გვაფიქრებინებს თუნდაც ის გარემოება,

რომ ისტორიკოსი საქართველოში მომხდარი მოვლენების აღწერისას ზოგჯერ ქართულ სიტყვებსაც ხმარობს (მაგ., *ყიხსნი* (გლეხი), *ჩიქროქ* (მოურავი), *ჩხიჩხაქ* (დედოფალი) და სხვ.).

არაქელ დავრიყეცის „ისტორიაში“ მოტანილი ცნობები, უეჭველად, ნდობას იმსახურებენ, რადგანაც ისინი დადასტურებენ პოულობენ როგორც ქართულ (ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“, თეიმურაზის „წამება ქეთევან დედოფლისა“, ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“), ისე სპარსულ (ისქანდერ მუნშის „ქვეყნის დამამშვენებლის აბასის ისტორია“) წყაროებში. ამავე დროს სომეხ ისტორიკოსს მოაქვს ორიგინალური ხასიათის ცნობებიც.

ერთი სიტყვით, არაქელ დავრიყეცის „ისტორიას“ საქართველოს შესახებ მასალის სიუხვის, ისტორიული მოვლენების ობიექტურად გაშუქებისა და ქრონოლოგიის სიზუსტის თვალსაზრისით ვერ შეედრება XVII—XVIII საუკუნეების ვერც ერთი სხვა სომხური საისტორიო ნაწარმოები. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია წინამდებარე გამოცემის განხორციელების საჭიროება.

არაქელ დავრიყეცის „ისტორიის“ რამდენიმე გამოცემა არსებობს. პირველად გამოიცა 1669 წელს ქალაქ ამსტერდამში. ამას მოჰყვა ვადარშაპატის 1884 და 1896 წლების გამოცემები.

ჩვენ თარგმანს საფუძვლად დაედო 1896 წლის სომხური გამოცემა¹. არაქელ დავრიყეცის საისტორიო ნაწარმოების სრული ტექსტი ორჯერაა თარგმნილი. მისი ფრანგული თარგმანი ეკუთვნის აკად. მ. ბროსეს², ხოლო რუსული — ლ. ა. ხანლარიანს³.

თხზულების რამდენიმე ფრაგმენტის ქართული თარგმანი 1885 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ (მთარგმნელი მდივანოვი).

¹ Պատմիկսն Առաքել Կարգապետի Դարձիքնիւ, Վսղարչսպատ, 1896.

² Livre d'histoires par vartabed Arakel de Tauriz, Collection d'historiens arméniens, traduits par M. Brosset, t. I, SPb., 1874.

³ Араке л Даври же ц и, Книга историй, Перевод с армянского, предисловіе и комментарий Л. А. Ханларян, Москва, 1973.

ქალაქების განჯისა და შემახას ალმის შესახებ

სარდალ ჯღალოლის¹ მეორედ მოსვლისა და უკან გაბრუნების დროს, როდესაც იგი სოფიანეში² მოვიდა და შეებრძოლა სპარსელებს, დამარცხებული დაბრუნდა ჰამიდში და იქ მოკვდა. სპარსეთის ხელმწიფე შაჰ აბასი მთელი თავისი ჯარით იმ ზამთარს ქალაქ თავრიზში იდგა, მაგრამ როგორც კი დაბერა სამხრეთის ქარმა. გაზაფხულის უამს შეყარა მან თავისი ლაშქარი და ოსმალებს წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელნიც ჯერ კიდევ ქალაქ განძაკში ანუ განჯაში იდგნენ. ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვით 1055 წელს³. იქ მისვლისთანავე ციხეს ალყა შემოარტყა და გარემოიკვა იგი. მან თავისი ძლიერებით დაიმორჩილა მთელი ქვეყანა და მშვიდობიანად ეპყრა იგი. მან უბრძანა თავის ჯარს, რომ არავინ შეეწუხებინათ და შეევიწროებინათ ქვეყნის მკვიდრთაგან. ამ ქვეყანაში უხვად იყო მათთვის საჭირო ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე, როგორც ადამიანებისათვის, ისე პირუტყვისათვის.

თვით შაჰის მთელი ყურადღება საომარი მოქმედებისადმი იყო მიპყრობილი. იგი ცდილობდა როგორმე აეღო ციხე: ხან სიბას⁴ აღმართავდნენ და ზემოდან ურტყამდნენ მტერს, ხან ქვემოდან გალავნის საძირკველს გამოთხრიდნენ, დანაღმავდნენ, დენტით აავსებდნენ მას და ცეცხლს წაუტილებდნენ, ააფეთქებდნენ და ჰაერში ატყორცნიდნენ, ხან ცრუ ფიცსა და ზავის პირობას დაწერდა შაჰი და ციხეში გაგზავნიდა: „ყველანი მთელი ქონებითა და ყველა მახლობლებით გამოდიეთ ციხიდან და დაბრუნდით თქვენ ქვეყანაში. ჩვენ არაფერს არ დავიშავებთ, მხოლოდ ციხე ჩავგვაბარეთ“.

მაგრამ ოსმალო მეომრები არ ანებებდნენ ციხეს. მოთმინებით იტანდნენ ყველაფერს, გმირულად ებრძოდნენ და წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. სპარსელთა ჯარი არავითარ სიძნელეს არ განიცდიდა. მას არც სურსათის ნაკლებობა აწუხებდა, არც სიცივე, არც ახლომყოფი მტერი და არც სხვა რამე, ყოველგვარი გასაჭირისაგან დაცული იყო და განუწყვეტლივ იბრძოდა.

როდესაც შაჰმა დაინახა, რომ საომარი მოქმედება რამდენადმე ვაგრძელდა⁵, მაშინ იქვე ჩამოასხმევინა ორი უზარმაზარი ზარბაზანი, ზუსტად და ძლიერად მსროლელი, რომელთა გასროლა ძლიერ აზიანებდა ციხის კედლებს და დიდ საფრთხეში აგდებდა ოსმალოთ. ყოველი ბრძოლის დასასრულს ციხეში მდგომი ოსმალო მეომრები ქალაქის მიდამოებს ათვალეირებდნენ, მაგრამ ვერასაიდან ვერ ხედავდნენ მშველელს ვერც მახლობლად მდებარე ქალაქებიდან და ვერც თავიანთი ხელმწიფის კარიდან, რადგანაც ოსმალოთა ქვეყანაში იმ დროს ბევრი ჯალაელი⁶ იყო, რომელთა სახელები წინა თავში მოვიხსენიეთ⁷. და იგი (თურქეთის სულთანნი) მათთან ბრძოლით იყო დაკავებული. განჯის ფაშაც, რომელსაც სახელად ზინჯოლლრან ალი ფაშა ერქვა⁸, ომში იყო ჩაბმული. ახლადჩამოსხმული ზარბაზნები ძლიერ აზიანებდნენ კედლებს. ამიტომ ყოველი მხრიდან შევიწროებულმა ოსმალებმა სპარსელებს ჩააბარეს ციხე. განძაკის ციხის ალების შემდეგ შაჰი დაეპატრონა მთელ ქვეყანასა და მის მმართველად დანიშნა ვილაც კაცი, რომელსაც სახელად აღსად მაჰმად ხანი ერქვა.

ამ დრომდის შაჰს თავისთან ჰყავდა კახეთის მეფის ალექსანდრეს შვილიშვილი თეიმურაზი, ახლა კი უფლება მისცა მას თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო და უბრძანა ხელში აეღო თავისი სამშობლო ქვეყნის მბრძანებლობა და გასძლოოდა თავის სამეფო საქმეებს, მაგრამ მას სპარსელთა სახელმწიფოს ერთგულებას და მორჩილებას სთხოვდა. თეიმურაზი თავის სამშობლოში, კახეთში დაბრუნდა, განაგებდა სამეფო ხელისუფლებას და აღიარებდა სპარსეთის მორჩილებას⁹.

შაჰის მიერ განჯის დაპყრობის შემდეგ უცნობმა პირებმა მას მოახსენეს. რომ განჯის ოლქში ბინადრობდა მაჰმადიანი სარწმუნოების ერთი ტომი. რომელიც თავის თავს ელს უწოდებდა, ხოლო ეს ელი ჯეიირლუს სახელით იყო ცნობილი. იგი ოსმალური რჯულისა და სარწმუნოებისა იყო, რომელსაც სუნას უწოდებენ¹⁰. შაჰმა ბრძანა მათ შესახებ. რომ ყველანი შეეგროვებინათ ერთ ადგილას, რომელიც ნიაღვრის ადგილი იყო. რომლის ვიწრო შესასვლელს სპარსელები იცავდნენ. რაც უფრო სიღრმეში მიიწევდა ეს ხეობა. მით უფრო ფართოვდებოდა. ხოლო მას გარშემო მაღალი პიტალო კლდეები ეკრა. ამიტომ მათ არ შეეძლოთ ზემოთ ასვლა და გაქცევა. შაჰმა ბრძანა ყველანი ბასრი მახვილით მოეკლათ. იმ ადგილას მამაკაცები და ქალები. მოხუცები და ახალგაზრდები, ჩვილი ბავშვებიც კი დახოცეს და ყველანი ამოწყვიტეს.

შაჰ აბას ხელმწიფე განძაკის ციხის ალებისა და მთელი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ დაადგა ქართველთა მხარისაკენ მიმავალ გზას და

ქალაქ თბილისისაკენ წავიდა. მან თან წაიყვანა ოსმალო ხალხის და ოსმალოთა ჯარის გადარჩენილი ნაწილი, რომელმაც თავი იხსნა ციხის დანგრევის შემდეგ. მოატყუა ისინი ცრუ სიტყვებით, იმედი მისცა მათ და ასე ეუბნებოდა: „უკან გამოჰყევით ჩემს ლაშქარს. რომ ყაჩაღებმა რაიმე უბედურება არ შეგამთხვიონ, ჩვენ კი ჩვენი მხედრობიდან დაგინიშნავთ მცველ ჯარს, რომ ზრუნვითა და მოვლა-პატრონობით გავაცილონ, ვიდრე მიგიყვანენ თქვენი ქვეყნის საზღვრებამდე“. ასეთი ცბიერებით წაიყვანა შაჰმა ისინი თავისთან ერთად, მივიდა აღსტევის ოლქში და მდინარის ნაპირას, ხეობაში დაბანაკდა. რომელსაც ინჯაუს ხეობას ეძახიან. შაჰმა უბრძანა სპარსელთა ჯარს ამოეწყვიტათ ყველა გადარჩენილი ოსმალო და ხელთ ეგდოთ მათი ქონება და სარჩო-საბადებელი, მათი ქალები და ბავშვები კი დაეტყვევებინათ. შაჰის ბრძანების თანახმად შეასრულეს ყველაფერი.

ამის შემდეგ შაჰ აბასი მთელი თავისი ჯარით გამოვიდა ინჯაუს ქვეყნიდან და მიაღწია ქალაქ თბილისს, მშვიდობით შევიდა მასში და მშვიდობითვე გამოვიდა და წავიდა, რადგანაც თანხმობა სუფევდა სპარსელებსა და ქართველებს შორის.

გამოვიდა შაჰი თბილისიდან, წავიდა გელამის ოლქში¹¹ და იქ დაბანაკდა ხელმწიფის ლაშქარი. თითონ შაჰ აბასი მელიქ შაჰნაზარის სახლში გაჩერდა, რომელიც სოფელ მაზრაში იყო და ისიც (მელიქ შაჰნაზარიც) იმავე სოფლის მკვიდრი იყო.

მელიქ შაჰნაზარი ტომით სომეხი, რჯულით ქრისტიანი, ძლიერი და სახელგანთქმული დიდებული იყო. მან ისე მიიღო შაჰი, როგორც ეს ხელმწიფეს ეკადრებოდა, იგი ხელმწიფის კეთილისმსურველი და ერთგული იყო. ამიტომ ხელმწიფემ იგი საპატიო და ძვირფასი ტანსაცმელით — ხალათით უანადიდა. იმ ოლქის მელიქის ტიტული უწყალობა და მას და მის ძმებს ადგილ-მამულები და სოფლებიც უბოძა. დაუწერა სიმტკიცის საბუთი, სამეფო ბეჭდით დაადასტურა და მისცა მათ. რათა უცვლელი ყოფილიყო ის მემკვიდრეობა მათთვის და მათი შთამომავლობისათვის (და გადასულიყო) თაობიდან თაობაში. უკუნითი უკუნისამდე.

შაჰი იქიდანაც დაიძრა და ნება-ნება სიარულით თავისი ჯარით მივიდა თაგრიზში და იქ დარჩა ახალი წლის დადგომამდე, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 1056 წელი იყო¹². შემდეგ მან შეჰყარა მთელი თავისი ჯარი და გაილაშქრა შემახას წინააღმდეგ¹³, დაბანაკდა ციხესთან. ალყა შემოარტყა და გარემოიკვა იგი.

როგორც ვიამბეთ განჯის შესახებ, იმავე წესით შეებრძოლა შემახას და წაართვა იგი ოსმალოთ. ოსმალოთა ჯარი მახვილით ამოწყვიტა, ხოლო მათი ოჯახები და ქონება ხელთ იგდო. მის მმართველად

ზულფალარ ხანი დანიშნა, თითონ კი თავისი ლაშქარით აიყარა და დავერიზში წავიდა. 1057 წლის დამდეგს¹⁴ შაჰი დაბრუნდა ქალაქ ისფაჰანში.

II

იმის შესახებ თუ რა მიზეზით დაიბარა შაჰ აბასმა ქართველი მეფეები და როგორ მოატყუა ისინი

სპარსეთის ხელმწიფედ ყოფნის დროს გაძლიერდა შაჰ თამაზი და თავისი ძალაუფლება განავრცო სხვა ხალხებზე, რომლებიც მისი ქვეყნის მეზობლად ცხოვრობდნენ. გაძლიერდა აგრეთვე ქართველებზეც და მათ მეფეებს მძევლები გამოართვა: თბილისის მეფეს, დიდსიმონ ხანს¹ — ასული და ძმა, ხოლო კახეთის მეფეს ალექსანდრეს — ძე², რომლის სახელი კონსტანტინე იყო³. მაგრამ ამ ალექსანდრეს ჰყავდა კიდევ სხვა ორი ძე, დავითი⁴ და გიორგი⁵. ესენი ორივენი თავის მამასთან, ალექსანდრესთან დარჩნენ. კონსტანტინე, რომელიც სპარსელთა ხელმწიფეს შაჰ თამაზს მისცეს მძევლად, სპარსეთშივე დარჩა, მათთან გაიზარდა, დავაჟკაცდა და სამეფო კარის გამოჩენილი კაცი გახდა, რადგანაც ქრისტიანული სარწმუნოება მას ცრუ წინამძღვრის რჯულზე შეაცვლევინეს.

მოკვდა შაჰ თამაზი⁶, შემდეგ იმეფა მისმა ძემ შაჰ ისმაილმა წელიწადნახევარი და მოკლეს იგი⁷. მის შემდეგ იმეფა მისმა ძმამ შაჰ ხუდაბანდამ ცხრა წელი. მის შემდეგ იმეფა მისმა ძემ ქვეყნის ამათხრებელმა შაჰ აბასმა⁸.

ეს კონსტანტინე შაჰ აბასის დროსაც იქ იმყოფებოდა და როდესაც შაჰი მივიდა თავრიზში, ნახიქევანსა და ერევანში და თავისი ძლიერებით დაიპყრო ისინი, კონსტანტინეც შაჰს თან ახლდა.

იმ დღეებში, როცა შაჰი ერევანში იყო და ებრძოდა ოსმალებს¹⁰, რომლებიც ერევნის ციხეში იდგნენ, ბოროტ ზრახვებში დახელოვნებულმა შაჰ აბასმა განიზრახა ქართველი მეფეებიც თავისთან მიეტყუებინა. ამიტომ წარგზავნა მათთან მომხმობნი, მათ მიერვე მიცემული მძევლები, რომელთა შორის ერთ-ერთი კონსტანტინეც იყო¹¹. იგი მისი მამის ალექსანდრეს მოსაყვანად გაგზავნა. ჰანის თაჰმაზ-ყული, რომელიც ათაბაგის ძმა იყო¹², როგორც ეს წინათ აღვნიშნეთ, თბილისის მეფე გიორგისთან¹³ გაგზავნა. გიორგი მეფე დიდი სიმონ ხანის ძე იყო. სიმონ ხანის შეპყრობის შემდეგ მის ნაცვლად ეს გიორგი დასვეს მეფედ. შაჰმა, რომელმაც გაგზავნა მომხმობნი ქართველ მეფეებთან, გაახსენა მათ ძველი შეთანხმება და ბრძანა: „თუ მტკიცედ დგახართ წინანდელ პირობაზე, რომელიც მიიღეს და განამტკიცეს ჩვენ-

მა წინაპრებმა, ვალად გქევთ გაისარჯოთ და მოხვიდეთ ჩვენს დასახ-
მარებლად, რადგანაც ამჟამად მტერს ვებრძვით“.

ქართველი მეფეები შეწუხდნენ ამ საქმის გამო, რადგან არ სურ-
დათ წასვლა. მაგრამ დიდი ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ გადაწყვიტეს
წამოსვლა, არა თავიანთი ნება-სურვილით ან უმეცრებით, არამედ
უძლურების გამო. მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ წინააღმდე-
გობა გაეწიათ ოსმალებისა და სპარსელებისათვის, სუსტნი და ულაშ-
ქრონი იყვნენ, ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ რომელიმე მათგან-
ის ხელში ყოფილიყვნენ.

ჯერ სპარსელთა ხელში იყვნენ შაჰ თამაზის დროს, მაგრამ ლალა
ფაშა, რომელიც ოსმალთა სარდალი იყო, მივიდა და დაიპყრო ქართ-
ველთა ქალაქები¹⁴, ააგო ამ ქალაქებში ციხეები და იმ ციხეებში
იანიჩრები ჩააყენა¹⁵.

შემდეგ მოვიდა ოსმალთა სხვა მხედართმთავარი ჯაფარ ფაშა¹⁶.
მან შეიპყრო სიმონ-ხანი¹⁷ და გაგზავნა კონსტანტინოპოლში ხონთქარ-
თან, სადაც მოკლეს სიმონ ხანიც და მისი შვილიშვილიც. ამ მიზეზით
განუდგნენ ქართველები ოსმალთ. ახლა შაჰი მოითხოვდა მათ მოსვ-
ლასა და მორჩილებას. ამის საფუძვლად მას მოჰქონდა წინანდელი
შეთანხმება, რომელიც მათ წინაპართა დროს იყო დადებული. ხოლო
მათ არა ამ შეთანხმებისა ან უმეცრების გამო, ანდა თავიანთი ნება-
სურვილით, არამედ თავიანთი უღონობის გამო განიზრახეს მისი ნების
შესრულება (რადგან ფიქრობდნენ), რომ ღმერთმა დაგვიფაროს, შაჰ-
მა ოსმალებთან ომის დასრულების შემდეგ საქართველოზე გამოი-
ლაშქროსო. [იმიტომ ეახლნენ ისინი] რომ იქნებ ასე მაინც მოეშორე-
ბინათ იგი თავიდან და შეენარჩუნებინათ მშვიდობიანობა. მაგრამ
ის კი არ იცოდნენ, რომ მომავალში მათ და მათ ხალხს მისი ხელით
ელოდათ წარწყმედა და აღსასრული.

ქართველთა ორივე მეფე ალექსანდრე და გიორგი ადგნენ, მო-
ვიდნენ ერევანს და ეახლნენ შაჰს. შაჰმა, როგორც წესად აქვს მათ
მოდგმას თვალთმაქცობა, თავდაპირველად სიყვარულითა და პატივით
შიილო ისინი, ხალათები უბოძა, რომ მოეგო მათი გული და ამის მხილ-
ველნი დაერწმუნებინა თავის კეთილგანწყობაში, და ციხის აღება-
დე მგობრულად ეპყრობოდა მათ.

შემდეგ კი თავისი გრძნეული და თვალთმაქცური ხელოვნებით
რალაც სასიკვდილო წამალი შეასვა გიორგი მეფეს, რათა გარკვეული
ხნის შემდეგ დაღუბულიყო. მაშინ გიორგი მეფემ არ იცოდა ის ბო-
როტება, რომელიც შაჰმა მას განუმზადა. ამის აღსრულების შემდეგ
შაჰმა სიყვარულითა და საჩუქრებით გაისტუმრა გიორგი მეფე მის
ქვეყანაში წასასვლელად. იგი გაემგზავრა ერევნიდან, მივიდა თავის

ქალაქში, თბილისში, რამდენიმე დღე იცოცხლა და მოკვდა შაჰის მოქმედებისა და წადილის თანახმად¹⁸. იქაურმა ხალხმა და თავადებმა გიორგის ნაცვლად მეფედ დასვეს მისი ძე, მცირეწლოვანი ლუარსაბი¹⁹. ასე დაიღუბა გიორგი მეფე შაჰის ბოროტმოქმედების მიზეზით.

ალექსანდრე მეფე შაჰმა თავისთან დაიტოვა და დაბრუნების ნება არ მისცა. [შემდეგ] წაიყვანა, ყველგან თან ჰყავდა და მძევალს სთხოვდა. ამიტომ ალექსანდრე იძულებული შეიქმნა, მიეყვანა თავისი შვილიშვილი, სახელად თეიმურაზი, რომელიც ყრმა იყო ასაკით და მძევლად მიეცა შაჰისათვის. ამის შემდეგ შაჰმა უბრძანა მას უკან დაბრუნებულყო. შაჰისაგან განთავისუფლებული ალექსანდრე თავის ქვეყანაში დაბრუნდა, თეიმურაზი კი შაჰის კარზე დარჩა. ეს თეიმურაზი ალექსანდრეს ძის დავითის ვაჟი იყო²⁰.

III

მეორე მოთხრობა შაჰ აბასის ღალატის შესახებ, რომელიც კიდევ ერთხელ გამოიჩინა ქართველთა მფრის მიმართ

ზემოხსენებულმა კახეთის მეფემ ალექსანდრემ თავისი სურვილით მისცა მეფობა თავის ძეს დავითს და დავითი განაგებდა სამეფოს¹. ალექსანდრეს მეორე ვაჟი გიორგი ამის გამო შურით აღივსო და მოჰკლა თავისი ძმა დავითი, რათა თვითონ გამხდარიყო მეფე². მათი მამა ალექსანდრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. მან არ დაანება მეფობა ვიორგის, თვითონ დაიჭირა ტახტი და თვითონვე მეფობდა.

ამ დროს ბოროტ ზრახვებში დახელოვნებულმა შაჰ აბასმა განიზრახა რაიმე ახალი საშუალებით დაეღუბა და შუღლი ჩამოეგდო ქრისტიანთა სამეფოებს შორის. მოუხმო თავისთან ადრემოხსენებულ კონსტანტინეს, ალექსანდრეს ძეს, რჯულის მგმობელს, რომელიც შაჰთან იყო, ესაუბრა მას მისი გულის სურვილისა და წადილის თანახმად დაუთხრა: „წაიყვანე ჩვენი ჯარიდან საჭირო რაოდენობით ლაშქარი, რომელსაც მე გიბოძებ, წადი შენს სამშობლო ქვეყანაში, რაიმე ხერხით მოკალი მამაშენი ალექსანდრე და ძმა გიორგი, რათა მამაშენის ნაცვლად შენ გამეფდე და განაგო შენი მამა-პაპათა სამეფო.

მაგრამ ჯერ-ჯერობით როგორც ჩვენს ხალხში, ისე ქართველებში ნუ გაამქდავენებ შენი წასვლის მიზეზს, [ნუ იტყვი] ჩემს ქვეყანაში მივდივარ და იქ უნდა დავრჩეო. თავი მოახევენე და აშკარა მიზეზად ყველასთან ესა სთქვი, რომ შაჰმა ამ ლაშქრით გამგზავნა, რომ წავიდე და დავიპყრო შემახაო. როცა შენს ქვეყანაში მიხვალ, რასაც შესძლებ ის მოიმოქმედე: ან მამაშენი და შენი ძმა მოკალი, ან შემახა დაიპყარი“³.

ამ ბრძანების მიღებისთანავე გესლიანი გველი ადგა და წავიდა კახეთის ქვეყანაში, თავის მამა ალექსანდრესთან, მაგრამ მაშინ ვერ შესძლო ელაღატნა მათთვის, რადგანაც ქართველები გუნებაში ეპქს მიეცნენ იმის გამო, რომ ხედავდნენ მის უსირცხვილო საქმეებს. ამიტომ ჭერ-ჭერობით თითონაც გულში ჩაიმარხა თავისი ფარული ზრახვები. თავისი თავი მართალი და გულწრფელი რომ ეჩვენებინა და ქართველთა გული მოეგო, მან თავისი მამის ჯარიდან, ქართველებიდან მრავალრიცხოვანი ლაშქარი წაიყვანა, აიყარა და წავიდა შემახაში. ქართველებს ძლიერ სურდათ მისი დაღუპვა, ამიტომ ბრძოლის დროს უკანა რიგებში იყვნენ ხოლმე და მონღოლებით არ იბრძოდნენ, რომ იქნებ ოსმალებს ამ ომში ბოლო მოეღოთ მისთვის. მაგრამ ცბიერი კონსტანტინე მიუხვდა გულში ამ განზრახვას და იმაშიც დარწმუნდა, რომ სპარსელების ჯარით ვერ შესძლებდა ოსმალებზე გამარჯვებას. ამიტომ გაცხარებულ ბრძოლაში რომ იყო ჩაბმული მისი ლაშქარი, მან მიატოვა ბრძოლის ველი, პირდაპირ ირანში გაიქცა და შაჰს ეახლა. ოსმალებმა [უსარდლოდ] დარჩენილი სპარსელი მეომრები შუაში მოიმწყვდინეს, ყველა ამოწყვეტეს და მთელი მათი ქონება ნადავლად წაიღეს.

შაჰმა მეორეჯერ მისცა კონსტანტინეს ოცდაათათასიანი ჯარი და იმავე მიზნით კვლავ გაგზავნა მის სამშობლოში. როდესაც კონსტანტინე მივიდა თავის სამშობლო ქვეყანაში, თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნანობდა რჯულისაგან განდგომას და სურდა ისევ ქრისტიანობა ელიარებინა. ამიტომ თითქოს დიდმა კეთილმორწმუნემ გულით მოიწადინა მოევლო ქართველთა ეკლესიები და სავანეები. ამ ხერხით იქაური ეკლესიებიდან მრავალი ნივთი წარიტაცა: ჯვრები, ბარძიმები, კანდლები და სხვა ყველაფერი, რაც კი მოისურვა. შემდეგ ყველა ეს ნივთი დაამსხვრია და სპარსელთა ჯარს, რომელიც მასთან ერთად იყო მოსული, ჯამაგირად უბოძა. როდესაც ქართველებმა ეს იხილეს, სულითა და გულით დამწუხრდნენ. მოინდომეს მაშინვე წაერთვათ მისთვის სიცოცხლე და მოითათბირეს მის მამასთან, ალექსანდრესთან, რომ მოეკლათ იგი. მაგრამ ალექსანდრე აყოვნებდა საქმეს და კიდევ ფიქრობდა ამ საქმის დასასრულზე. სანამ ალექსანდრე ამ ფიქრში იყო, კონსტანტინემ შეიტყო მათი განზრახვა. კონსტანტინემ ისწრაფა, დაასწრო მათ და მოკლა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა გიორგი, ხელთ იგდო ძალაუფლება და განმტკიცდა ქვეყანაში.

ამის შემდეგ ხელმეორედ შეჰყარა კონსტანტინემ თავისი ჯარი და ქვეყნის მკვიდრნი, რომლებიც ქართველები არიან, და მათთან ერთად აიყარა და დაიძრა ქალაქ შემახასკენ. რამდენიმე დღის სავალი გზის გავლის შემდეგ ქართველი მეომრები შეითქვენ და გზაშივე დაეცნენ კონსტანტინეს, მახვილით მოკლეს იგი, ასო-ასოდ აკუ-

წეს და თავიდან მოიშორეს ბოროტი. სპარსელთა ჯარი, რომელიც კონსტანტინესთან ერთად იყო მოსული, ძლიერ განრისხდა ამ საქმით და ჰოინდომა ქართველების ჯარს შებრძოლებოდა. მაგრამ ქართველებმა რაღაც წერილი უჩვენეს მათ, რომელიც თითქოს შაჰს გამოეგზავნა მათთვის, რომ ასე მოქცეულიყვნენ. ამით ქართველებმა პასუხი გასცეს სპარსელებს, რომ ეს შაჰის ბრძანებით მოვიმოქმედეთ. ამის შემდეგ დაშოშმინდა სპარსელთა მხარე და ხელი აიღო ბრძოლაზე. სპარსელი მეომრები ერთმანეთს დაშორდნენ და დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში⁴.

კონსტანტინეს პირველი და მეორე მოსვლა და მისი ჩაძაღლება მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვით 1054 წელს⁵.

კახეთის სამეფო ხელისუფლებას დაეუფლა ალექსანდრეს რძალი — დავითის ცოლი თრი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ასე ისურვეს ქვეყნის დიდებულებმა, რადგანაც იგი დავითის მეუღლე იყო, რომელსაც მეფობა ალექსანდრემ მისცა; მეორეც, იგი იყო ტახტის მემკვიდრის თეიმურაზის დედა და ტახტის დამცველი თავისი ძისა, თეიმურაზისა, რომელიც ჯერ ისევ შაჰთან იყო მძევლად.

როგორც წინათ აღვნიშნეთ, განჯის ციხის აღების შემდეგ შაჰმა თეიმურაზი კახეთში გაგზავნა. თეიმურაზი მივიდა და გამეფდა თავის წინაპართა ქვეყანაში⁶.

თეიმურაზის კახეთში გაგზავნის მიზეზი ის იყო, რომ როცა შაჰ აბასმა თავისი მოხერხებული მოქმედებით ერთმანეთის ხელით დაახოცინა თეიმურაზის პაპა მისი სამი ძით⁷, მათი ადგილი ცარიელი დარჩა. ხოლო ტახტის მემკვიდრე თეიმურაზი შაჰთან იყო მძევლად, ამიტომ გაგზავნა იგი. შაჰმა კარგად იცოდა, რომ თუ სპარსელს გაგზავნიდა კახეთში მმართველად, მას არ მიიღებდნენ კახეთის დიდებულები ამიტომ გაგზავნა თეიმურაზი.

IV

მოთხრობა და მიზეზი ქართველთა ჰეიყნის აოხრებისა და მათი მეფის ლუარსაბის სიკვდილისა, რაც შაჰ აბას პირველის ხელით მოხდა

როდესაც საქართველოს მეფე გიორგი ერეკნიდან უკან გაბრუნდა, წავიდა და მივიდა თბილისში, [დიდხანს] ვეღარ იცოცხლა და მალე გარდაიცვალა, რადგან მოწამლული იყო შაჰ აბასისაგან, როგორც ეს ზემოთ უკვე ვიამბეთ¹.

საქართველოს დიდებულებმა გიორგი მეფის ნაცვლად მეფედ დასვეს მისი ძე, სახელად ლუარსაბი, რომელიც ჯერ კიდევ ყრმა იყო

ასაკით. ლუარსაბ მეფის ბრძანებით ვილაც კაცი დაინიშნა ქალაქ აბილისის მოურავის თანამდებობაზე, რომელსაც ეხლა ტარულას უწოდებენ². მოურავად დანიშნული ეს კაცი იყო ბრძენი სიტყვით, ძლიერი გონებით, გამოცდილი თავის საქმეში და აგრეთვე წარმოსადეგი, ძლიერ მამაცი, დიდი მებრძოლი და უძლეველი მეომარი. ის მხარე, რომელსაც იგი მიუდგებოდა, მეორე, მოწინააღმდეგე მხარეს სძლეოდა და მტრის ჯარს, მსგავსად მოცელებილი ბალახისა, მიმოფანტავდა ხოლმე მინდორ-ველზე. მისი გმირობა შემდეგაც მრავალად გილას იქნება მოხსენებული და მის შესახებ ჭეშმარიტებას შეიტყობ. მაგრამ ეს მოურავი ფიქრობდა არც აზნაურიშვილი იყო, არც თავადის წამომავალი და არც წარჩინებული გვარიდან. იგი უბრალო და დაბალი ხალხიდან იყო, რომლებსაც ქართველები გლეხებს უწოდებენ³. ამ მოურავს ჰყავდა ერთი და, ნორჩი ასული, ბრწყინვალე და პირმშვენიერი. სანახავად სასიამოვნო და მშვენიერი სხეულითა და ტანადობით.

როცა მეფე ლუარსაბი წამოიზარდა და შეიქმნა ხუთმეტი თუ თექვსმეტი წლისა, როდესაც სურვილებითი ტრფიალის ნაწილი ძლიერდება ადამიანში და თავისი უფლებით დაიმორჩილებს და შეიპყრობს კაცს. მაშინ ლუარსაბ მეფეს მოეწონა მოურავის და, თავდავიწყებით შეუყვარდა იგი და ფარულად ეტრფიალებოდა მას. მაგრამ ისინი არ იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი და უცოდველნი იყვნენ ორივენი, ლუარსაბიც და ასულიც. თუმცა ეს საქმე რამდენიმე ხანს დაფარული დარჩა, მაგრამ შემდეგ გამოაშკარავდა ღვთის ბრძანების თანახმად „არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს“*.

ზოგიერთებმა, რომელნიც მოურავის მოშურნეები და მოქიშპენი იყვნენ, ბოროტების შვილებმა და შფოთის მაძიებლებმა, ეს ამბავი მოურავს გააგებინეს და შეურაცხვეს იგი. ამ მიზეზით მთელის სულით დამწუხრებული და გულდაწყვეტილი მოურავი სიკვდილს ეძებდა, მაგრამ ვერ ჰპოვებდა. დიდი ხნის მწუხარების შემდეგ, როდესაც იღუმლად იურვოდა მოურავი, იგი აშკარად და უშიშრად მიმართავდა ყველას და ამბობდა: „მე უნდა მოვკლა ლუარსაბი, რადგან არ ძალმიძს ასეთი შეურაცხყოფის ატანა, რომელსაც პირში მახლიან და რომელიც სასიარტხვილო არაკად იქცა მთელ ქვეყანაზე“.

დიდებულები და ლუარსაბ მეფის ერთგულნი მოურავის სიტყვების მოსმენისას შეშინებულნი შორდებოდნენ მას, რადგან იცოდნენ, რომ მას შეეძლო საქმით გაეკეთებინა ის, რასაც სიტყვით ამ-

* მათე. 10, 26.

ბობდა. ამიტომ ისინი მარჯვე და მოხერხებულ უამს ვედრება-მუდა-
რით შესთხოვდნენ ლუარსაბს, რომ თავი დაანებე ამ საქმეს, რომე-
ლიც სრულიად არ შეეფერება მეფის სახელსო. მოურავის მუქარის
სიტყვებიც ღმერთმა ნუ ქნას რომ საქმით აღსრულდესო.

მეგობრების ასეთ ხვეწნაზე ლუარსაბმა უპასუხა: „არ ძალმიძს
განუმორდე იმ ასულს, რადგან ჩემი სულის მსგავსად შევიყვარე
იგი. მაგრამ რაკი მასე მთხოვთ, იცოდეთ ყველამ, რომ არც მე შევირ-
თავ ცოლს და არც ის ასული გათხოვდება. ახლა კი მიღებული ჩვე-
ულების თანახმად ითხოვეთ იგი ჩემს საცოლედ და ქორწილიც და-
ნიშნეთ, რომ ამით მოისპოს თქვენი მკმუნვარება“.

ლუარსაბის ეს სიტყვები მოეწონა ყველა დიდებულს და მოუ-
რავსაც და იგი გახარებული აღიდებდა უფალს, რომ მათ შორის
აღმოიფხვრა უთანხმოება. ამ სიტყვების თანახმად დანიშნეს ის ასუ-
ლი ლუარსაბის საცოლედ, ხოლო ქალწულის ძმა მოურავი, ძლიერ
გახარებული ამ საქმით, მადლობას უძღვნიდა ლუარსაბს და ამბობდა:
„მე მისი მონა-მორჩილი ვარ. ჩემი თავი და ჩემი სიცოცხლე შემი-
წირია მისი გზისა და მისი ბრძანებისათვის, რადგან არ იუკადრისა
ჩემი უგვარტომობა. მე გლეხისშვილს მიწოდებდნენ, მან კი ისეთი
წყალობის ღირსი გამხადა, რომ ჩემი და ცოლად შეირთო და დე-
დოფლად დაისვა“.

მაგრამ ზვიადმა, ამაყმა და თავმოწონე ქართველებმა, რომელ-
ნიც გვარიშვილობას და წინაპართა ჩამომავლობას დიდად აფასებენ,
სინჯავენ და ეძიებენ, არ მოიწონეს ეს საქმე. დიდებულების, აზნაუ-
რისშვილებისა და თავადების ცოლებმა, რომელნიც ჩამომავლობით
წარჩინებული გვარისანი იყვნენ, უწინდელი და ახლანდელი დიდე-
ბულების ასულებმა, დიდებულთა ცოლებმა და დედებმა და მათთან
ერთად აგრეთვე ზოგიერთმა მამაკაცმა არც მოიწონეს და არც გახდ-
ნენ ამ საქმის თანამზრახველნი. ამიტომ წარჩინებული მანდილოს-
ნები ეუბნებოდნენ თავიანთ ქმრებსა და შვილებს: „როგორ შეგვიძ-
ლიან ჩვენ, სახელოვანი აზნაურების ასულებს, სახელგანთქმული დი-
დებულების ცოლებსა და დედებს, ვეახლოთ, თაყვანი ვსცეთ და მი-
ვესალმობთ იმას, ვინც არის ასული გლეხისა, ვილაც შინაქანისა? თუ
დაითანხმებთ მეფეს, რომ უარი სთქვას მაგ განზრახვაზე და ცოლად
შეირთოს ერთ-ერთი უფლისწული ასული ხომ კარგი, თუ არა და მა-
შინ ჩვენც არ გვსურს ვეახლოთ, თაყვანი ვსცეთ და მივესალმობთ ვი-
ლაც გლეხის ქალს, რადგან გვიძიძის ჩვენ ეს საქმე. ხოლო თქვენ,
თუ გსურთ, დაგვითხოვეთ თქვენი ცოლობიდან და სხვა ცოლები მო-
იყვანეთ“.

ეს დიდი და საძრახისი შფოთი, აშლილობა და უთანხმოება მრავალი დღის მანძილზე გაგრძელდა ქართველთა შორის. რამდენსაც არ ეცადნენ ამ საქმის მოსურნენი, ვერ შესძლეს დაეთანხმებინათ მოწინააღმდეგე მხარე. ამიტომ იძულებულნი შეიქმნენ მშვიდობის მოსურნენი ფერხთ ჩაეარდნოდნენ ლუარსაბს და შეხვეწებოდნენ, რომ როგორმე მშვიდობით დაებოლოვებინა ეს საქმე.

მეფემ, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, უთხრა მათ „თქვენი ნებააო“. მაშინ დიდებულებმა გაგზავნეს კაცი დადიანის ქვეყანაში⁴ და დადიანის მეფის ასული ლუარსაბის საცოლედ დანიშნეს. ამ მიზეზით გაშორდა ლუარსაბი მოურავის დას.

მოურავს წინათაც დამკვიდრებული ჰყავდა სხეთლში ეშმაკის ლაშქრიდან ერთი ბოროტი, ახლა კი იმ ერთმა შვიდი სხვა თავისზე უბოროტესი მოასხა. მოიყვანა და დაამკვიდრა ამ მოურავში და ამისაგან იგი წინანდელზე მეტად უფრო გაბოროტდა. ამიტომ ქიხვი-ნებდა, როგორც საომარი რაში, ბრდღინავდა როგორც ლომი, დაჰქმუ-ოდა ლუარსაბს მსგავსად ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულისა და ეძებდა მას მოსაკლავად ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი, მისი დის პირვანდელი შერცხვენისათვის, მეორეც, მისი უკანასკნელი შეურაცხყოფისათვის და ცდილობდა დრო მოეხელთებინა, რომ თავს დასხმოდა და მოეკლა ლუარსაბი.

მაგრამ ერთგული დიდებულები და კეთილმოსურნე მეგობრები აფრთხილებდნენ, იცავდნენ ლუარსაბს და არწმუნებდნენ მას, რომ მორიდებოდა მოურავს. ურჩევდნენ აგრეთვე, რომ მოეკლა მოურავი. დიდებულებმა და ლუარსაბმა განამტკიცეს მოურავის მოკვლის განზრახვა. ამ მიზნით ერთ დღეს ღვინის სმაში და ლხინში ბევრი ღვინო ასვეს მოურავს, რომ იქნებ ცოტა მაინც დაცლილიყო ღონიდან, რათა უფრო ადვილად მოეკლათ იგი.

როცა მოაღწია დანიშნულმა დრომ, გარეთ გამოვიდნენ მეფეც და დიდებულებიც, რომლებიც მასთან შეკრულნი იყვნენ, თითო-თითოდ კარში გაიკრიფნენ. ლუარსაბთან მოუხმეს ერთ-ერთ ჯალათს, რომელსაც უბრძანა ლუარსაბმა შიგნით შესულიყო და მოეკლა მოურავი. იმ დროს, როდესაც ლუარსაბი ჯალათს ამას ეუბნებოდა, ეს სიტყვები გაიგონა მოურავის ერთ-ერთმა მსახურმა, რომელიც მისი მალღემსრბოლი იყო, რომელსაც შათირს უწოდებენ. იგი, როგორც ჩიტი, შეფრინდა სახლში, სადაც მოურავი იყო და უთხრა მას: „აჰა, მოდიან შენს მოსაკლავად, რადგანაც ასე ბრძანა მეფემ!“⁵. როგორც კი მოურავმა ეს გაიგონა, დიდი შიშისაგან ისე გამოუნელდა ღვინო, თითქოს სრულებით არაფერი დაეღიოს. იმ დროს მოურავი ქამარშეხსნილი და ქუდმოხდილი იჯდა და სიჩქარისაგან აგრე ფეხშიშვე-

ლი, უქამროდ და უქუდოდ წამოხტა ადგილიდან და სამეფო ცხენების საჯინიბოსაკენ გაქანდა, სადაც დაბმული იყვნენ მეფის ცხენები და რომელიც იქვე ახლო მანძილზე იყო. მოურავმა გამოცდილებით იცოდა, თუ რომელი ცხენი იყო სწრაფმავალი და მალიადმრბენი, ამოსდო იმ ცხენს პირში ალვირი. იქვე საჯინიბოშივე შეჭდა ჩულიან, შეუჯახმავ ცხენზე. სიკვდილის შიშით, რომ არ შეეპყროთ და არ მოეკლათ იგი. ცხენზე ამხედრებული საჯინიბოდან გამოვიდა, მიუშვა ცხენს სადავეები და მათრახი გადაუჭირა, რათა [ცხენს] წარეტაცა იგი.

იმ ცის ქვეშეთში მფრინავმა რაშმა, როგორც ციურმა ფრინველმა, აიტაცა იგი და ქენებით წინ გაიჭრა, თითქოს მიწაზე კი არ მიდიოდა, ცაში მიფრინავდაო.

თუმცა ლუარსაბის მეომრებიდან მრავალი მოახტა ცხენს და მოურავს უკან დაედევნა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შესძლო მისი დაწევა, ორის გარდა. მოურავმა უთხრა მათ, რომ გაჩერებულიყვნენ და ერთ ადგილას შემდგარიყვნენ. როდესაც მომხდურები გაჩერდნენ მოურავმა ხევწნა-მუდარით მიმართა მათ და უთხრა, რომ არ შეეპყროთ იგი და გაქცევის შესაძლებლობა მიეცათ. იმდენი ელაპარაკა, ვიდრე მათ გულში სიბრალული და თანავგრძნობა არ გააღვივა. მათაც აღარ შეიპყრეს და გაუშვეს.

მოურავი გასცილდა მათ და მივიდა ქალაქ თბილისში. ღამით შევიდა ქალაქში და იმ ღამესვე გავიდა იქიდან და თან წაიყვანა ვილაც კაცი თარჯიმნად, რადგან თითონ არ იცოდა უცხო ხალხის ენა. მოურავი მღვიდა ახალციხის თემში სულთან ღაზანთან, რომელიც იმ თემში იჯდა, უამბო მას მთელი თავისი თავგადასავალი და სთხოვა მათ, რომ იგი შაჰ აბასთან გაემგზავრებინათ. ისინი აღივსნენ აუწყრელი სიხარულით, გაამზადეს თავიანთი კაცები, წაიყვანეს იგი და მიიყვანეს შაჰთან, რომელიც იმ დროს ყიზილ-ალაჩად წოდებულ ადგილას იდგა, რომელიც შემახას ქვეყანაში მდებარეობს⁶.

ღაზანის მეომრებმა, რომლებმაც წაიყვანეს მოურავი. შაჰ აბასს მიჰგვარეს იგი. შაჰი მიმართავდა მოურავს და ეკითხებოდა ვინ იყო იგი, საიდან და რისთვის მივიდა მასთან. მოურავი ყოველ შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს აძლევდა და ეუბნებოდა: „თუ შენი ძლიერების საფარქვეშ მიმიღებ და შემვიგრდომებ, მე ბევრ საქმესა და განზრახვაში გამოგადგები და გემსახურები“.

რამდენიმე ხანი შაჰი თავისი ჯარით იმ ადგილას დარჩა. შემდეგ იქიდან ისტაჰანისაკენ გაემართა და მოურავიც თან წაიყვანა. დღითი-დღე წინ მიიწევდნენ და დაწყნარებით მიდიოდნენ, სანამ ისტაჰანს არ მიაღწიეს.

ყოველ მარჯვე უამს შაპი ესაუბრებოდა მოურავს და იგებდა მისგან ქართველთა ქვეყნისა და ქართველი ხალხის მდგომარეობას, ქვეყნის სიმტკიცეს. მეფეთა და დიდებულთა სიბრძნეს, ხალხის სიმრავლეს, ლაშქრის სიმხნევესა და ყველაფერს რისი შეტყობაც მას სურდა.

ღვინი იქვე ისტაჰანში დარჩნენ. გავიდა ის წელი და გადადგნენ მეორეში. შაჰმა უთხრა მოურავს: „აი, განვლო მრავალმა დღემ. ახლა რა საშუალებით მოვიგონოთ მიზეზი, რომ იმ მიზეზით შევყაროთ ჯარი და გავილაშქროთ ქართველების წინააღმდეგ?“

მოურავს ძალიან უნდოდა ჯავრი ეყარა ლუარსაბზე. რომელმაც შეურცხვინა სახელი და შეურაცხჰყო მისი და, რისთვისაც მიუვიდა იგი შაჰს. ამიტომ ასეთნაირად მიმართა მან შაჰ აბასს და უთხრა: „ლუარსაბს ჰყავს ერთი უფლისწული და, ნორჩი ქალწული, ბრწყინვალე და პირიმზე და ყოველმხრივ მშვენიერი, რომელიც არავის ისე არ შეეფერება. როგორც ჩემს უფალს — ხელმწიფეს. ითხოვე იგი საცოლედ და ასულის მოსვლის შემდეგ დედაც⁸ გამოითხოვე ასულის მიზეზით. როდესაც დედა მოვა. დედაც აქ დატოვე ასულის მიზეზით და მათი საშუალებით გაადვილდება ლუარსაბის მოტყუება და დაღუპვა. თუ ეს განზრახვა ამგვარად აღსრულდება. კეთილი, რადგანაც ადვილად და იოლად მოეღება მას ბოლო. მაგრამ თუ არ დაგმორჩილდებიან და არ მოგცემენ ქალწულს, მაშინ მისი მრუცემლობა იქნება მათ წინააღმდეგ გალაშქრების საბაბი“.

ეშმაკის ერთგულმა მსახურმა. მეორე საბირიოსმა, ამ შაჰ აბასმა, მოურავისაგან ამგვარი რჩევის მიღების შემდეგ მისწერა ლუარსაბსა და მის დედას ლუარსაბის დის შესახებ სიყვარულისა და სიმრთელის წერილი, რომელსაც გარეთ დღეგრძელობის სიტყვა ჰქონდა, შიგნით კი სიკვდილის ფარული სურვილი.

წერილის სიტყვების შინაარსი ასეთი იყო:

„ქვემარტად გვნებავს, რომ მტკიცედ და შეურყეველი იყოს ჩვენი და თქვენი ხელმწიფება. სიყვარული და ერთგულება სუფევდეს ორი ხალხის, ქართველებსა და სპარსელებს შორის. ჩვენ გავალებთ მაქეთა მხარეების დიდებულებისა და ქვეყნების მართვა-გამგეობას, რომ თქვენ იზრუნოთ და განაგოთ სამეფო ხელისუფლება ჩრდილოეთ მხარეებში, ხოლო ჩვენ კი სხვა მხარეებზე ვიზრუნოთ.“

ამ ერთიანობის ნიშანი იყოს შემდეგი: თქვენი ქალწული ასული მე მომგვარეთ: ჯერ ერთი. რომ იგი იყოს ამ საქმის აღსრულების ნიშანი და კავშირი ორი ხალხის ერთიანობისა; მეორეც, დედოფალი და გვირგვინოსანი მთელი [სპარსელი] მამაცი ხალხისა“.

ასეთნაირად შედგენილი წერილი გაგზავნა [შაჰმა] ქართველთა ქვეყანაში, ქალაქ თბილისში, ლუარსაბთან და მის დედასთან.

როდესაც წაიკითხეს ეს წერილი, მიხვდნენ, რომ მოურავის შეგონებითა და მტრობით იყო [ჩაქსოვილი] ღალატი ბარათის ყოველ სიტყვაში. მათ არც თითონ ინებეს წასვლა და არც ქალწულის მიცემა ისურვეს. ლუარსაბის დედამ პასუხად მისწერა შაჰს: „იმ დროს, როცა ქალაქ ერევანში საომრად იყავი, მოგვიწოდე ჩვენ მეგობრობის საბაბით და ჩვენც წრფელი გულით, როგორც ჭეშმარიტი მეგობრები და ხელმწიფენი მოვედით შენთან; შენ კი სამტრო საქმე შეგვამთხვიე, რადგან ~~ჩემი~~ ~~ქმარი~~ საწამლავით დაღუპე, მე კი შეურაცხმყვე; ჩვენ, რომლებსაც ასეთი საქმე შეგვემთხვა შენგან, როგორღა გავბედოთ შენთან მეორედ მოსვლა? თუ ნამდვილად ჩვენი სიმტკიცე და მშვიდობა გასურს, როგორც ამბობ, ნუ დაარღვევ და ნუ მოსპობ ჩვენს მყუდროებას, რადგან ეს ჩვენი პატარა სამფლობელოც საკმარისია ჩვენი საჭიროებისათვის. იყავ მშვიდობით“.

ეს პასუხი მიუვიდა შაჰ აბასს, სანამ იგი ისფაჰანში იყო. სადაც ის და მოურავი განუწყვეტლივ ფიქრობდნენ და გეგმებს აწყობდნენ ქართველთა ქვეყნის დამორჩილებაზე და მათი სამეფოს მოსპობაზე.

ბარათი, რომელიც პირველად მისწერა მათ შაჰმა, ორჯერ და სამჯერ გაიმეორა და გაგზავნა ლუარსაბთან და მის დედასთან. იქნებ ლუარსაბი ან მისი დედა ან მისი და ხელში ჩაეგდო, მაგრამ ვერაფერს მიაღწია.

წერილების სამჯერ მიწერ-მოწერის შემდეგ, ისინი მაინც არ ეახლნენ; მაშინ მიუბრუნდა შაჰი ქართველთა ქვეყანას. შეჰყარა ჯარი და დაიძრა ისფაჰანიდან. მას თან ჰყავდა ბოროტი მოთათბირე და ქვეყნისამაოხრებელი მოურავი. ისფაჰანიდან გამოსულწებ, ისინი ნება-ნება და წყნარი სიარულით მივიდნენ ყარაბაღის ქვეყანაში. ქალაქ განჯაში იქ დაბანაკდნენ და ზაფხულიც იქვე გაატარეს.

შაჰმა ჰკითხა მოურავს: „აი, უკვე განვლო დიდმა დრომ, როდისღა წაგვიყვან საქართველოში?“ მოურავმა უპასუხა: „ცოტა კიდევ მოითმინე, რადგანაც ჯერ დრო არაა. როცა დადგება დრო, მე თითონ გაგახსენებ იქ წასვლას.“ მოურავი იმიტომ ამბობდა ჯერ დრო არ არისო, რომ ზაფხული გასულიყო, ზამთარი დამდგარიყო. ტყეში ხეებს ფოთლები გასცვენოდა, რომ სპარსელთა ჯარს გადავიღებოდა ცხენებით სიარული და შესვლა ქართველთა ქვეყანაში. და კიდევ იმიტომ, რომ ქართველები, რომლებიც გახიზნული, გამაგრებული და დამალულნი იყვნენ სიმაგრეებში, გამოქვაბულებსა და ქვეყნის მიუვალ ადგილებში, სიცივის სიმკაცრისა და ზამთრის თოვლის

სიუზენისაგან, შიმშილის სისასტიკისა და საჭირო ნივთების უქონლობის გამო, ველარ შესძლებოდათ სიცოცხლის ატანა და სიმაგრეებში დარჩენა და ჩამოსულიყვნენ თავიანთ ბინებში, ცხენების სავალ ადგილებში, სადაც ადვილი იქნებოდა სპარსელთა მძარცველი და მოთარეშე ჯარისათვის ცხენებით სიარული და მათგან ნადავლის მიტაცება^ა.

შემდეგში მომხდარი ამბები მისი წინასწარ ნაფიქრების თანახმად აღსრულდა.

როდესაც შეიტყვეს ქართველებმა მათ წინააღმდეგ შაჰის გამოლაშქრების ამბავი, საგონებელში ჩავარდნენ ამ მდგომარეობის გამო და განიზრახეს, ერთმანეთთან კავშირი შეეკრა ორივე მეფეს: ლუარსაბს, რომელიც თბილისისა და ქართლის მფლობელი იყო და თეიმურაზს, რომელიც კახეთისა და გრემის ბატონი იყო, რომ ერთმანეთის დახმარებით შესძლებოდათ სპარსელებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიზეზით ლუარსაბმა და მისმა მახლობლებმა გაგზავნეს კაცი კახეთში და მიიწვიეს თეიმურაზი თბილისში კავშირის შესაკრებლად. თეიმურაზმა, რომელმაც მრავალჯერ იგემა უბედურება (ლუარსაბთან) უთანხმოებისა და განხეთქილების გამო და რომელმაც აგრეთვე იცოდა სპარსელთა ბოროტება და მტრობა, რაც ხშირად გამოუჩინიათ მის მიმართ, მთელი გულით მოიწადინა კავშირი, ამიტომ ადგა და მივიდა თბილისში. მისი მოსვლა ლუარსაბისა და მისიანების აუწყრელი სიხარულის მიზეზი გახდა: შეჰყარეს პირობა და კავშირი, რომ იქნებოდნენ თანამოაზრენი და თანამოსაქმენი, ერთმანეთისათვის თავს დასდებდნენ და შეეწირებოდნენ ქრისტეს სახელს.

იმ დღეებში, როცა თეიმურაზი თბილისში მივიდა, შაჰის მსტორებმა, რაც შეიტყვეს და იხილეს, წავიდნენ და ამბავი წაუღეს შაჰს.

შაჰ აბასმა, რომელიც ეშმაკის მსახური იყო, განიზრახა ახალი საშუალებით დაეღუპა და წაებლწა ქრისტიანთა სახელმწიფო. რადგან იგი ქალაქ განჯაში იყო თავისი ჯარით დაბანაკებული, ამიტომ აქედანაც დაიწყო განხეთქილებისა და მოტყუების წერილების გზავნა. როგორც ის ფაქანიდან, ესევე აქედანაც, რომლებსაც გარედან სალამი, სიყვარული და მშვიდობა ჰქონდა, ხოლო შიგნით — მზაკვრობა. ცბიერება და ღალატი, რომ იქნება სამიდან ერთი მაინც გაება თავის მახეში: ან ლუარსაბი, ან მისი დედა ან და; მაგრამ ვერ შესძლო.

ახლად მოგონილი ხერხი კი ის იყო, რომ როდესაც შაჰი მოლაპარაკების წერილებს აშკარად გზავნიდა, მათთან ერთად საიდუმლოდ ფარული ზრახვებისა და ვერაგობის სხვა წერილებსაც სწერდა ლუარსაბსა და თეიმურაზს ერთიმეორისაგან იღუმალად. ლუარსაბს წერდა: „ნუ ენდობი თეიმურაზს, ნუ უერთგულებ მას, ვინაიდან იგი შენი მტერია და სურს მეგობრობის ნიღაბით მოგატყუოს, მოგკლას

და დაეპატრონოს შენს ქვეყანას. მან თითონ გამაცნო ეს განზრახვა. სანამ ცოცხალი ხარ შენ თითონ დაასწარი, მოჰკალი იგი და დაეპატრონე შენსა და იმის ქვეყანას. მეც შენ დაგეხმარები, ლაშქარი დაგჰირდება თუ ფული, რადგან მსურს, რომ შენ გაბატონდე მის ქვეყანაზე“.

ამასვე სწერდა შაჰი თეიმურაზს ლუარსაბისაგან დაფარულად: „მოკალი ლუარსაბი და დაეუფლე ორივე ქვეყანას“. სამგზის გაუგზავნა მათ ასეთი წერილები აშკარად და ერთიმეორისაგან დაფარულად, მაგრამ ლუარსაბი და მისი დედა არც თვითონ მიუვიდნენ და არც ასული გაგზავნეს.

საიდუმლო წერილები, რომლებიც ერთმანეთის შესახებ მიიღეს თეიმურაზმა და ლუარსაბმა, თავისთან შენახული ჰქონდათ და ჯერ კიდევ ცდილობდნენ გამოერკვიათ სიმაართლე და სიცრუე. ღვთის წყალობით ორივე მეფემ ერთმანეთს გაუმხილა ეს ფიქრი. მათ ერთმანეთს უჩვენეს შაჰისაგან გამოგზავნილი წერილებიც. ორივე მეფემ თვალნათლივ დაინახა და ნამდვილად შეიტყო შაჰის მტრობა, რომელიც მათ მიმართ გამოავლინა. მათ მტრობის ნაცვლად ურღვევი სიყვარული და უტეხი მეგობრობა განამტკიცეს ერთმანეთში. ამიტომ ლუარსაბმა თავისი და, რომელსაც შაჰი ითხოვდა, თეიმურაზს მისცა ცოლად. რადგანაც მისი პირველი ცოლი გარდაცვლილი იყო. იქვე გადაიხადეს თეიმურაზისა და ლუარსაბის დის ქორწილი, რომელსაც სახელად ფარი ერქვა¹⁰.

ქორწილის შემდეგ თეიმურაზი და ლუარსაბი წავიდნენ მცხეთაში, რომელიც მათი სატახტო და საპატრიარქო ქალაქია. და კვლავ შეჰფიცეს, რომ ერთმანეთის ერთგულნი და თანამდგომნი იქნებოდნენ სპარსელებთან ბრძოლაში.

ყოველივე ამის აღსრულების შემდეგ წერილების მომტანი სპარსელები, რომლებიც აშკარად იყვნენ მოსულნი, და მსტოვრები, რომლებიც ფარულად იყვნენ მოგზავნილნი, წავიდნენ და ყველაფერი უამბეს შაჰს. იგი სულით და გულით ღრმად შეურაცხყოფილი დარჩა, რადგან თვითონ რამდენჯერმე ითხოვა ქალი და მისი გულსათვის მრავალრიცხოვანი ჯარით მივიდა, მაგრამ მას არ მისცეს [ლუარსაბის და] და თეიმურაზს მიათხოვეს.

შაჰმა მოუხმო მოურავს და უთხრა: „ასეთი ჯარით წამოგვიყვანე და აქამდე მოგვიყვანე, მაგრამ ასული, რომელზეც ამბობდი, აი, იპოლე, მე არ მომცეს და მისცეს ჩემ მტერს, რომელიც ძნელად თუ გატოლდება ჩემს მსახურთა, სასაცილოდ და სამასხროდ გამხადეს მთელ ქვეყანაზე. თუ არ წამიყვან და არ შემიყვან ქართველთა ქვეყანაში და ჩემს ხელისუფლებას არ დაუშონებ მათ ქვეყანას, იცოდე, რომ

ცოცხალი არ გადამირჩები და ნაკუწ-ნაკუწად იქცევა შენი სხეული“. მოუტრავმა ჰკითხა: „თუ არ წაგიყვან იმ ქვეყანაში, მასე მოიქცევი, ხოლო თუ წაგიყვან, მაშინ რას იზამ?“

შაჰმა უთხრა: „ყველა ჩემ მებინახეთა და უპირველეს დიდებულთა შორის ყველაზე უფროსი, პატივცემული და უმაღლესი შენ იქნები“. მლურავის რჩევით მოიცადეს დეკემბრის თვემდე, დიდ ღღესასწაულამდე. როდესაც დადგა ზამთარი, სიცივეები გაძლიერდა და მოსულშა თოვლმა დაფარა შთის მწვერვალები და გასაქცევი გზები. სიმაგრეებში მყოფი ხალხი სიცივისაგან შეწუხდა და ბინებში და სოფლებში ჩამოვიდა, ხეებს ფოთოლი გასცივედა და ყველა ადგილი ხელისგულივით გამოჩნდა.

მაშინ მოუტრავმა უთხრა შაჰს: „აი, ახლა გავემართოთ ქართველთა ქვეყნისაკენ, რადგან დადგა ჟამი [წასვლისა]“. წამოვიდნენ ქალაქ განძაკიდან და მიაღწიეს კახეთის საზღვრებს, რომელიც არის თეიმურაზის ქვეყანა. კახეთის გზა ხეობებში გადიოდა. იმ გზით უნდა გაეცლოთ და შემდეგ კახეთში შესულიყვნენ. გზა ვიწრო, ტალახიანი და ძნელად სავლელი იყო, ხეობის ორივე მხარეს მაღალი და კლდინი მთები იყო აზიდული ბუჩქნარითა და ხშირი ტყით დაფარული, რომელშიც ვერც კაცი გაივლიდა და ვერც ცხენი. ლუარსაბი და თეიმურაზი მივიდნენ დიდძალი ჯარით, დაიჭირეს ხეობაში შემავალი გზა და ქვისგან და ხისგან ააგეს შტკიცე სიმაგრე. შიგნით შოაწყვეს საომარი ადგილი, თვითონაც შიგნით დადგნენ და იქიდან ებრძოდნენ მტერს, რომელიც გარეთ იყო.

სპარსელთა ჯარი ღია ადგილზე, ხეობის პირდაპირ იყო დაბანაკებული. როდესაც მათ დაინახეს, რომ ქართველებმა დაიკავეს გზის გასავლელი, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ და საგონებელს მიეცნენ. შაჰმა კვლავ მოუხმო მოუტრავს და სიკვდილით დაემუქრა მას, მაგრამ თითონ მოუტრავიც საგონებელში იყო ჩავარდნილი. ორი დღის შემდეგ მოუტრავმა უთხრა შაჰს: „ვგონებ ვიპოვე სხვა გზა, მაგრამ აქედან ორი დღის სავალ სიშორეზეა. გარდა ამისა, საჭიროა ცულობით, წერაქვებითა და ბარებით მომუშავე კაცები, რომ ტყე გაკაფონ, ოღრო-ჩოღრო ადგილები გაასწორონ და გაადვილონ სიარული“.

როდესაც შაჰმა ეს სიტყვები მოისმინა, დიდად გაიხარა და უბრძანა თავის მეომრებს აეღოთ ცულები, ბარები და სხვა ხელსაწყოები, წასულიყვნენ იმ ადგილას და გზა გაეხსნათ. ისინი წავიდნენ, გაკაფეს ტყე, გაასწორეს უსწორ-მასწორო ადგილები, გახსნეს გზა, შემდეგ დაბრუნდნენ და შაჰს მოახსენეს, რომ მისი ბრძანება შესრულდა.

შაჰმა უბრძანა თავის ჯარს, რომ მოკაზმული, გამართული და გაწყობილი დაეტოვებინათ კარვები, აქლემები და სასაპალნე პირუტყვი, ურდო, ბაზარი და ყველაფერი სხვა, როგორც წინათ იყო, ისევ ისე დარჩენილიყო თავის ადგილზე. რათა ქართველებს ჰგონებოდათ, რომ ჯერ კიდევ იქ იდგა სპარსელთა ლაშქარი. მხოლოდ სპარსელი მეომარ-მოლაშქრენი თავისი საომარი იარაღითა და ცხენებით ფარულად და მალულად აყრილიყვნენ, წასულიყვნენ და ახლადგახსნილი გზით შეჭრილიყვნენ კახეთის ქვეყანაში. სპარსელთა მებრძოლი ლაშქარი მაშინვე აიყარა, წავიდა და ახლადგახსნილი გზით შეიჭრა თეიმურაზის ქვეყანაში, თავს დაესხა დაბებსა და სოფლებს და დაიწყო ქართველების შეუბრალებელი ხოცვა-ყლეტა.

თეიმურაზმა და ლუარსაბმა, რომელნიც ჯარით ხეობის შესასვლელთან იდგნენ, არაფერი იცოდნენ სპარსელების ნამოქმედარის შესახებ, ვიდრე უეცრად არ დაინახეს ვიღაც თავში დაჭრილი, ტანდაჩეხილი და მთლიანად სისხლით მოსვრილი კაცი, რომელიც გამოქცეოდა სპარსელებს და მოსულიყო საზარელი ამბის მაცნედ და მაუწყებლად სპარსელების მისვლისა და ქართველთა ქვეყანაში შეჭრის შესახებ.

ამის გამგონე თეიმურაზი, ლუარსაბი და ყველა, ვინც მათთან იყო, გაოცდნენ და თავზარდაცემულებმა ვერაფერი ველარ მოიმოქმედეს, ვერც ქონება წაიღეს და ვერც სიმდიდრე, სრულიად ვერაფერი. ყოველმა მათგანმა თავისი ოჯახი და უახლოესი მეგობრები თან წაიყვანა და თითოეული მათგანი ცხენზე ამხედრებული გამალებული სიჩქარით და სისწრაფით ილტვოდა, რომ სპარსელებს ხელში არ ჩავარდნოდა. იქიდან ლტოლვილი თეიმურაზი და ლუარსაბი ჩავიდნენ თბილისში, იქიდან კი გორში, მაგრამ ვერც იქ შესძლეს გაჩერება და კოლბას გზით გაიარეს კავკასიის მთა, რომელიც იგივე იალბუზის მთაა, და წავიდნენ ბაშიაჩუყის ქვეყანაში¹¹. რადგან ლუარსაბის დედა ბაშიაჩუყის მეფის ასული იყო¹², ამიტომ თეიმურაზი, მისი ცოლი, ლუარსაბი, მისი დედა და სხვა შათი ოჯახის წევრები ბაშიაჩუყში გაიქცნენ და თავი იხსნეს სპარსელების ხელიდან¹³.

სპარსელთა ჯარმა, რომელიც მეორე მხრიდან მივიდა და შეიჭრა თეიმურაზის ქვეყანაში, შემოუტარა ხეობის შესასვლელს, რომელიც შეკრეს ქართველებმა, დაარღვია კედელი და გახსნა ფართე და განიერი გზა, რომლითაც დაიძრა სპარსელთა ლაშქარი, შევიდა თეიმურაზის ქვეყანაში და აქ დაბანაკდა. იქვე დარჩნენ ორმოცდაათი დღე და შემდეგ წავიდნენ იმ ქვეყნიდან.

იქ ყოფნის დღეებში სპარსელთა ნამოქმედარს ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერს. გონებით მოისაზრე და გაიგებ თუ რამდენი

უტეხი ქრისტიანი მახვილით დააშავეს, დაჭრეს ან დახოცეს, უდანაშაულონი ტყვედ წაასხეს და შეურაცხვევს, ქონება და სიმდიდრე მიიტაცეს, ნაგებობანი ცეცხლს მისცეს და დაანგრიეს, ეკლესიები დააქციეს, საკურთხევლები და წმინდა ჯვრის გამოსახულებანი დაამხეს. დატყვევებულნი თავისთან ჰყავდათ ბანაკში და სხვადასხვა სატანჯველით აწამებდნენ: სიცივითა და სიშიშველით, შიმშილით და წყურვილით და სხვა მრავალი ხერხით.

როდესაც შაჰ აბასი კახეთში შევიდა და დაინახა, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი გაქცეულიყვნენ და ქვეყანა და მოსახლეობა მის ხელთ დარჩა, მაშინ ბოროტ ზრახვებში დაბრძენებულმა შაჰ აბასმა ქვეყნისამაობრებელი ახალი ხერხი მოიგონა და ბრძანა, რომ კახეთის ყველა თემი და სოფელი მოევლოთ გზირებს და მრავალი დღის განმავლობაში მაღალი ხმით ეყვირათ და გამოეცხადებინათ: „ძლიერმა, მშვიდობისმოყვარე და ქვეყნის აღმამენებელმა ხელმწიფემ — შაჰ აბასმა ბრძანა, რომ კახეთის ქვეყნის ყველა მცხოვრები, როგორც დიდებულები, ისე მხედრები, ხელოსნები, გლეხები და სხვა ყველანი, რომლებიც გახიზნული და გამაგრებულნი არიან მთებში, ტყეებში, ციხეებსა და სხვა მტკიცე ადგილებში, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებსა და ბინებში, იყვნენ მშვიდობით და ნუ ექნებათ სპარსელთა მეომრების შიში და ძრწოლა, რადგან ხელმწიფემ უბრძანა მათ, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთაგან არავინ შეავიწროვონ და შეაწუხონ. მათ, ვინც მორჩილებას გამოუცხადებს შაჰს და შაჰისევენი გახდება¹⁴. არაფერს დაუშავებენ და ისინი მშვიდობით იქნებიან. ვინც ეურჩება და წინაუღღგება ხელმწიფის ბრძანებას, მათ წინააღმდეგ შაჰი გაგზავნის მრავალრიცხოვან ჯარს, რომელიც აიღებს და ააოხრებს მათ სიმაგრეებს. მათ დახოცავს, მათი ოჯახის წევრებს ტყვედ წაიყვანს და სარჩო-საბადებელს კი მიიტაცებს. დატოვებულნი სიმაგრეები, დამორჩილებით (შაჰს), გახდით შაჰისევენი და მოიპოვეთ მშვიდობა. დიდებულებს და წარჩინებულ პირებს, რომელნიც პირველნი და სხვაზე ადრე მოვლენ, ხელმწიფე უწყალობებს დიდებასა და პატივს, დიდძალ საჩუქარსა და სათავადო უფლებებს“.

როცა გაიგეს კახეთის ქვეყნის მცხოვრებლებმა გზირების მიერ გამოცხადებული სიტყვები, ზოგი მათგანი მოტყუვდა, დაიჭრა და გახდა შაჰისევენი. ზოგი სიკვდილისა და ტყვედ წაყვანის შიშით მივიდა და გახდა შაჰისევენი. ზოგმა ველარ აიტანა სპარსელების ხანგრძლივი ყოფნა მათ ქვეყანაში და ისიც შაჰისევენი გახდა.

ზოგიერთმა კი. როცა შეიტყო, რომ ესა და ეს ციხე აიღეს, ამა და ამ სახელწოდების სიმაგრე დაიპყრესო, სიმაგრეებში შეხიზნულ ხალხს მუსრი გაავლეს და ტყვედ წაასხესო, შეძრწუნდნენ და შეშინ-

დნენ, რომ მათაც ისეთივე ბედი არ სწეოდათ, ამიტომ გამოვიდნენ სიმაგრეებიდან და შაჰისევენი გახდნენ.

ყვლავ ბრძანა შაჰმა იმათ შესახებ, ვინც შაჰისევენი გახდნენ, რომ თითოეული მათგანი დაესახლებინათ ბინებსა და სადგომებში, ნუგეში ეცათ, გაემხნევებინათ და დიდი ღმობიერებით ელაპარაკნათ მათთან. მათი კაცების და ქალების, ვაყების და ასულების და მათი ყველა მახლობლის. სახელები ნუსხებში შეეტანათ და თავისთან შეენახათ სპარსელებს.

მათ სადარაჯოდ ყველგან სპარსელთა ჯარი დააყენეს, რომ ვინმე მათგანი სხვაგან არ გაქცეულიყო. თან ატყუებდნენ და ეუბნებოდნენ: „იმითმ დაგიყენეთ მცველები, რომ ვინმე სპარსელმა არ შეგაწუხოთ და ქონება არ წაგართვათ“. ვინც შაჰისევენობა მიიღო, ყველას ისე მოექცნენ, როგორც გიაშბეთ.

ხოლო ვინც არ მოვიდა და სიმაგრეში დარჩა. გარს შემოეწყენენ სპარსელები მათ ციხეებს, მრავალი დღის განმავლობაში სხვადასხვა ხერხით ებრძოდნენ ციხეში მყოფთ, სანამ არ სძლევდნენ მათ და მახვილით უმოწყალოდ მუსრს არ გაავლებდნენ. როგორც წმინდა მსხვერპლს ღვთისადმი შეწირულს, ისე რაცხდნენ [ქართველები] თავისთავს მოწამისაებრ უფლისა.

შემდეგ გაძარცული ნივთები და ქონება ნადავლად მიჰქონდათ, გადარჩენილ ქალებსა და ბავშვებს ატყვევებდნენ და თავის ბანაკში მიჰყავდათ. რდგორც ვთქვი, ორმოცდაათი დღე დაჰყვეს კახეთში. არ დარჩენილა სიმაგრე, რომ არ აეღოთ; ან ადგილი, რომ არ აეოხებინათ; სრულიად იავარყვეს და წაბილწეს ყველაფრით სავსე, მდიდარი და ხალხმრავალი კახეთისა და გრემის ქვეყანა. კახეთისა და გრემის ეკლესიების ნივთები და სიწმინდეები, ჯვარი, ბარძიმი, სახარება, სასაკმევლე, ფილონი და სხვა ნივთები და სიწმინდენი, რომელიც იყო ძვირფასი და დიდფასოვანი და სხვადასხვანაირად შემკული პატროსანი ქვებითა და თვალმარგალიტით, შაჰმა ბრძანა, რომ არ დაემტკრიათ, წაეღოთ ქალაქ ისფაჰანში და ხელმწიფის ხაზინაში შეენახათ. დღემდე იქ ხელმწიფის ხაზინაშია ის ნივთები, რასაც ჩვენი ხალხიდან ბევრი ადასტურებს. რომელთაც ის წმინდა ნივთები თავისი თვალთ უნახავთ. ქრისტეს უკერავი კვართიც სხვა სიწმინდეებთან ერთად წაიღეს და იგი იმავე ხაზინაში, ქალაქ ისფაჰანში ინახება, რომლის წინაშე ახლაც სანთელს ანთებენ. ამ ამბის მთხრობელთ თვითონ თავისი თვალთ უნახავთ იგი. ისინი სარწმუნო კაცები იყვნენ.

ამ ქვეყნის მრავალგზის აოხრების შემდეგ შაჰი აიყარა იქიდან, მივიდა ორი ქვეყნის — კახეთისა და ქართლის საზღვარზე. იქ დაბანაკდა და ბრძანა ქართლის მკვიდრთაგან არავინ შეევიწროვებინათ და

შეეწუხებინათ. თუ სპარსელთა ჯარს რაიმე დასჭირდებოდა, რაც აუცილებელია ადამიანებისათვის და პირუტყვისათვის, ფულით ეყიდნათ მოსახლეობისაგან და ფასი გამყიდველის სურვილისამებრ მიეცათ. ისევ ბრძანა შაჰმა, წასულიყვნენ გზირები, მოევლოთ ქართლის ყველა თემი და ხმამალა გამოეცხადებინათ: „ბრძანებაა დიდი და ქვეყნიას აღმაშენებელი ხელმწიფის — შაჰ აბასისა, რომ ქართლის ქვეყანა თავისი მცხოვრებლებით, დიდებულებითა და მდაბიოებით იყოს მშვიდობით და მოსვენებით. ყველას, ვინც გახიზნულია ციხეებსა და მაგრებულ ადგილებში სპარსელების ჯარის შიშით, ამის შემდეგ ნულარ შეეშინდებათ და ექვს ნულარ მიეცემიან, დაბრუნდნენ ბინებში და ხელი მოჰკიდონ თავის საქმიანობას და მშენებლობას. იყოს მშვიდობა და მისვლა-მოსვლა სპარსელებსა და ქართველებს შორის, რადგან ქართლის ქვეყანას ჩემად ვრაცხ და ამიტომ არ დავარბევ ჩემი და ლუარსაბ მეფის გულისათვის, რომელსაც ჩემს ძედ, ძმად და მეგობრად ვთვლი რადესაც იგი დაბრუნდება. მის ქვეყანას მასვე ჩავაბარებ, მე კი ჩემს სამშობლოში წავალ. თუ მოინდომებს ლუარსაბ მეფე და მოვა, ასე მოვიქცევი, მაგრამ თუ არ მოვა, მოურავი, რომელიც ქართლის ქვეყნიდანაა, ქართველია [წარმოშობით] და რომელიც ახლა ჩემთან იმყოფება, ქართლს ამ მოურავს ვუბოძებ, მე კი ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები...“.

მოურავსაც უბრძანა შაჰმა, რომ მასაც გაეგზავნა თავისი მსახურები ქვეყნის ყოველ ადგილას, რომ მათ ამნაირადვე ელაპარაკათ და დაერწმუნებინათ ქვეყნის მოსახლეობა. ასევე ამაო და ცრუ დაპირებით ატყუებდა შაჰი მოურავსაც, როდესაც ეუბნებოდა — მოვა თუ არ მოვა ლუარსაბი. შენ გიბოძებ ქართლის მბრძანებლობასო. მოურავის მსახურნიც ასევე არწმუნებდნენ ქართლის მოსახლეობას.

ასეთი ცრუ და თვალთმაქცური სიტყვებით მოატყუეს მთელი მოსახლეობა. ბრძოლით და მუქარით კი არა, სიყვარულით და დაყვავებით დაარწმუნეს მთელი მოსახლეობა, გამოიყვანეს სიმაგრეებიდან და სოფლებში დაასახლეს. ამიტომ აივსო სპარსელთა ბანაკი ყოველგვარი საჭირო სურსათით, რომელიც აუცილებელი იყო ადამიანებისათვის და პირუტყვისათვის. სპარსელთა ჯარს არსაიდან არ ემუქრებოდა საფრთხე, არაფრის შიში არ ჰქონდა და ყოველმხრივ მშვიდობით და მოსვენებით იყო.

მაგრამ ქართლის მკვიდრნი შიშობდნენ, რომ შეიძლება ლუარსაბი არ მოსულიყო და მასზე ჯავრის საყრელად შაჰს თავისი ჯარისათვის ებრძანებინა ლუარსაბის სამფლობელო ქვეყნის აოხრება და წარტყევნა. სპარსელები ასეთი სიტყვებით მიმართავდნენ და არწმუნ-

ნებდნენ ქვეყნის მკვიდრთ: „მოლით და ჩაეწერეთ შაჰისევენებად: რომ თქვენც კახეთის მცხოვრებთა მსგავსად ტყვეობას გადაურჩეთ, რადგან ვინც შაჰისევენად ჩაეწერა, ტყვეობას გადაურჩა“.

ამიტომ ქართლის ბევრი მკვიდრი მივიდა და შაჰისევენად ჩაეწერა. ვინც შაჰისევენობას მიიღებდა, სპარსელებს მისი და მისი მახლობლების სახელები ნუსხებში შეჰქონდათ, რომელსაც თავისთან ინახავდნენ. შაჰისევენებად ჩაწერილებს მათ საკუთარ ბინებში ასახლებდნენ დიდი სიყუთისა და მშვიდობიანი ცხოვრების იმედის მიცემით.

ვიდრე შაჰი ორი ქვეყნის საზღვარზე იდგა¹⁵, კვლავ მოიგონა მან ახალი ხერხი და ერთ-ერთი თავის თანაგამზრახველთაგანი, დიდი მთავარი და სახელგანთქმული დიდებული, რომელსაც სახელად სარუ ხუჯა ერქვა¹⁶, დანიშნა მშვიდობის ელჩად და სიყვარულის წერილით გაგზავნა ლუარსაბთან. წერილის შინაარსი ასეთი იყო:

„ამაყთა ხელმწიფე შაჰ აბასი დიდი სიყვარულით სალამს უძღვნის ქართველთა მეფეს ლუარსაბს. მრავალჯერ მოგწერეთ სიყვარულით და გავამჟღავნეთ ჩვენი გულის კეთილგანწყობილება შენს მიმართ, მაგრამ არ უსმინე და არ დაუჯერე ჩვენს სიტყვებს. შეხედე ჩემს ნამოქმედარს და ირწმუნე, რადგან დაინახავ, რომ თეიმურაზის ქვეყანა ავაოხრე, ხოლო შენსას გაშენებულსა და ხელუხლებელს ვინახავ შენთვის და შენს მოსვლას ველოდები. ახლა ნუღარ დაიზარებ მოსვლას, უპკუო და უგუფურ მრჩეველთ ნუ დაუჯერებ და შენს სამეფოს ნუ დაკარგავ, რადგან გულში არც მტრობა და არც ბოროტება არა მაქვს შენდამი, ისევე როგორც შენ არავითარი ზიანი არ მოგიყენებია ჩემთვის. შენ მოსვლას იმისთვის გთხოვ, რომ როგორც ჩვენი წინაპრების დროს იყო ერთობა ორ ხალხს შორის, მსურს რომ ჩვენს დროშიც ისევე იყოს. ჩრდილოეთის ყველა მხარეს, რომელიც მდინარე არაზის აქეთა ნაპირზე მდებარეობს, შენ მოგანდობ, რომ იყო ზედამდგომელი და მბრძანებელი ყველა დიდებულისა, რომ შენ იზრუნო ამ მხარეზე, ხოლო ჩვენ მასზე უღარდელი ვიყოთ და მეორე მხარეზე ვიზრუნოთ. იყავ მშვიდობით“¹⁷.

ეს წერილი დაწერა შაჰმა და მისცა სარუ ხოჯას. სხვა მრავალი რჩევა და თვალთმაქცური ხერხი, რომელიც გულში ჰქონდა მას დაგროვილი, სიტყვით უბრძანა [და დაარიგა] თუ როგორი საშუალებით დაერწმუნებინა ლუარსაბი მისულიყო შაჰთან. სარუ ხოჯა წავიდა ბაშიახუყში, ეახლა ლუარსაბს და გადასცა სალამი და წერილი. წერილის წაკითხვისთანავე მიხვდნენ, რომ ყოველი სიტყვა ცრუ და ყალბი იყო და არ დაიჯერეს არც ლუარსაბმა, არც მისმა დედამ და დამ და არც თეიმურაზმა. თუმცა სარუ ხოჯა ბევრს და სხვადასხვა საშუალებით ეცადა დაერწმუნებინა ლუარსაბი, მაგრამ არ დაუჯერა.

რამდენიმე დღის შემდეგ შაჰის წერილს ასეთი შინაარსის პასუხი გასცეს: „თუ ქვეშაობისა შენი სიტყვები და მართლა გსურს, რომ ჩვენს შორის მეგობრობა სუფევდეს, შენი სიყვარულისა და მშვიდობის სურვილის ნიშანი ის იყოს, რომ შენ გაშენებულსა და ხელუხლებელს დატოვებ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს ნებას დართავ დარჩეს თავის სამშობლოში, შენს ნაცვლად მანდ ერთ-ერთი შენი დიდებულთაგანი დატოვებ, რომ სიყვარული, ერთგულება და კავშირი რომელიც შენ გწადიან, მისი უშამდგომლობით განვამტკიცოთ შენთან. შენ კი აიყარე და წადი ჩვენი ქვეყნიდან. ჩვენც დავბრუნდებით, დავეპატრონებით ჩვენს ქვეყანას და სიყვარულით და ერთგულებით ვიქნებით შენთან. იყავ მშვიდობით“.

მრავალი ეშმაკური რჩევის შემდეგ, დაინახა სარუ ხოჯამ, რომ არ უჯერებდნენ, ამიტომ წამოიღო ლუარსაბის წერილი, მივიდა შაჰთან და მოახსენა მათი ყოველი სიტყვა და მათი აზრის სიმტკიცე.

ასეთი პასუხის მოსმენის შემდეგ შაჰ აბასი აიყარა მთელი თავისი ჯარით და მივიდა გორის ზემოთ გამავალ გზაზე, რომელიც ბაშიაჩუყში მიემართებოდა, და იმ გზაზე დაბანაკდა. ამ ადგილზე დაბანაკების მიზეზი ის იყო, რომ თუ რომელიმე ქართველი დიდებული ან მდაბიო მონღოლებდა გაქცევას და ბაშიაჩუყში გადახვეწას, ველარ შესძლებოდა წასვლა.

იქიდანაც გაგზავნა შაჰმა სარუ ხოჯა ხელმეორედ ლუარსაბთან ბაშიაჩუყში, სიტყვითა და წერილით, იქნებ მოტყუვდეს და მეახლოსო, მაგრამ არ ეახლა.

კიდევ მესამედ გაგზავნა იგივე სარუ ხოჯა ლუარსაბთან, მაგრამ მაინც არ ეახლა.

ამ ხშირი მისვლა-მოსვლით შეწუხდნენ ლუარსაბი და მისიანები და უკანასკნელად მოსვლის დროს შეურაცხყოფელი საქმე დამართეს სარუ ხოჯას, იმ მიზნით, რომ აღარ გამოეგზავნა იგი შაჰს მათთან მოციქულად. შეურაცხყოფელი საქმე, რომელიც მათ მოიმოქმედეს, იყო შემდეგი: ჩამოართვეს მას მთელი ქონება, წაართვეს ყველა სამკაული და იარაღი, ტანსაცმელი და ცხენი, ჯორიც კი, რომელზეც თითონ იჯდა, გამოართვეს და თითონ სარუ ხოჯა ქვეითად გაუშვეს და დიდის მუქარით დაარიგეს, რომ მეორედ აღარ მოსულიყო. ასე შეურაცხყოფილი მივიდა სარუ ხოჯა შაჰთან. შაჰი მოთმინებით იდგა იმავე ადგილას და გონებით ეძიებდა ლუარსაბისა და თეიმურაზის დაღუპვის და მოტყუების ხერხს.

ვიდრე შაჰი ასეთ საგონებელში იყო და ვერ პოულობდა ვერავითარ გამოსავალს, იმ დღეებში ერთი ვიღაც თბილისელი კაცი, ბორტების მსახური, წყეულის შვილი, ეშმაკისაგან აღძრული, სატანის

წაქეზებით მოვიდა თბილისიდან, მივიდა ხელმწიფის ბანაკში და უთხრა შაჰს: „თუ შენი უდიდებულესობის მიზანია ლუარსაბის მოყვანა. თუ შენ ნამდვილად ეს გსურს და მას არაფერს ავნებ, მე წავალ და მოვიყვან მას შენთან“. ამ კაცის სიტყვებმა დიდად გააკვირვა შაჰი და ჰკითხა მას: „შენ როგორ შესძლებ იმის მოყვანას?“ კაცმა უპასუხა: „ჩვენ ლუარსაბის ნათესაფები ვართ, რადგანაც იგი მირონცხების მადლით არის ჩემი ნათლული და ჩვენ ურთიერთშორის დიდი ნლობა გვაქვს. ამიტომ მწამს, რომ იგი დაუჭერებს ჩემს სიტყვას“¹⁸.

ამ სიტყვების გაგონებამ აუწერელი სიხარულით აავსო შაჰი, რადგან ის საქმე, რომლის მოგვარებასაც თვითონ სხვადასხვა საშუალებით ცდილობდა და არაფერი გამოსდიოდა და რომელიც მას დიდი ხანია ეწადა, მაგრამ ვერ აღწევდა [საწადელს], ახლა ადვილად აღსრულდებოდა. ამიტომ იმ კაცს აღუთქვა დიდძალი განძი, მრავალი საჩუქარი და დიდი პატივით განდიდება, თუ მოიყვანდა ლუარსაბს.

ის ბედკრული და ავისმოქმედი კაცი, რომელიც გახდა ქრისტიანთა სამეფოს დაღუპვის მიზეზი. წავიდა ბაშიაჩუყში ლუარსაბთან და თეიმურაზთან და მრავალი დღის განმავლობაში ელაპარაკებოდა ლუარსაბს სარწმუნო და სიბრალულის აღმძვრელი სიტყვებით, ვიდრე არ შეასუსტა მისი აზრის სიმტკიცე. მაგრამ თეიმურაზი, ლუარსაბის დედა და და არ ენდობოდნენ მის სიტყვებს, არაბად აგდებდნენ მათ, რადგან დარწმუნებით იცოდნენ, რომ ყოველივე ეს შაჰის თვალთმაქცური ხერხი იყო.

მაგრამ იმ სატანისკერძმა, როგორც გველმა ევა, ისე დაიყოლია და დაითანხმა ლუარსაბის გონება შაჰთან წასვლაზე. ლუარსაბის დედა, მისი და. თეიმურაზი, დიდებულები და ყველა მათი მეგობარი ცხარე კრემლით ტიროდნენ. მოსთქვამდნენ და ეუბნებოდნენ: ნუ ჩაუგდებ შენს თავს მტერს ხელში, რადგან შაჰი შენი მტერია და არა მეგობარი და შენს დაღუპვას ფიქრობს“. თეიმურაზი ეუბნებოდა: „ნუ დაუჭერებ მაგ ორგულს და ვერაგ მხეცს, რადგან იგი ჩვენს დაღუპვას ცდილობს“. მაგრამ ლუარსაბის გონებას უფრო მეტად მოსწონდა იმ კაცის, ბოროტების მსახურის სიტყვა, ვიდრე თავის კეთილისმყოფელთა რჩევა. ამიტომ იგი პასუხობდა: „შაჰი მოვიდა და გაჩერდა ჩვენი ქვეყნის შუაგულში და მთხვავს მშვიდობის დამყარებას. თუ არ მიუვალ, მთელ ქვეყანას იავარყოფს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქრისტიანებს ამოხოცავს და ტყვედ წაასხავს და ყველაფრის ამის მიზეზი ვიქნები მე. სინდისდამძიმებულ ცხოვრებას ხანმოკლე საწუთროში და ამდენი ხალხის ცოდვის დადებას უმჯობესია ვეახლო შაჰს და ვიხსნა მთელი ქვეყანა, რომ ჩემის

მიზეზით ქვეყანა არ აოხრდეს. ღვთის იმედით პირდაპირ წავალ მანთან, ხოლო იქ რაც მომელის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, იყოს ნება კურთხეული უფლისა“.

ამრიგად, ასეთი გაბრიყვებული ჰკუთთ არ დაუჭერა ლუარსაბმა თავის მეგობრებს, ერწმუნა შაჰის სიტყვებსა და ფიცს და წავიდა ბა-შიაჩუყიდან, რომ შაჰთან მისულიყო. როდესაც მისი მოსვლის ამბავი მიუტანეს შაჰს, აღარ იცოდა როგორ გაეხარებინა თავისი გული¹⁹.

როცა მივიდა ლუარსაბი და მიუხალოვდა სპარსელთა ბანაკს, თვითონ შაჰი წინ გამოეგება ყველა თავისი დიდებულთა და ჯარით. როდესაც მათ ერთიმეორე დაინახეს სიყვარულით, სიხარულითა და დიდის პატივით სალამი უძღვნეს ერთმანეთს. შაჰი იმიტომ ხარობდა თავის გულში და სულში, რომ ეს დღე მისთვის უფრო ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ცხოვრების ყველა სხვა დღე, რადგან აღსრულდა ბოროტი სურვილი. რომელზეც დიდი ხანა ოცნებობდა.

როგორც ჩვეულებად აქვს ცბიერსა და გველის ბუნების სპარსელთა მოდგმას და განსაკუთრებით ამ შაჰს, დიდად დახელოვნებულ ვეშაპს, ჯერ დიდი სიყვარულითა და პატივით მიიღო იგი [ლუარსაბი]. ხშირად ცრუ, ფუჭი და თვალთმაქცური სიტყვებით და გულის მომგები სიტყვებით ესაუბრებოდა მას, სანამ ხმა არ გავრცელდა მთელ საქართველოში, რომ თითქოს შაჰის მიერ ლუარსაბის დაბარებას სიყვარულისა და ერთობის გარდა სხვა არავითარი მიზანი არ ჰქონიაო.

ამის შემდეგ შაჰი თავისი ჯარით აიყარა და წავიდა თბილისში. თან ლუარსაბიც წაიყვანა და თავის სწორად დიდის დიდებით ჰყავდა იგი და ხშირად ესაუბრებოდა სასიამოვნო სიტყვებით მისი გულის მოსაგებად და თავი მის კეთილისმყოფელად მოჰქონდა.

იმ დროს, როდესაც ლუარსაბი ახლად იყო ასული ტახტზე [მისი გამეფებიდან] რამდენიმე წლის შემდეგ, ოთხი-ხუთი წლით ადრე შაჰის მოსვლამდე მოხდა ლაპარაკი ლუარსაბის პაპის სიმონ-ხანის შესახებ, რომელიც შეიპყრეს ოსმალებმა²⁰, წაიყვანეს სტამბოლში, მოკლეს და ოქვადამარხეს²¹. ამის გამო აღუდგდა სისხლი ლუარსაბს და აღენთო სურვილით მოეტანა თავისი პაპის, სიმონ ხანის ნეშტი და მამა-პაპათა საძვალეში დაესაფლავებინა სხვა წინაპრებისა და მახლობლების გვერდით.

როდესაც მოიძია, ლუარსაბმა იპოვა ისეთი პირები, რომლებმაც იცოდნენ ადგილი, სადაც დამარხული იყო სიმონ ხანის ცხედარი ქალაქ კონსტანტინოპოლში²². დაუყოვნებლივ გაგზავნა მცოდნე კაცები სიმონ ხანის ნეშტის მოსატანად. ისინი წავიდნენ კონსტანტინოპოლში, ამოთხარეს მისი ნეშტი, წაიღეს და მიასვენეს თბილისში. იმ კაცების მოსვლა, რომლებმაც მოიტანეს სიმონ ხანის ნეშტი, და-

ემთხვა. იმ დროს, როცა შაჰ აბასი თბილისში იყო. როდესაც შაჰმა გაიგო, რომ სიმონ-ხანის ნეშტი მოითანესო, აღივსო სატანის ზრახვებითა და მზაკვრობით. იგი ქრისტიანების ისეთი მტერი იყო, რომ მათი სისხლიც კი სწყუროდა. შაჰი ცოცხლების წარწყმედითა და წარტყვევებით არ დაკმაყოფილდა და მიცვალებულის ძვლებსაც კი მტრად გაუხნდა. ამიტომ მკაცრად ბრძანა დაუყოვნებლივ მიეტანათ მასთან ნეშტი. როდესაც აღსრულდა მისი ბრძანება, სთქვა: „მას უფრო მეტ პატივს ვცემ და განვადიდებ, ვიდრე თქვენ, რადგან თქვენ არ იცით ხელმწიფის საკადრისი პატივისცემა. მე მსურს გავგზავნო იგი იმამ რიზასთან, რომ ჩვენ წინაპარ ხელმწიფეთა და მთავრებთან ერთად განდიდდეს“.

ასეთი თვალთმაქცური სიტყვებით გაგზავნა სიმონ-ხანის ძვლები სპარსეთში და ნება არ მისცა დაემარხათ საქართველოს მიწაში და ვერავინ გაიგო, თუ რა უყვეს ან სად წაიღეს. ასე გადაკარგეს და დაღუპეს სიმონის ნეშტი²³.

იმ დროის განმავლობაში, სანამ შაჰი საქართველოში იყო, მან თავისი ძლიერებით დაიპყრო მთელი ქვეყანა. თეიმურაზის ქვეყანა, როგორც მახვილით დაპყრობილი, აშკარად სპარსელების ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ამიტომ გაგზავნა სპარსელთა ჯარი, რომელმაც თეიმურაზის ქვეყანაში ააგო ციხეები, რომლებშიც სპარსელი მეომრები ჩააყენა, სელემ-ხანი, ფეიქარ-ხანი და ბეგდაშ-ხანი დანიშნა მმართველებად და მხედართმთავრებად, რათა მათ ქვეყანა დაეცვათ სპარსელთა მფლობელობისათვის²⁴.

აქებითა და გრემის მოსახლეობა მოისპო ნაწილი მახვილით. ნაწილი წარტყვევებით. ვინც გადარჩა და შაჰისევენად ჩაეწერა, მათ შესახებ შაჰმა ბრძანა, რომ ყველანი საზღვარზე გაეყვანათ და სპარსეთში გადაესახლებინათ. ამ საქმის აღმსრულებლად შაჰმა დანიშნა დიდებულები და ჯარი. წინანდელი საბუთებისა და ნუსხების საფუძველზე, რომლებშიც ჩაწერილი იყო [შაჰისევენების] სახელები და [ეს სიები] მათთან ინახებოდა, დაიწყეს მათი და ყველა მათი მახლობლის ძებნა. ყველა ისინი ოჯახებითა და ქონებით აყარეს მათი ადგილებიდან. ყველა, ვისაც აყრიდნენ, მოჰყავდათ და აგროვებდნენ მდინარე მტკვრის ნაპირას, ადგილზე, რომელსაც ეწოდება ლაზირინი, რადგან იქ აირჩიეს ბანაკის ადგილი. ასე იქცეოდნენ, სანამ ყველა შაჰისევენად ჩაწერილი არ აყარეს.

როდესაც დამთავრდა აყრა, იმავე სიებითა და ნუსხებით წაიყვანეს ხალხი იქიდან, წაასხეს და მიიყვანეს სპარსთა ქვეყანაში²⁵; მიიყვანეს ყაზვინში²⁶, ხოლო იქიდან ქალაქ ფაჰრბადში წაიყვანეს. როდესაც ქალაქ ფაჰრბადს მიაღწიეს²⁷, ზოგი მათგანი ქალაქ ფაჰრბად-

შივე დაასახლეს, როგორც ქართველები, ისე სომხებიც, მაჰმადიანებიც და ებრაელებიც. სხვა ბევრი მათგანი სოფლებში დააბინავეს და ყველას მისცეს ადგილები სახლებისათვის, ბაღებისათვის და სახნავი მიწები. ასეთი ხერხით ააოხრა [შაჰმა] ქართლის, კახეთისა და გრემის ქვეყანა, წაიყვანა [ხალხი] და აავსო ფაჰრაბადის ქვეყანა²⁸.

მაგრამ გადასახლებული ხალხი ვერ გამრავლდა იმ ქვეყანაში, რადგან ისინი შეუჩვეველნი იყვნენ იმ ქვეყნის ტენიან, მკაცრ, სულისშემხთავ და მძიმე ჰაერს, აგრეთვე საქმელ-სასმელს და იმ ქვეყნის სხვა საარსებო საშუალებებს. ამიტომ დაიწყო მათი გაწყვეტა და სიკვდილიანობა და მცირე ხანში იმდენი დაიღუპა და მოკვდა, რომ ათიდან ერთი ძლივსღა დარჩა [ცოცხალი].

ისინი ვინც ცოცხლები დარჩნენ, ხანგრძლივი ავადმყოფობისა და ტკივილების შემდეგ ისე დასუსტდნენ, დაუძღურდნენ და დასნეულდნენ, რომ აღარ შეეძლოთ არაერთარი ფიზიკური სამუშაოს შესრულება საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. უცხო ქვეყანაში გადასახლებულნი და გადაკარგულნი გადარიბდნენ და გაღატაკდნენ. რაც ჰქონდათ გაყიდეს და შეჰამეს. ქართველებმა თავისი სიღარიბე შესჩივლეს შაჰს, რომელიც იმ დღეებში ფაჰრაბადში იყო. [ისინი უჩიოდნენ] სიღატაკესა და შიმშილს, რომელსაც ისინი განიცდიდნენ. შაჰმა უპასუხა თუ უარყოფთ თქვენ სარწმუნოებას და მიიღებთ მაჰმადის რჯულს, მოგცემთ დიდძალ ქონებას, რომლითაც ისაზრდოებთ და იარსებებთო.

საშინელი შიმშილით იძულებულებმა, მათ შეასრულეს შაჰის ბრძანება და გამაჰმადიანდნენ. მაგრამ შაჰმა არ მისცა მათ აღთქმული დიდძალი ქონება, იცრუა და მოატყუა ისინი. მხოლოდ თითოეულ მათგანს, როგორც დიდს, ისე პატარას, უწყალობა თითო-თითო დრაჰმანი და გაისტუმრა სახლებში.

ზოგიერთი აქებს ამ შაჰს, რომ ქრისტიანების მოყვარე, ქვეყნის აღმამენებელი და მშვიდობის მთესველი ხელმწიფე იყო, მაგრამ აი ესაა მისი ქრისტიანების სიყვარული: ქრისტიანთა ყველა ქვეყანა, სომხეთი და საქართველო ააოხრა და ყველა ამოსწყვიტა მახვილით, შიმშილით და ტყვეობით. ცოცხლად დარჩენილები კი წაასხა და დაასახლა ფაჰრაბადსა და ისფაჰანში, სადაც დღითი-დღე სპობდნენ მათ სხვადასხვა ხერხით, ვისაც მისი ქება სურს, ჯერ ნახოს და შეიტყოს მისი ნამოქმედარი საქმეები, რომელიც შეამთხვია ქრისტიანებს და შემდეგ აქოს იგი.

ჩვენ უკვე ვიამბეთ, თუ როგორ მოექცა შაჰი იმ ხალხს, ვინც შაჰისევენად ჩაეწერა თეიმურაზის ქვეყანაში, ისევე მოექცა მათ, ვინც შაჰისევენი გახდა ლუარსაბის ქვეყანაში, რადგან [შაჰმა] მათაც მიუჩი-

ნა ჯარი და სარდლები, რომლებმაც წინანდელი ჩანაწერებისა და ნუსხების საფუძველზე აყარეს ხალხი საცხოვრებლებიდან, წაასხეს და გადაასახლეს სპარსეთში. მაგრამ ეს ხალხი, რომელიც ქართლის ქვეყნიდან იყო, ფაპრბადში კი არ წაიყვანეს, არამედ ისფაჰანში წაიყვანეს და ისფაჰანის ზემოთა სოფლებში დაასახლეს, სადაც სომხებიც იყვნენ დასახლებულნი. ამჟამად, ჩვენი წელთაღრიცხვით 1107 წელს²⁹, როდესაც ვწერთ ჩვენს ისტორიას, ეს ქართველები თავიანთი სარწმუნოებიდან უკუიქცნენ მაჰმადის რჯულზე. ისინი ქრისტიანების ისეთი მტარვალები და ჯალათები გახდნენ, რომ საღმე გზაზე ჩვენთან შეხვედრის დროს ჩვენს სალამს არ პასუხობდნენ, რადგან ცოდვად თვლიდნენ სალამზე პასუხს. ისინი აგრეთვე გმობდნენ და შეურაცხურობდნენ თავიანთ მამა-პაპათ და წინაპართ, თითქოს ისინი ურწმუნონი იყვნენ და ურწმუნოებაში დაიხოცნენ, ახალი რჯულისათვის კი აღიდებდნენ უფალს და ამბობდნენ, ესაა ჭეშმარიტი რჯული, რომელსაც ახლა ვეზიარეთო.

იმ დროს როცა ქართველები ახლად მიყვანილი იყვნენ ისფაჰანში, მათგან გამოყვეს ერთი ნაწილი, წაასხეს და წაიყვანეს შირაზის ოლქში და ქვეყანაში, რომელსაც ასუფას უწოდებენ, სადაც ისინი ასევე ამოწყდნენ სხვადასხვა მიზეზის გამო, გადარჩენილები კი ყველანი უკლებლივ ეზიარნენ მაჰმადის ურჯულო რჯულს.

მაშინ როდესაც შაჰი თბილისში იყო, მას თან ჰყავდა ლუარსაბიც. ამიტომ ხარობდა, ზემობდა და იღბენდა, რადგან იგი თავის მახეში გააბა. მაგრამ წუხდა თეიმურაზის გამო, რადგან ვერ შეძლო მისი შეპყრობა. ამიტომ გულის სიღრმეში ბეჭემოთის მსგავსად ფიქრობდა თუ როგორ მოეხერხებინა მისი დაღუპვა.

ამასთან დაკავშირებით [შაჰმა] მოიგონა ასეთი ეშმაკობა. მან დაითანხმა ვიღაც კაცი და ბაშიაჩუყში გაგზავნა, ასწავლა მას მოქმედების ყველა გზა და მრისხანედ უბრძანა: როგორც-განდა ისე მოკალი თეიმურაზი, თუნდ ამჟამად, თუნდ ფარულად. ეს კაცი ფარულად გაგზავნა თეიმურაზის მოსაკლავად. ეს საქმე თავისი დიდებულებისაგან ჩუმად და მალულად მოიმოქმედა ისე, რომ არავინ არაფერი არ იცოდა. ეს კაცი ადგა და მივიდა ბაშიაჩუყში. ერთ დღეს იგი შევიდა იმ ოთახში, სადაც თეიმურაზი იყო. მიმოიხედა და დასწავლა ყველაფერი, გზა და ადგილი, სადაც ღამით ეძინა თეიმურაზს. ის ადგილი წარმოადგენდა ზემო სართულს, რომელზედაც ხიკბეთი აღიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ერთხელ იმ კაცმა ყველასაგან მალულად და შეუმჩნეველად დაიცადა და მთელი ღამე ფხიზლობდა რომ იქნება ეპოვნა მარჯვე დრო თეიმურაზის მოსაკლავად. როდესაც ღამე განახევრდა და მან დაინახა, რომ ყველას ეძინა, ეძინათ აგრეთ

ვე ღამის მცველებსაც, ანუ ქეშიქებს, ის კაცი ადგა ჩუმად და შემჩნევლად ხის კიბეთი ავიდა ზემო სართულზე, სადაც თეიმურაზს ეძინა და დაინახა, რომ ზემო სართულის ერთ მხარეს ორ ადამიანს ეძინა ერთ საწოლზე და მეორე მხარესაც ორ ადამიანს ეძინა აგრეთვე ერთ საწოლზე. ისინი, ვისაც ზემო სართულზე პირველ საწოლზე ეძინათ, იყვნენ თეიმურაზი და მისი ცოლი, ხოლო მეორე საწოლზე ორი პირისთარეში იწვა, რომლებსაც მომსახურების მიზნით მათ მახლობლად ეძინათ ერთ ლოგინში. კაცი, რომელიც მოსაკლავად იყო მისული, დანამდვილებით ვერ გაერკვა, თუ რომელი მათგანი იყო თეიმურაზი, ამიტომ გადაწყვიტა მიეტოვებინა იმ ღამეს მკვლელობის განზრახვა, უკან გაბრუნებულიყო და მომდევნო დღეებში ენახა და ზუსტად გაერკვია, თუ რომელი მათგანი იყო თეიმურაზი. როცა შემდეგ მისულიყო, შეუცდომლად მისთვის დაეკრა და მოეკლა. ეს აზრი უფალმა შთაუწერა იმ კაცს გულში, უკან დააბრუნა იგი. რათა არ დაღუპულიყო ქრისტიანი ხელმწიფე, შაჰის თვალთმაქცური ბოროტება გამოაშკარავებულიყო და შერცხვენილიყო იგი. ამ განზრახვით ის კაცი მიტრიალდა და ზემო სართულიდან იმ ხის კიბეთი, რომლითაც მალდა ავიდა, დაიწყო დაბლა ჩასვლა. როცა ის კაცი ძირს ჩადიოდა, მისივე საკუთარა ხმალი, რომელიც მას წელზე ერტყა, მოხვდა კიბეს და გაიქლარუნა. ხმაურზე ქეშიქების ძაღლები გამოფხზლდნენ და კაცს ყეფა დაუწყეს, ძაღლების ყეფაზე კი მცველებმა გამოიღვიძეს, დაინახეს ის კაცი, გარს შემოეხვივნენ და შეიპყრეს. ვინც იხილა ის კაცი, თავზარდაცემულები სახტად დარჩა. დილით თეიმურაზმა და სხვა დიდებულებმა მოუხმეს იმ კაცს თავის წინაშე და გამოკითხეს ყოველივე. იმ კაცმა გულწრფელად უპასუხა, რომ შაჰმა გამომგზავნა წადი და მოკალი თეიმურაზიო.

მაშინ თეიმურაზმა გულის სიღრმიდან ამოიგმინა და სთქვა: „აი, უყურეთ ძმებო, შაჰმა ~~არც~~ წამართვა, თავისთან წაიყვანა და საჭურისებად აქცია, დედაჩემი წაიყვანა და სპრსეთის სიღრმეში გადაკარგა, ახლა ჩემი ქვეყანა მთლად ააოხრა, ჩემი ერი და ხალხი დაატყვევევა, მე მხოლოდ ჩემს თავს და ვუშველე გამოქცევით და [ახლა] უცხლ ქვეყანაში ვარ, მაგრამ იგი ამითაც არ კმაყოფილდება და შორიდან კვლავ ცდილობს ჩემს მოკვლას. რის იმედითღა გავბედავ მასთან წასვლას?!“.

ვინც იხილა ეს საქმე და გაიგო თეიმურაზის სიტყვები, გაამართლა მისი ნათქვამი. თეიმურაზმა აპატია იმ კაცს, არ მოკლა და გაათავისუფლა, რათა თავისი გზით წასულიყო. მაგრამ თითონ ვეღარ გაბედა ბაშიაჩუყში დარჩენა, რათა შაჰს სხვა უბედურება კიდევ არ

შეემთხვია მისთვის. ამიტომ დატოვა ბაშიაჩუყი, გადავიდა დადიანის ქვეყანაში და გაეცალა შაჰს.

ყველა ის ბოროტება, რომელიც თავს დაატება შაჰმა ქართველთა-ქვეყანას, არ ძალგვიძს მოგიტხოვროთ, რადგან ეს სიტყვის ძალას აღემატება. მთელი ერთი წელი დაჰყო შაჰმა თავისი ჯარით საქართველოში და ერთი წლის შემდეგ განიზრახა საქართველოდან წასვლა და სპარსელთა ქვეყანაში დაბრუნება.

მაგრამ შაჰი საგონებელში, დარდსა და ფიქრში იყო ჩავარდნილი. თუ როგორ დაეღუბა ლუარსაბი. მან მოითათობირა თავის დიდებულებთან, რომ მათ დაერწმუნებინათ ლუარსაბი „ღვთის მადლით და შეწევნით შენ მოხვედი და ეახელი შაჰს, თქვენ შორის ურთიერთ-სიყვარული და ერთსულოვნება სუფევს. ამ სიყვარულისა და კავშირის პირობის განმტკიცებისათვის ახლა გმართებს და გვეალბება შენი ქვეყნიდან წასასვლელად გამზადებულ შაჰს გაჰყვე სამი-ოთხი დღის სავალ გზაზე, გააცილო იგი შენი ქვეყნის საზღვრამდე, ამის შემდეგ კი დაუბრუნდი შენ ტახტს“.

თითონ შაჰმაც ასეთივე სიტყვებით მიმართა ლუარსაბს საუბრის დროს. ლუარსაბი, რომელსაც გულში არ ჰქონდა ბილწი თვალთმაქცობა, როგორც ეს დამახასიათებელია ქრისტიანებისათვის, აღუთქვა, რომ შეასრულებდა მათ რჩევას.

რადღესაც შაჰი დაიძრა ქალაქ-თბილისიდან, წინასწარი პირობის თანახმად მან ლუარსაბიც თან წაიყვანა. როცა გაიარეს სამი-ოთხი დღის სავალი გზა, მან ხელშეორედ უბრძანა თავის დიდებულებს, რომ ლუარსაბისათვის ასე მიემართათ: „რადგან ამდენი დღის სავალი გზა გამოიარე და დიდი პატივი დავცდე. ახლაც გთხოვთ, ნუ დაგეზარება და კიდევ გამოგყევი და წამოდი ქალაქ განჯამდე. შაჰს გადაწყვეტილი აქვს განჯაში თავისთან დაიბაროს იმ მხარეთა ყველა მმართველი. შემახიდან და ერეგნიდან და სურს, რომ ისინი შენ ხელისუფლებას დაუმორჩილოს, შენ კი მათ ზედამდგომელად და მბრძანებლად დაგნიშნოს, რათა ყველა გასაკეთებელი საქმე შენი ბრძანებით აღსრულდეს“. ამაზეც დათანხმდა ლუარსაბი და შაჰს განჯაში გაჰყვა.

განჯაში კი, როცა განვლო მრავალმა დღემ და არ გამოჩნდა შაჰის დიდებულების ნათქვამი სიტყვების აღსრულების და აგრეთვე მისი განთავისუფლების ნიშანი, ლუარსაბი გუმანით მიხვდა, რომ იგი ვერაგობით გაიტყუეს თავისი ქვეყნიდან და აღარ მისცემენ სამშობლოში დაბრუნების ნებას. ამიტომ დიდ მწუხარებას და საგონებელს მიეცა ლუარსაბი და თუმცა ბევრს ფიქრობდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო თავის დასახსნელი საშუალების გამონახვა.

თვალთმაქცი ბოროტმოქმედი შაჰ აბასი ფიქრობდა თავის ცბიერ ფიქრს: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ლუარსაბმა ღამით ან დღისით ხელსაყრელი დრო იპოვოს და როგორმე მოახერხოს გაქცევაო. ამიტომ კიდევ მოიგონა ასეთი ახალი ეშმაკობა: შაჰმა ლუარსაბს უბოძა ერთი ჯილა, რომელსაც თავზე იდგამენ დიდებულები. იგი ძალიან ლამაზი და ნატიფი, მშვენიერი და ძვირფასი იყო. ჯილას ბოძებასთან ერთად შაჰმა სიყვარულით უბრძანა ლუარსაბს, რომ როდესაც ჩემთან მოხვალ, ეს ჯილა ყოველთვის თავზე გედვასო. ლუარსაბიც შაჰთან წასვლის დროს ყოველთვის ასე იქცეოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შაჰმა უბრძანა თავის ქურდებს. რომელნიც მუდამ მასთან იყვნენ, რადგან სხვადასხვა მიზნებისათვის შაჰს ყოველთვის თან ჰყავდა ბევრი გამოცდილი ქურდი, ამჯერადაც მათ მიმართა და უბრძანა ჩუმაღ და ფარულად შეპარულიყვნენ ღამით ლუარსაბის კარავში და მოეპარათ ის ჯილა და სხვა მისი ნივთები. ქურდებიც ისე მოიქცნენ. როგორც შაჰმა ასწავლა: მოიპარეს ჯილა და სხვა ნივთები.

ერთ დღეს, როდესაც ლუარსაბს შაჰთან მოუხმეს, ისე როგორც ყოველთვის უხმობდნენ, ლუარსაბი ეახლა და დაჯდა. მაგრამ მას წინანდებურად თავზე ჯილა არ ეხურა. როდესაც შაჰმა ის დაინახა, თითქოს არაფერი არ იცისო, ისე ჰკითხა. რატომ არ გხურავს თავზე ჯილაო. ქურდობის ამბავი რომ გაიგო, შაჰმა თავი მის მეგობრად და გულშემატკივრად მოაჩვენა, წუხდა და ნანობდა. შემდეგ მიუბრუნდა თავის დიდებულებს, რომელნიც იქვე იყვნენ. ვანურისხდა და გალანძლა, სიკვდილით დაემუქრა და უთხრა: „რატომ არ ემსახურებით მას კეთილი მზრუნველობითა და მორჩილებით? ისეთი დაუდევრები და გულგრილები ხართ, რომ ქურდებიც კი შედიან კარავში და იპარავენ ასეთ მშვენიერ და ჩინებულ ნივთს!“ ამას შაჰი ჯილაზე ამბობდა. შემდეგ თქვა: „ამის შემდეგ ნულარ მოხდება ისე, რომ თქვენი დაუდევრობის გამო ქურდები კიდევ მივიდნენ და ამის ნივთებიდან სხვა რამეც მოიპარონ და მეორედ ვჭამოთ სირცხვილი. დანიშნეთ მამაცნი და ფხიზელი კაცები, რომ ყოველ ღამე მცველებად იდგნენ, იგუშავონ და იდარაჯონ მისი კარვის მახლობლად. რომ რამე ზიანი არ მოუვიდეს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას ძირფესვიანად გაგანადგურებთ“.

ასეთი სასტიკი ბრძანების მიღების შემდეგ, დიდებულებმა მაშინვე დააყენეს მცველები მის [კარავთან], რომლებიც დღისითაც და ღამითაც ფხიზლად იცავდნენ მას.

ასეთი ხერხი იხმარა შაჰმა და ლუარსაბს. მცველები მიუჩინა, რომ ვეღარ გაქცეულიყო. ასე დაცული წაიყვანა და მიიყვანა თავ-

რიზში, შემდეგ თან წაიყვანა ყაზვინში, ფაჰრაბადში, ისფაჰანში, ხოლო იქიდან გაგზავნა ქალაქ შირაზში და იქ საპყრობილეში ჩააგდო³⁰. იქაც მიუყენა მცველები, რომლებიც ფხიზლად დარაჯობდნენ მას.

მოხდა ისე, რომ მრავალი წლის შემდეგ მოვიდნენ რუსეთის ხელმწიფის დესპანები მეგობრობისა და სხვა საქმეების გამო. იმ დღეებში შაჰი წასული იყო ისფაჰანის გავარში და იღვა მდინარის ნაპირას, რომელსაც აბიქურანს უწოდებენ. მას უნდოდა იმ მდინარის წყალი ისფაჰანის მდინარისათვის შეერთებინა, რადგან ისფაჰანი წყლის ნაკლებობას განიცდიდა³¹. ბევრი ხელოსანი და მუშა მუშაობდა წყლის კალაპოტის გასატრელად. შაჰიც სწორედ ამ მიზეზით იქ იყო გაჩერებული. რუსების დესპანები მოვიდნენ ამ ადგილას, შეხედნენ შაჰს და სხვა სათხოვართან ერთად ლუარსაბის გამოც შეეხვეწნენ; რომ დაებრუნებინა თავის სამფლობელოში, სადაც იგი შაჰის ბრძანება-მორჩილების ქვეშ იქნებოდა.

ცბიერმა შაჰმა სიამოვნებით მოისმინა ეს სიტყვები და მოწადინებითა და მზადყოფნით აღუთქვა, რომ შეასრულებდა ამ თხოვნას, გაგზავნიდა ლუარსაბს საქართველოში. ასე ასიამოვნა შაჰმა დესპანებს და გაისტუმრა მათ ქვეყანაში.

ამის შემდეგ შაჰმა მოუხმო დიდებულს, რომელსაც ჩაბარებული ჰყავდა ლუარსაბი და უთხრა მას: „წარწყმედისა და სიკვდილის ღირსი ხარ. რატომ დატოვე ლუარსაბი აქამდე ცოცხალი? ისინი (რუსები) მოვიდნენ და მის დაბრუნებას მოითხოვენ. ახლავე თუ დაუყოვნებლივ არ დაბრუნდები და მისი სიკვდილის ამბავს არ მომიტან, შენ მახლობლებთან ერთად აღიგვები პირისაგან მიწისა“.

ბრძანების მიღებისთანავე დიდებული სასწრაფოდ მივიდა ქალაქ შირაზში და ლუარსაბს თავი ისე მოაჩვენა, თითქოს სიყვარულისა და მშვიდობის მიზეზით იყო მისული.

ერთ დღეს ლუარსაბი და ის დიდებული ერთად გავიდნენ გასართობად მდინარის პირას და თევზის ჭერა დაიწყეს მდინარეში. პირველად სპარსელმა დიდებულმა აიღო ბადე, რომ გაესწორებინა იგი და მდინარეში ესროლა თევზის დასატყერად. მან განგებ თავისივე ნებით ცუდად გაასწორა ბადე, მდინარეში მრუდედ ისროლა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს არ ვიცი [ბადის ხმარებაო]. ლუარსაბმა, რომელსაც არავითარი ეჭვი არ ედო გულში და სული ცოდვილ არ ჰქონდა დამძიმებული, გამოართვა დიდებულს ბადე, რომ თვითონ უკეთესად ესროლა ბადე მდინარეში. სანამ იგი თავდახრილი და წელმოხრილი იღვა და ბადეს ამზადებდა, უკნიდან სპარსელმა დიდებულმა ამოიღო ხმალი, რომელიც წელზე ერტყა, მოულოდნელად დაჰკრა ლუარსაბს კისერზე და იმ ერთი დარტყმით ლუარსაბის მოკვეთილი

თავი მიწაზე გაგორდა³². იმავე სპარსელმა დიდებულმა აილო ლუარსაბის თავი და მიიტანა ზემოხსენებულ. აბიჭურანად წოდებულ ადგილას, ხელმწიფის ბანაკში და შაჰს მიაერთა.

როდესაც დაინახა შაჰმა თავი და მიხვდა, რომ ლუარსაბის თავი იყო, თავისი სასტიკი გულის გამო რისხვითა და წყრომით დაატყდა მოჭრილ თავს; შეურაცხყოფდა, აგინებდა და ზიზღით ურტყამდა და აქეთ-იქით ახეთქებდა. დიდხანს ექცეოდა ასე [ლუარსაბის] თავს გულის მრისხანების მიზეზით. შემდეგ ყურით აილო თავი და გადაადგდო. თავი დაღმართში დაგორდა, რადგან ის ადგილი დაქანებული იყო.

ასეთი იყო თბილისის მეფის, ლუარსაბის სიცოცხლის დასასრული. ავისმომქმედმა შაჰ აბასმა ასე დაღუპა იგი, მისი ქვეყანა კი ძალმომრეობით დაიპყრო.

V

მოთხრობა კახეთის მეფის თეიმურაზის დედის წამებისა იმავთე შაჰ აბასის მიერ

როცა თეიმურაზ მეფე თავის სამფლობელოში — კახეთში იყო, იგი მშვიდად მართავდა თავის სამეფოს და სპარსელებს მორჩილებდა, რადგან იმ დროს ჯერ არ იყო მისული შაჰი საქართველოში, არ განედევნა მეფეები და არ აეოხრებინა ქვეყანა, როგორც ეს წინა თავში გვიამბეთ. თეიმურაზი თავის ქვეყანაში იყო, შაჰი კი — სპარსეთში.

შაჰმა თეიმურაზთან გაგზავნა ვილაც კაცი და მოსთხოვა მძევალი. მან გაუგზავნა ერთ-ერთი თავისი ძე. შაჰმა მეორედაც მოითხოვა მძევალი და თეიმურაზმა თავისი მეორე ვაჟიც გაუგზავნა¹. შაჰმა მესამედაც მოითხოვა მძევალი და თეიმურაზმა გაუგზავნა თავისი დედა².

თეიმურაზის ორივე ვაჟი შაჰმა დაასაჭურისა, რათა მათგან არ დაბადებულყვნენ ძენი და მათი სამეფოს მემკვიდრენი არ გამხდარიყვნენ.

თეიმურაზის დედა [შაჰ აბასმა] სპარსეთის შუაგულში, შირაზში გაგზავნა იმამყული-ხანთან³ და იქ ჰყავდათ საპყრობილეში. ამგვარად, შაჰ აბასის ბრძანებით შეიპყრეს თეიმურაზის დედა, რომელსაც სახელად მარიამი ერქვა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი ეწამა ქრისტე ღმერთისათვის და ტანჯვით აღესრულა ქრისტეს რჯულისათვის იმავე შაჰ აბასის მიერ შემდეგი მიზეზის გამო.

სპარსელების მიერ დატყვევებულნი სხვა დიდგვაროვანი ქართველი მანდილოსნებიც იყვნენ სპარსელთა ქვეყანაში. მათი შვილებიც სპარსელთა მიერ ტყვეებად იყვნენ წაყვანილნი და დიდი ხელმწიფის შაჰ

აბას პირველის მსახურებად იყვნენ განწესებულნი. ისინი თავიანთი დიდგვაროვნების გამო ყოველთვის შაჰს ემსახურებოდნენ და მის წინაშე იდგნენ.

ერთ დღეს შაჰმა ამ მსახურებთან რალაც სიტყვაზე ჩამოაგდო საუბარი და გამოსაცდელად ასე მიმართ ამათ: „რატომ აძლევთ თქვენ დედებს უფლებას დარჩნენ ქრისტიანები, რის დასასრულიც წარწყმედაა, რატომ არ მიაღებინებთ მაჰმადის რჯულს და სარწმუნოებას, რომლის ბოლო სასუფეველის მშვენიერებაა“.

მსახურებმა უპასუხეს: „ხშირად ვეუბნებით, მაგრამ [მაჰმადის რჯულს] არ იღებენ“.

ხელმწიფემ იკითხა: „რატომ არ იღებენ?“

მსახურები შიშისაგან დაიბნენ და აღარ იცოდნენ რა მიზეზი მოეგონებინათ ან როგორი პასუხი გაეცათ. მაგრამ ერთერთმა მათგანმა უპასუხა: „ცოდნით კი არა, უმეცრებით არ იღებენ მაჰმადიანობას. როდესაც ვეუბნებით ჩვენს დედებს გამაჰმადიანდითო. ისინი გეპასუხობენ, თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანია, ჩვენ რატომღა უნდა გავმაჰმადიანდეთო?“.

ცბიერმა შაჰ აბასმა მაშინ გულში დაიმარხა ეს სიტყვები, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთი თავისი დიდებული გაგზავნა რომ მას ან გამოეცვლევინებინა დედოფლისათვის (თეიმურაზის დედისათვის) ქრისტიანული სარწმუნოება მაჰმადის რჯულზე, ან ბოროტი, სიკვდილით დაეღუპა იგი.

ის დიდებულთა წავიდა ქალაქ შირაზში, მიუახლოვდა დედოფლის კარს, მოუხმო მას და სახის უჩვენებლივ, კარს უკან ამოფარებულმა დაუწყო ლაპარაკი და უთხრა: „ხელმწიფის ბრძანებით გვეალეება გამაჰმადიანება. თუ თანახმა ხარ, მით უკეთესი; მაგრამ თუ თანახმა არა ხარ, ენით მაინც თქვი თანხმობა და შენი რჯული გულში დაიმარხე. ხალხის თვალში თავი ისე დაიჭირე, თითქოს ირწმუნე მაჰმადის სარწმუნოება, ფარულად კი ემსახურე შენ რჯულს, რომ ჩვენც ვიხსნათ თავი ცოდვისაგან, რომელიც შენგან მოგველის“. ასეთი სიტყვებით მიმართავდა დიდებული და ტიროდა მსგავსად ჰეროდეს ჯალათისა, რომელიც გაემართა იოანე ნათლისმცემელის თავის მოსაკვებად⁵.

დედოფალმა შიგნიდან უპასუხა: „შენ, ჩემო ძმაო და ჩემო ძეო, რისთვის მელაპარაკები დამალული? მოდი პირისპირ ვილაპარაკოთ. მეფის ასული, მეფის მეუღლე და მეფის დედა ვარ. ჩემი მეუღლის შემდეგ მე თვითონაც მიმეფნია. მაგრამ წარმავალია და ამაო ამქვეყნიური დიდება: თუნდა შენი ხელმწიფე ყველა სულდგმულის უფალი იყოს და მთელი თავისი სახელმწიფო მე მომცეს, არ ვუარყოფ ქრის-

ტეს, ჩემს უფალს და არ ვუღალატებ სიყვარულს, რომელიც მისდამი მაქვს, შენ კი რასაც იზამ, შენ იცი“.

დედოფალს თან ახლდნენ ორი ქართველი მღვდელი და სხვა მსახურები და მხევლები. მიუბრუნდა მათ დედოფალი და უთხრა: „თუნდაც ნაკუწ-ნაკუწ დამჭრან, არ დავსუსტდები ქრისტეს სიყვარულში და არ მივიქცევი მათს რჯულზე, თქვენი სიკეთე კი თქვენ თვითონ აირჩიეთ“. ყველა ხმამაღლა მოსთქვამდა და ტიროდა კეთილ ქალბატონთან განშორებას.

ბევრი ხვეწნისა და მუქარის შემდეგ, როცა დაინახა გამოგზავნილმა დიდებულმა მისი აზრის სიმტკიცე, ბრძანა რკინის ჭანგით დაედღრა მისი სხეული და უმოწყალოდ დაესახიჩრებინათ. დედოფალი კი აღიდგბდა უფალს და ცრემლით შესთხოვდა მიეცა მისთვის მოთმინება.

ამის შემდეგ გაახორეს სპილენძის მიტრა და თავზე ჩამოაცვეს მას. მაგრამ ვერც ამით შესძლეს მისი დაყოლიება. შემდეგ მოიტანეს რკინის ბარი, რომლითაც მიწას ახრიან, ის ბარი ძლიერად გაახურეს და დედოფალს ძუძუებს შორის მკერდზე დაადეს. ამით განუტევა მან თავისი სურნელოვანი სული უფლისათვის.

ერთი მღვდელთაგანიც ეწემა მასთან ერთად, სხვები კი მიიმალნენ.

დედოფალს ადრევე ჰქონდა ნაბრძანები, რომ როდესაც მომკლავენო, ჩემს სხეულს გარეთ ნუ გადაადგებთ მდაბიო ხალხის სახილველადო, მაგრამ შემდეგ მონანიებით თქვა: „მე ქრისტეს სარწმუნოებისათვის უნდა ვეწამო და ჩემს სხეულს ისე მოექცენ როგორც მოესურვებათ“. მისი მოკვლის შემდეგ მისი სხეულის პატიოსანი ნეშტი გარეთ გადაადგეს ძაღლებისა და მხეცების კეჩბად.

მაგრამ უფალმა განადიდა იგი ზეციური ნიშნით. ფრანგმა პატრებმა, რომლებიც ქალაქში იყვნენ, მოიპარეს მისი პატიოსანი ცხედარი, ერთი ნახევარი გაახვიეს სუფთა ქსოვილში საკმეველთან და მურთან ერთად და საფრანგეთში გაგზავნეს. სადაც პატივცემულია დიდის დიდებით. მეორე ნახევარიც გაახვიეს სუფთა ქსოვილში გუნდრუკითა და მურით და წაიღეს მის ძესთან, თეიმურაზთან საქართველოში და იგი აუწერელი სიხარულით აღვსებული დიდი მადლობით აღიდგბდა ქრისტეს, ჩვენს უფალს, რადგან ღირს ჰყო დედა მისი მოწამებრივი სიკვდილისა და ამბობდა მისი მეოხებით ჩვენს სამეფოს უფალი მტკიცედ დაიცავსო. დედის ნეშტი თეიმურაზმა პატივით დაკრძალა თავის ეკლესიაში. კურთხეულ იყოს ხსენება მისი და მისი ვედრებით შეწყალოს უფალმა ყველა ქრისტიანი.

წამება დედოფლისა მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 1074 წელს.

ალვანთა ძველის ისტორია, შემდგენილი ვარდაპეტი
ოვკანის წარმცის მიერ

ჩვენი სომხური წელთაღრიცხვის 1021 წელს¹, ატროპატაკანის² ხელმწიფე იყო ვინმე უცხო ტომის კაცი, სახელად დაჰმანი³, ყიზილ-ბაშების შაჰად წოდებული, დიდი მშვიდობისმოყვარე და უნაგარო. მოხუცებს უთქვამთ, რომ თხუთმეტი წელი გადასახადი არ აუკრეფია თავის ქვეყანაში. სავაჭრო გადასახადიც და ბაჟიც, რომელიც გროვდებოდა მის ხაზინაში, გააუქმა თავის საბატონო ქვეყანაში. ურცხვი დედაკაცები, რომლებიც ქალაქებში ცხოვრობდნენ, ბევრი ადამიანს აშკარად რყენიდნენ და ხელმწიფეს გადასახადს აძლევდნენ და ამის გამო თვალთ უნახავი ბიწიერება და სოდომის ავადმყოფობა გავრცელდა სპარსელებში, ყოველივე ეს მტკიცე ბრძანებით აკრძალა. სადაც გამოჩნდებოდა [ასეთი დედაკაცი] ბრძანებდა საშინელი წამებით მოეკლათ იგი. ხსენებული შაჰი გარდაიცვალა ჩვენი წელთაღრიცხვის 1024 წელს⁴. მან 61 წელი იმეფა.

მისი ერთ-ერთი ძე, სახელად ისმაილი, რომელიც წინათ მამის მიერ იყო შეპყრობილი და ყალაში⁵ იჯდა, რაღაც დანაშაულის გამო, ახლა განთავისუფლდა და თავის მამის ნაცვლად გამეფდა. ისმაილმა მახვილს საქმე გაუჩინა და დახოცა თავისი ღვიძლი ძმები, რიცხვით შვიდი. მერე შეუდგა თავის ჯარის მხედართმთავრების ამოხოცვას, ზოგს აშკარად [კლავდა]. ზოგს ფარულად, თითქოს ცდილობდა მოესპო სპარსელთა მთელი მოდგმა. სპარსელი წარჩინებულნი მიხვდნენ რომ დადგა მათი აღსასრულის ჟამი. ვინმე ამირხანმა, თავრიზის მმართველმა, მაჰმედმა, არარატის თემის გამგებელმა, მეტსახელად თოხმახად წოდებულმა და სხვებმა, რომელთა სახელები დარწმუნებით არ ვიცი, შეჰკრეს კავშირი ისმაილის მსახურებთან და ფარულად მოკლეს იგი, ისე რომ მისმა ჯარმა არ იცოდა მისი სიკვდილის ამბავი. მისი სასამართლო დივანში გამოუცხადებლობა სხვებს იმით აუხსნეს, რომ თითქოს იგი მალულად წავიდა სხვა ქვეყნების მდგომარეობის შესატყობად და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდებოდა. ასეც დაიჯერეს, მაგრამ შემდეგ ყველამ დანამდვილებით შეიტყო მისი სიკვდილის ამბავი⁷.

კვლავ შეიკრიბნენ ისინი (სპარსელი დიდებულები), წავიდნენ ზორასანში და მოიყვანეს ზოდაბანდად წოდებული. საქმიანობით შეიხი, ისმაილის ძმა, და იმავე შაჰ თაჰმასას ძე, რომელიც თავისი მამის მიერ ზორასანის გამგებლად იყო დანიშნული. ისმაილის ნაცვ-

ლად ის დასვეს ტახტზე, მაგრამ იგი უძლური და სუსტი იყო სახელმწიფო საქმეებში და ორივე თვალში სინათლედ აკლდა⁸.

მისი მბრძანებლობის მეორე წელს ბიზანტიის ხელმწიფემ, ტომით ოსმალომ, სახელად მურადმა⁹, რომელსაც ხონთქარს უწოდებენ, უბრძანა თავის ჯარს გაელაშქრა ყიზილბაშთა ქვეყნის წინააღმდეგ. ადგა ერთი მხედართმთავარი ლალად წოდებული¹⁰ და მრავალრიცხოვანი ჯარით მოვიდა და შემოიჭრა არარატის ქვეყანაში, ტყვედ იგდო სომხები და სპარსელები — რიცხვით 60 000 და წაიყვანა ურუმთა ქვეყანაში¹¹. მომდევნო წელს კვლავ დაიძრა იგი, გაილაშქრა ქართველებზე და მივიდა ქალაქ ფაიტაკარანში, ანუ თბილისში¹², ააშენა ციხეები და სიმაგრეები და შიგ მრავალი მეომარი ჩააყენა. ერთ-ერთი ბაგრატიონი, ქართველთა მეფე, სიმონად წოდებული¹³, რომელიც ერთ დროს ურჩობის გამო შეიპყრო ზემოხსენებულმა შაჰ თამაზმა¹⁴, განუდგა [ქრისტიანთა] რჯულს და მასთან იმყოფებოდა. ისმაილმა გახელმწიფებისთანავე სიმონს მისი წინაპართა სამფლობელო და ქვეყანა უწყალობა და (ნება მისცა) რომ წასულიყო და თითონ ებრძანებლა, მაგრამ რჯულით მაჰმადიანი უნდა დარჩენილიყო.

როდესაც [სიმონი] მივიდა თავის ქვეყანაში, თბილისში, იგი შეურაცხვეს მისმა დიდებულებმა და მღვდლებმა, განსაკუთრებით კი მისმა ცოლმა და ოჯახის წევრებმა, რომელნიც მას რჯულის მგმობელსა და უზიარებელს უწოდებდნენ და უარს ამბობდნენ მასთან ურთიერთობაზე. ამიტომ შეწუხდა [სიმონი], უარყო მაჰმადიანობა და კვლავ იწამა სათაყვანებელი ჯვარი ქრისტესი და ჯვარცმული ქრისტე ყოველი. ეს ამბავი სპარსელებმაც შეიტყვეს, მაგრამ ისმაილი უკვე გარდაცვლილი იყო, ხოლო სხვები ვერაფერს გააწყობდნენ მასთან. ამიტომ დათანხმდნენ რომ ყოფილიყო იგი ქრისტიანი, ოღონდ ერთგულება და გულწრფელობა გამოეჩინა შაჰის სახლის მიმართ.

ახლა ლალამ გააქცია ეს სიმონი და მის ქვეყანაში მრავალი ციხე ააშენა, რომელთა აღწერა არ ძალგვიძს, რადგანაც არ გვინახავს ის ადგილები, მაგრამ გავიგეთ, რომ თბილისში, დმანისში, გორში, ლორეში და სხვა ადგილებში ააგო ლალამ ციხეები და მასში ჯარი ჩააყენა. თითონ ალანეთში¹⁵ გადავიდა, მივიდა რკინის კართან, იქაც ააგო ციხე, რომელსაც დამურღაფი ეწოდება¹⁶, და შიგ მრავალრიცხოვანი ჯარი ჩააყენა. მხედართმთავრად დანიშნა ვინმე ოსმანი, ძლიერ გამოცდილი და შეუბრალებელი, ხოლო თითონ ლალა დაბრუნდა თავის ხელმწიფესთან და მოიკლა იმისგან ცილისმწამებელთა

დასმენის გამო. უფლის შურისგებამ მოუსპო მას სიცოცხლე უდა-
ნაშაულოთა სისხლის დაღვრისათვის¹⁷.

1028 წელს დადგა¹⁸ საშინელი, დიდი და მოულოდნელი სიკვდი-
ლიანობა, რომელმაც ყველა ტომიდან უამრავი ხალხი იმსხვერპლა.
ბევრი სახლი უპატრონოდ და ბევრი მამა და დედა უშვიოდ დარჩა.
აღვანთა ქვეყანა¹⁹ ასეთ განსაცდელში და მიცვალებულთა გლოვაში.
იყო, ცოცხლები კი დავრდომილთათვის და საკუთარი თავისათვის
ზრუნავდნენ და დაფიქრებულნი ამბობდნენ: „ნეტავი გადავურჩე-
ბით ამ მოულოდნელ სიკვდილიანობას თუ არა?“

ამ უდროო დროს მოულოდნელად მოვიდა და შემოიჭრა მტერი,
ის ოსმანი²⁰, რომელმაც სიკვდილიანობაც დაგვაიწყა, ის ჯერ თათ-
რებთან შეიკრა, რომლებსაც დაითაღს ქაზხიან²¹ და კავკასიის მთიელ-
ლეკებს თავი მოუყარა დამურღაფში, უთვალავ და აურაცხელ
სისხლისმოწყურებულ მხედრებთან ერთად დაიძრა და მოვიდა მდი-
ნარე მტკვრის აქეთა მხარეს, განჯისა და ბარდავის დიდებულები გა-
აქცია. [ოსმალოთა ლაშქარი] მოედო მთასა და ბარს. განჯა, ბარ-
დავი, ჭარაბერდი, ხაჩენი, ვარანდი, დიზაკი, ჩარექად წოდებული
მდინარიდან მდინარე არეზამდე ერთ დღეში ივარყვეს და წარტყ-
ვევნეს, საზარელი მახვილით მოსრეს მოსახლეობა და ოთხი-ხუთი
დღის შემდეგ დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში.

იმავე წელს ამ ორ უბედურებას, სიკვდილს და მახვილს დაემა-
ტა საშინელი, აუტანელი და სასტიკი შიმშილი; სიკვდილმა ბევრი
დააობლა, მძარცველებმა კი გააღატაკეს და უსახლკაროდ დატოვეს
აღამიანები, რადგან სომხეთის გავარები, რომელნიც ყიზილბაშთა
მფლობელობაში იყო, აკლებული და აოხრებული იქნა. [უსახლკა-
როდ დარჩენილნი] თუ სადმე შენობას ნახავდნენ, ბინას იქ იღებ-
დნენ.

შიშველნი, მამაკაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდე-
ბი, ვაჟები და ასულები, უსახლკაროდ დარჩენილები თვალცრემლი-
ანი სახით დაიწოდნენ, უცხო კარებს და სახლებს მიადგებოდნენ
და საჭმელს თხოულობდნენ. საჭმელი არ ყოფნიდათ და მათ შო-
რის ყველაზე ღონივრები ჩუმად შედიოდნენ ცხვრის ფარეხებში და
საქონლის სადგომებში, მაგრამ ვერ ახერხებდნენ დიდი პირუტყვის
დაკვლას სატევრების უქონლობის გამო, ამიტომ ღონიერი მამაკაცე-
ბი იჭერდნენ ლამაზ ხბოებს, ნორჩ ბატკნებსა და თიკნებს, გვერდს
უჭრიდნენ, გულს და შიგნეულს ამოუღებდნენ და უმს შეექცეოდნენ.
შემდეგ გამოდიოდნენ და ჩუმადვე წავიდოდნენ. ვერავინ იფიქრებ-
და, რომ ამას ისინი ჩადიოდნენ, მაგრამ წაასწრეს მათ ამ საქმეზე და
ყველამ ყველაფერი დანამდვილებით გაიგო.

სუსტები კი პირუტყვისა და ცხენების ნეხვის გროვებში ეძებდნენ ქერის მარცვლებს, პოულობდნენ და ჭამდნენ, ველარ არჩევდნენ სუფთასა და ბინძურს, შორიდან მოდიოდნენ და დიდი ხნის წინათ ქუჩაში გადაყრილ ძვლებს კრეფდნენ, ქვაზე დებდნენ და ქვითვე ნაყავდნენ, პირში იყრიდნენ და [კმაყოფილნი] ოხრავდნენ და ღინებდნენ. ტყავის ძველ ქამარსაც და დაგლეჯილ ფეხსაცმელებსაც თიხის ჭურჭელში დებდნენ, ხარშავდნენ და შეეჭეოდნენ.

ვაი ამ სანახაობას, ძმანო! გაზაფხულის დადგომისთანავე მათხოვრები მოედგნენ მინდორ-ველს. გაშავებული სხეულით, თხებისა და ცხვრის ფარის მსგავსად, გარეულ ნაყოფს და მწვანე ბალახს ჭამდნენ და ტანთ არ იმოსებოდნენ. რადგანაც [უფალმა] ქვეყანას შიმშილი მოუვლინა და მოციქულთა [წინასწარმეტყველების] თანახმად „და მოუწოდა სიყმილსა ქუეყანად და ყოველი ძალი პურისა შემუხრა“²². უფრო ხშირად ისინი იხოცებოდნენ, ვისაც თავი შიმშილისაგან უსივდებოდა. ზოგნი საძოვრებზე კვდებოდნენ, რადგან აღარ შეეძლოთ დაბრუნება, ზოგნი კი მიდიოდნენ სოფლებში და ქვის კედლებთან და დანგრეული სახლების კუთხეებში იხოცებოდნენ. თუ ვინმე ღვთისმომშიში გამოჩნდებოდა ცხრას, ათს ან უფრო მეტ გვამს თხრილში ჩაყრიდა ან ორმოს ამოთხრიდა და მიცვალებულთ მიწას მიყრიდა, თუ არა და, მიცვალებულები დაუმარხავი რჩებოდნენ.

ბევრი გაიგებდა ხოლმე, რომ ესა და ეს ტანუტერი²² ან წარჩინებული სახლის შვილი გარდაიცვალაო და მისი ცხედარი ამა და ამ ადგილას არისო. ამას რომ გაიგებდნენ, მისი მახლობლები და ნაცნობები წუხდნენ და ვაებდნენ მათი გულისთვის, მაგრამ დამარხვას ხვალისათვის სდებდნენ, ხოლო ხვალიდან — მესამე დღისათვის ათასი სიძნელის გამო. კვლავ გაიგებდნენ, რომ ცხედარი მხეცებმა დაგლიჯესო და მისი ძვლები გაიფანტაო. ამას რომ შეიტყობდნენ, მშვიდდებოდნენ და ასე რჩებოდა ცხედარი დაუმარხავი.

ვაი მე უბედურს და ჩემს მონათხრობს, ძმებო, რადგან ბევრი საზიზღარი ძაღლებისა და კატების ბილწ ხორცს ჭამდა და ადამიანის ხორცსაც შეეჭეოდა. ამარისში, ვარანდისა და დიზაკის ქვეყნის სოფელში, ერთ შეძლებულ ოჯახს ჰყავდა თვრამეტი წლის დედისერთა ვაჟი. მახლობელი სოფლებიდან შეგროვდნენ ქვრივი ქალები და იმ სახლის მახლობლად დასახლდნენ, რომ დროდადრო ესაზრდოათ ამ მდიდარი სახლიდან. ერთ დღეს ის ვაჟი ეშმაკურად შეიტყუეს ქალებმა თავისთან, მოკლეს და ერთი ფეხი თავისი ნაწილებით შეჭამეს. საღამოს ვაჟის მშობლებმა დაუწყეს ძებნა შვილს და ქვრივი ქალების სახლში იპოვეს მისი ნახევრად დაჭრილი ცხედარი. გავიგეთ

²² ფსილმუნნი, 104, 16

აგრეთვე, რომ იმავე სოფელში ვილაც მოხუცს თავისი ქალიშვილის ზორცი უჭამია.

სხვაგანაც ყველგან ასეთივე იყო შიმშილისაგან გამოწვეული უბედურება 1028 და 1029 წლებში²³.

ვაიმე, სასჯელის ღირს! სიკვდილით, მახვილითა და შიმშილით დაღუპულ ადამიანების ზორცი იმდენი ჰქამეს მხეცებმა, რომ შინაური ძაღლებიც კი გაველურდნენ და სახლიდან გამოსულ ცოცხალ ადამიანებზე ნადირობდნენ. მგლები გზებზე [დაძრწოდნენ] და სახლებში შედიოდნენ, მძინარე ადამიანებს გარეთ გაათრევდნენ და ჰქამდნენ; ცხვრის ფარაში იპარებოდნენ და მწყემსებს ჰქამდნენ, ცხვარს კი არაფერს ავებდნენ.

სიკვდილით, შიმშილით და მახვილით დაღუპულთა და ტყვედ წაყვანილთა რიცხვის დასახელება დაახლოებითაც არ ძალგვიძს და ვერც კალმით აღწერ და ჩემ ქალაქს და მელანს თქვენს წინაშე დავდებ მსგავსად დავითის მწერალთა, რომელნიც იერუსალიმში იყვნენ.

1032 წელს²⁴ ხონთქარმა მურადმა კვლავ უბრძანა თავის მხედართმთავრებს და ჯარს ერევანზე გაელაშქრათ და აეღოთ იგი. მართლაც მოვიდნენ და ააოხრეს ერევანი, ბევრი ეკლესია დაარღვიეს და ქვები ციხის ასაშენებლად წაიღეს. მათ მოინდომეს აგრეთვე დიდი ტაძრის დანგრევაც. რომელსაც ერკუერესს უწოდებენ, მაგრამ ერთი ვარდაპეტი სახელად არაქელი, რომელიც შემდეგ კათალიკოსი გახდა, კურთხეულ იყოს მისი ხსენება, მივიდა ჯარის მხედართმთავართან ფაჰრატინთან და ნება არ მისცა დაენგრიათ ის ტაძარი: ვაი მსმენელსა და მთხრობელს, რადგან ოცდაათი დღე ჯორებს, ცხენებს და უგუნურ მაჰმადიანებს ბინა ეღოთ იმ ტაძარში. აღსრულდა წინასწარმეტყველის თქმული, რომ მკრეხელნი შევიდნენ უფლის სამემკვიდროში და წაბილწეს მისი წმინდა ტაძარი.

იმავე წელს გარდაიცვალა ჩვენი დიდი და სანატრელი ვარდაპეტი ოვჰანესა. ეგი იყო წარას ქვეყნიდან, რომელსაც მცირე სიუნის უწოდებენ, წმინდა მოციქულის თადეოსის სავანედან, ძე ვინმე თავისუფალი და სათნო ადამიანის ჯაჰანშაჰად წოდებულისა, დოფეას და ჰასანის გვარიდან. იგი იყო მოწაფე დიდი ვარდაპეტ ლუქა პალპატელისა, წმინდანთა დიდი მოყვარე და ღვთისმოსოში, თავდაბალი და მლოცველი, მართლმადიდებელთა მხარისდამჭერი და თავხედთა მამხილებელი, სიმართლის მოყვარული და დღესასწაულთა პატივისმცემელი, კითხვის დიდი მოყვარული და წერის მოყვარული, ამიტომ ბევრი თხზულება მისცა გადასაწერად თავისი ხსოვნისათვის და ბევრი საეკლესიო ჭურჭელიც და სამკაულიც დატოვა. მოხუცებული და დღესაც მიიცვალა ქრისტეთი ჩვენი წელთაღრიცხვის 1032 წელს²⁵. მისი

პატიოსანი ცხედარი განისვენებს გელამის ქვეყანაში, სოფელ ვასნაშენში, ვარდაპეტ სარგისის საფლავის გვერდით. კუთხეულ იყოს მათი ხსოვნა, მათი ლოცვა თქვენზე და ჩვენზე იყოს და უფალთა უფლის მოწყალეობა მთელ ქვეყანაზე იყოს. ამინ.

1034 წელს²⁶ ქელმაღალი მურადის ბრძანება მოუვიდა ოსმანს და მურლაფში, რომ იგი კონსტანტინეპოლში დაბრუნებულიყო. იგი დაუყოვნებლივ წავიდა და განდიდდა მისგან, რადგან დანიშნა იგი მთელი აღმოსავლეთის, ბიზანტიიდან²⁷ ალანეთამდე, მთავარსარდლად და მთავართა-მთავრად, მისცა მას დიდძალი ჯარი რიცხვით ექვსასი ათასი და გავზავნა უმდიდრესი ქალაქის თავრიზის²⁸ წინააღმდეგ. იგი მივიდა დიდის ამბით, აღლო ქალაქი და ყოველივეს ძარცვითა და რბევით იავარყო იგი და ააგო ციხე, მაგრამ ვერ მოესწრო ციხის დასრულებას და იქვე ჩაძალდა. ვერ ეღირსა თავისი ხელმწიფისაგან მოესმინა შექება გამარჯვების გამო. შურისგება მისთვის განმზადებული მსაჯულის მიერ ყველასათვის ნათელია.

სხვა დიდებულებმა და სარდლებმა მრავალი ბრძოლით, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ გადარჩენილ ყიზილბაშების²⁹ წინააღმდეგ, დაასრულეს ციხე და ჩააყენეს მასში ~~ჯარი წარად~~³⁰ წოდებული. ჯარის მხედართმთავრად დაადგინეს ვინმე საჭურისი, სახელად ჯაფარი³¹. თვითონ კი დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში და თან წაიღეს მისი (ოსმანის) ბილწი ლეში.

ახლა კი დაეუბრუნდეთ ყიზილბაშების ისტორიის ქარგას. ამ დროს მათი ხელმწიფე იყო წინათ მოხსენებული ხოდაბანდა, რომელიც დიდი მონღოლებით ცდილობდა ოსმალოთა ჯარის დამარცხებას. იგი დიდხანს დიდი ტანჯვით და დიდი მცდელობით ებრძოდა მათ. ორივე მხრიდან აუარებელი სისხლი დაიღვარა, მაგრამ [შაჰ ხოდაბანდემ] მაინც ვერ შესძლო ხელი შეეშალა მათთვის თავრიზის ციხის აგების საქმეში. იმ დროს ჯერ კიდევ მის ხელთ იყო სეფ აიგად³² წოდებული ადგილი და განძაკი, რომელიც იგივე განჯაა. თავის მცირეწლოვან ძესთან ერთად, რომელსაც ამირჰამზა ერქვა, შაჰი იქ მივიდა. იქვე შეიკრიბა ყველა ყიზილბაში, რომ მოეთათბირათ თავრიზისა და ოსმალოთა ჯარის შესახებ. თავგამზიდავმა ყიზილბაშებმა უფრო გაუღიზიანეს ხოდაბანდეს წყლული და გაიორკეცეს და გაისამეცეს თავისი განსაცდელი, რადგან მათი მეორე უბედურება გახდა ის, რომ მახვილით ფარულად მოკლეს შაჰის ძე, ვინაიდან ხელმწიფის შარავანდედი მოჩანდა იმ ყრმის თავზე და ყიზილბაშ სპარსელებს ძლიერ ეშინოდათ მისი³³. ამის შემდეგ გაიფანტნენ სპარსელები და მსგავსა დაქსაქსული ცხვრის ფარისა, რომელსაც არა ჰყავს მწყემსი, არც ერთმა აღარ იცოდა თავისი ადგილი. ოსმალების ხონთქარის მურადის

მედიდურმა ბრძანებამ ისე გარემოიწვა ისინი, როგორც ზღვამ კუნძული. შაჰი ხოდაბანდა ძლიერი მწუხარებისგან დასევდიანებული გულით და აღსავსე ჰუმანით ხორასანს გაემგზავრა თავის მეორე ვაჟთან, აბასთან, რომელიც მისი (ხოდაბანდეს) წამოსვლის დროს ატროპატაკანში დატოვებულ იქნა ხორასანის მბრძანებლად. მასთან მივიდა ხოდაბანდე და რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა ისე, რომ არავითარი გმირობა არ უჩვენებია იმ ლაჩარს თავისი ხალხისათვის.

გამეფდა აბასი³⁴, მისი ძე, დიდად მამაცე და გამმარჯვებელი ომში, გილანი, ე. ი. ჯორჯანეთი, რომელიც განუღდა მის მამას, აბასმა თავისი გმირობით დაიმორჩილა³⁵. მაშინ, როცა (შაჰ აბასი) არდებილში იმყოფებოდა თავის მამა-პაპათა სამარხებისათვის ძღვენისა და შეწირულების მისართმევად, ბალხიდან და ბუხარიდან³⁶ გამოვიდა ოზბეგებად წოდებული ხალხი და დაიპყრო ჰერათი³⁷ და შაჰის კუთვნილი სხვა ადგილები. ამის შეტყობისთანავე იგი მაშინვე უკან გაბრუნდა იქიდან, წავიდა და ოზბეგები ზოგი დახოცა, ზოგი გააქცია და თავისი ადგილები კვლავ შემომიტყცა. შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ ჯარი გაგზავნა მათ წინააღმდეგ, შემდეგ კი თითონაც წავიდა, ბევრი მათგანი დახოცა სასტიკ ბრძოლაში, შეიპყრო მათი ხელმწიფის ძე და დაბრუნდა თავის სამფლობელოში, ყაზვინში. ასე დაიმორჩილა ისინი. ამჟამად მისი ხელისუფლება გავრცელებულია ხორასანიდან არდებილამდე³⁸ და მდინარე არეზამდე.

1037 წელს³⁹ კვლავ გამოვიდა ხონთქარ მურადის ბრძანება ვინმე ფაქრატად წოდებულის, ერევნის ამღებისა და აღმშენებლის სახელზე, რომელსაც ოსმანზე აღრე ჰქონდა აღმოსავლეთის მხარეების მთავარსარდლობა ლალას შემდეგ. მისი წინანდელი თანამდებობა ისევე მას უბოძა და განჯის წინააღმდეგ გაგზავნა, რომ იქ მყოფი მცირერიცხოვანი ყიზილბაშები გაეძევებინა, იმ ადგილას ციხე აეგო და უკან დაბრუნებულიყო. იგი მოვიდა მრავალრიცხოვანი ლაშქრით და ხონთქარის ბრძანების თანახმად მოიქცა: [ყიზილბაშები] გააყარა, გააძევა, განდევნა, ერთმანეთს მოსწყვიტა და მოჰკვეთა, შორს გარეკა, სდევნა. გააქცია, უკან დაახევინა, გაფანტა და თითონ ფეხდაფეხ მიჰყვა მდინარე არეზამდე, მრავალი მათგანი ტყვედ იგდო, ზოგიც მახვილით ამოხოცა, ზოგი კი მდინარეში ჩაახრჩო⁴⁰. შემდეგ უკან დაბრუნდა, განჯაში ციხე ააშენა, თავიანთი წესისამებრ შიგ ჯარი ჩააყენა, რომელსაც წარას უწოდებენ და თითონ თავის კეისართან⁴¹ დაბრუნდა.

როცა შაჰ აბასმა დაინახა ყოველივე ის, რაც მის ქვეყანას შემეტხვა, შეეშინდა თავის მამა-პაპათა სამარხი ადგილის არდებილის გამო, რომ ისიც არ აეღოთ და შემდეგ სპარსეთის სიღრმეში არ შექ-

რილიყვნენ, ამიტომ [ხონთქარს] დესპანები აახლა და ელჩები გაუგზავნა, რომ ზავზე დაეთანხმებინა და ერთმანეთში სიყვარული განემტკიცებინათ, მაგრამ გულზვიადს ამის გაგონებაც არ სურდა და მისგან მძევალს მოითხოვდა. შაჰ აბასმა კიდევ გაგზავნა ხონთქართან თავისი ძმისშვილი მისი გამზრდელის დიდი მთავრისა და ორასი შეიარაღებული მსახურის თანხლებით, რათა იგი მძევლად დარჩენილიყო სტამბოლში მათ შორის მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის. მშვიდობაც მაშინვე დამყარდა⁴².

1044 წელს⁴³ გარდაიცვალა ხონთქარი მურადი და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე სულთან მაჰმედი⁴⁴. ამ მაჰმედის დროს ფრანგები⁴⁵, რომლებსაც მადიარებს უწოდებენ, ზღვით მრავალი გემით თავს დაეცნენ [ოსმალეთს]. [ოსმალონი] მათ ხუთ წელს ებრძოდნენ და ყოველწლიურად ერთმანეთს დიდსა და სასტიკ ომს უმართავდნენ. ერთმანეთს ისე სჩეხდნენ, როგორც ცულეებისა და წალდების მქონენი სჩეხენ ტყეს. ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ერთმანეთს. მომდევნო წელს ორივე მხრიდან მეფეებმა დამხმარე ჯარები მოაშველეს და კვლავ იფეთქა ახალმა ომმა, მომდევნო წელს წინა წელზე ორჯერ უფრო [ძლიერი ომი იყო].

1049 წელს⁴⁶ რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ასეთი ვითარებაა, მომავალი კი მამაუფალმა უწყის, თუ რა მოელით მათ, რომელ მხარეს მოუვლენს მარცხს და რომელ მხარეს გამარჯვებას, რადგან დაწერილ არს, „რამეთუ ვერ უძლოს ძლიერმან კაცმან. უფალმან უძლურ ყოს მკდომი თვისი უფალი წმინდა არს... და მოსცეს ძალი* მისი ჯგრის თაყვანისმცემლებს.

ახლა კვლავ მოგიტხრობთ ქართველთა მეფის სიმონის შესახებ, თუ რა დაემართა მას. როდესაც სიმონი გაექცა ლალას, იგი გაიხიზნა თავისი ქვეყნის რომელიღაც მივარდნილ ადგილას, ცხოვრობდა ტყეებში და მიუვალ ადგილებში და გულში მწუხარებას ეძლეოდა თავისი ქვეყნის დაპყრობის გამო, მაგრამ ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობდა. თავისი მიამიტობისა და დიდი ქედმაღლობის გამო ღვთის წყალობას ელოდა, ელჩებს უგზავნიდა და მურადს ხარკს პირდებოდა, რომელსაც ხან აძლევდა და ხან არა. ზოგჯერ ხარკს არ უხდიდა, უჯანყდებოდა და ციხეს ავაზაკებს უსევდა. ამის მიზეზს კი მეციხოვნე ჯარს აბრალებდა, სულთან მურადს ატყობინებდა და მის მიერ ჩადენილი ზარალი მსვე ეპატიებოდა ხოლმე.

სულთან მაჰმედთან სიმონმა თავისი განდგომის განზრახვა ამგვარად გამოავლინა: ხარკი არ გადაუხადა და ყაჩაღები ძლიერ გაამრავლა. უფრო მეტიც, თითონაც ჯარი შეჰყარა, გორის

* I მეფეთა, II 9—10.

ცხეს. თავს დაესხა, რვა თვე ავიწროებდა მათ და აიღო ციხე⁴⁷. მტრალ უცხო ტომელებს [სიმონმა] უბრძანა დანგრეული ციხის ქეები წაეღოთ და მდინარე მტკვარში ჩაეყარათ. ამის შემდეგ მამაკაცები მახვილით დახოცა, მათი ქალები და შვილები კი დავლად მისცა ქართველთა ჯარს. აგარის მთელი მოდგმა გულში ღრმად დამწუხრდა. საშინლად განრისხებულმა და გაავებულმა ხონთქარმა მაჰმედმა ბრძანა და ფაჰარატის სახელო და ხელისუფლება თავრიზში მყოფ საჭურის ჯაფარს უბოძა და გაგზავნა სიმონის წინააღმდეგ. რომ მას შური ეძია მისი შეურაცხყოფისათვის და ოსმალთა და ისმაელთა ლაშქრის სისხლისათვის.

სულთნის ნებართვის მიღებისთანავე ეს მეორე ორსქესოვანი მტერი, ეს ჯაფარი გაყოფიდა და თავისი სახელისუფლოს ყველა მხარეს შეიკრივები გაგზავნა, თვითონ კი თავრიზიდან დაიძრა და არარატში მოვიდა. მასთან შეიკრიბა დაბარებული მრავალრიცხოვანი ჯარი. შათირები გაგზავნა, რომ შორეული სოფლებიდან და ქალაქებიდან ადამიანებისათვის და ცხენებისათვის სურსათ-სანოვანე მოეტანათ და მომზადებულყვენენ გზის გასავლელად. იმავე ღროს ქვეყნიდან მოითხოვა 20 ათასი გლეხი, სომეხი და მუსლიმანი, რომელთაც თან უნდა ჰქონოდათ კალათები, წალდეები და ცულები, წერაქვები და ძალაყინები, ბარები შენობების საძირკვლების მოსათხრელად, დასასრულს, ხალხს კანონგარეშე მძიმე გადასახადი გადაახდევინა. ამის შემდეგ ადგა და წავიდა დიდი შიშით, რადგან მათ უკვე ბევრჯერ ჰქონდათ გამოცდილი სიმონის სიმამაცე და მისი სიჩაუქე ომში. მისგან დამარცხებული შერცხვენილი სახით ბრუნდებოდნენ ხოლმე. ახლა, როდესაც შევიდნენ ქართველთა ქვეყანაში, ოსმალონი ამავე ფიქრით იყვნენ შეშინებულნი. სამი დღე იდგნენ ისინი ერთსა და იმავე ადგილას და არც საბედისწერო ომი გამართულა და არც შეაკაცები და მოციქულები გაუგზავნიათ ერთმანეთისათვის.

ქართველებმა ერთმანეთთან მოითათბირეს და სიმონს უთხრეს: „ნება მოგვეცი, რომ დღეს ჩვენი ოჯახები და მახლობლები ვავხიზნოთ მთებში, შემდეგ დავბრუნდეთ და მთელი გულით და მთელი ჩვენი ძალ-ღონით, სისხლის ღვრითა და სიკვდილით შევებრძოლოთ თურქებს და ღვთის შეწევნით გავიმარჯვოთ მათზე“.

მაგრამ იმის გამო, რომ სრულიად მოისპო ლოცვის წესი ქრისტიანთა მოდგმაში, ისე რომ მთელი წლის განმავლობაში დიდებულეებიც და მცირედნიც ერთხელად არ მიაშურებენ ეკლესიის კარებს, ამიტომ უფლის სამართალმა არ ინება შესრულებულიყო ქართველების განზრახვა, რადგან უფალი წინასწარმეტყველთა პირით იტყვის: „არა თუ მოიქცეთ, მახვილი მის ღესულ არს; მშველდსა მისსა გარდაუცუ“

ამს და განუმზადების იგი“*. ასევე იტყვის „ნუ იდიდოს ცული თენი-
ერ მკუთელია მის მიერ, ანუ ამაღლდეს ხერხი თენიერ მზიდველი-
სა მისისა“**. და კვალად იტყვის „მე მოვკლავ და მე ვაცოცხლებ, მე
დასვეცემ და მე განვჰკურნებ“ და იტყვის „რომელი ჰნებას უფალს
წარწყმედა ჯერ გააუშეცრებს“***. ამიტომ გაუშეცრებელი სიმონი და-
ჯდა მაშინ ღვინის სასმელად რამდენიმე კაცთან ერთად.

იმ მხარეს, სადაც სიმონი იმყოფებოდა, თურქებს სრულიადაც
არ ჰქონდათ ეჭვი, რომ სიმონი იქ იქნებოდა: ნადავლის წადილით
თურქების ლაშქარს გამოეყო ერთი რაზმი და იმ მხარეს გაემართა.
მათ დაინახეს ერთი ქართველი, შეიპყრეს იგი, ცოტა წინ წავიდნენ,
სიმონის რაზმი დაინახეს და ტყვეს ჰკითხეს მისი ვინაობა. როდესაც
მისგან გაიგეს, რომ თითონ სიმონი იყო, თავზარდაცემული მაჰმადიან-
ნები უკან გაბრუნდნენ და საჩქაროდ სწრაფმრბენი ცხენით კაცი აფ-
რინეს ბანაკში და ეს ამბავი მთავარსარდალ ჯაფარს შეატყობინეს. მას
ძლიერ გაუხარდა და ბევრი მამაცი ვაჟკაცი გაამხნევა და გაგზავნა.
ისინიც წავიდნენ, შეიპყრეს სიმონი და მასთან მიიყვანეს⁴⁸. სიმონს
მისვლისთანავე შესახვედრად წინ მიეგება ჯაფარი. შემდეგ [თურქებ-
მა] თავიანთ ენაზე ხმამაღალი დაღადით აღიდეს უფალი. როცა მთე-
ლმა ბანაკმა შეიტყო სიმონის შეპყრობა, ყველა ამასვე იმეორებდა და
ამბობდა: „კურთხეულ არს უფალი და მისი გარდუვალი მფლობე-
ლობა, რადგან უფალი მოაკვდინებს და უფალივე განაცოცხლებს, ჯო-
ჯობეთში შთაადგებს და დაიხსნის“.

ჯაფარმა იქიდან მალემსრბოლი აფრინა ხონთქართან სამხარობ-
ლოდ. თვითონ კი სიმონი წაიყვანა და თავრიზში მივიდა. ხონთქარმა
ბრძანა მისი სამფლობელოს ყველა მხარის ქალაქებში მოერთოთ ქუ-
ჩები და ყველა სამი დღე-ღამის განმავლობაში ღებნას მისცემოდა.
ასეც მოხდა. ბრძანა აგრეთვე, რომ სიმონი ხონთქართან მიეყვანათ.
ზამთრის დღეებში ჯაფარმა სიმონი თავრიზში დატოვა, ხოლო გაზაფ-
ხულისა და ზაფხულის ყამს გაგზავნა კეისართან, რომელიც ბიზან-
ტიაშია⁴⁹. დაიძრნენ და მივიდნენ კარნუ-ქალაქს⁵⁰ და იქ შეყვნდნენ,
რადგანაც ხელმწიფის განკარგულებათა მწერალს, რომელსაც თავიანთ
ენაზე იაზიჩს უწოდებენ⁵¹, თავისთან შემოიკრიბა ოცი ათასზე მეტი
კაცი, განდგომოდა თავის სუხერენსა და ხელმწიფეს და უკვე ორი წე-
ლია ხალხზე დაწესებულ სულად გადასახადს, რომელიც ხელმწიფეს
ეკუთვნის, თავისთვის კრეფდა და ითვისებდა.

* ფსალმუნნი, 7, 13.

** ესაია, 10, 15.

*** მეორე შჯგულისა, 32, 39

~~მან სიმონის შესახებ უბრძანა თავის მეომრებს, ფრთხილად წაერთმეათ იგი მცველებსათვის და მასთან მიეყვანათ. ამ მიზეზით სიმონი შეპყრობილი არის ქალაქ არზრუმში.~~

აწ კურთხეულ არს უფალი, რადგან დასასრული მან უწყის.

VII

პრონოლოგია

- 613 წელს ქართველები განიყვნენ სომეხთაგან¹.
- 1122 წელს მეფე დავითმა აიღო თბილისი².
- 1124 წელს მეფე დავითმა თურქებს წაართვა ანისი და მოკვდა³. გამეფდა მისი ძე დემეტრე⁴.
- 1158 წელს გარდაიცვალა მეფე დიმიტრი, ტახტზე ავიდა მისი ძე დავითი⁵.
- 1161 წელს გამეფდა დიდი გიორგი და შაჰ-არმენი დაამარცხა დიდ ბრძოლაში⁶.
- 1163 წელს ილდეღიზ ათაბაგი ანისში შეიპყრო გიორგიმ.
- 1200 წელს ქართველებმა და ბერძნებმა გარდა სომეხებისა არასწორად ილღესასწაულეს აღდგომა.
- 1210 წელს ივანე ათაბაგი შეიპყრეს ხლათში.
- 1216 წელს თათრებმა აიღეს ანისი და დაიპყრეს მთელი ქვეყანა.
- 1239 წელს მეფემ აიღო ლორე და დმანისი. ამავე წელს გარდაიცვალა ავაგი.
- 1259 წელს ქართველთა მეფე დავითი შევიდა აფხაზეთში⁷.
- 1391 წელს კვლავ მოვიდა [თემურ ლენგი] ბაღდადში. დიდად ააოხრა შუამდინარეთი და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. სულთან აჰმადის ძე სულთან თაჰირი ალინჯას ციხეში იყო⁸. ქართველთა მეფე⁹ თავს დაესხა ციხეს, შეიპყრო სულთან თაჰირი და თბილისში წაიყვანა. როდესაც თემურმა ეს გაიგო. 1399 წელს კვლავ გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ¹⁰. დიდძალი ტყვე იგდო ხელთ, დაბრუნდა თავის ქვეყანაში და ჩაძიდლდა 1404 წელს¹¹.
- 1428 წელს ჯაჰანშაჰმა აიღო სამშვილდეს ციხე¹².
- 1429 წელს კვლავ მოვიდა შაჰრუხი¹³. დემეტრემ მის წინააღმდეგ გაილაშქრა ყარაბაღში¹⁴.
- 1439 წელს [ჯაჰანშაჰმა] აიღო სამშვილდე, 3000 კაცი ამოწყვიტა და 2000 ტყვედ წაიყვანა¹⁵.
- 1443 წელს ჯაჰანშაჰმა დაიპყრო ახალციხე.

- 1466 წელს ჰასანბეგი წავიდა საქართველოს წინააღმდეგ და დაიპყრო იგი¹⁶.
- ~~1540 წელს~~ შაჰ თამაზმა საქართველოში გაილაშქრა. თბილისი და მთელი ქვეყანა მოაოხრა. დიდძალი ტყვე იგდო ხელთ, უთვალავი და აურაცხელი¹⁷.
- 1576 წელს სიმონი შაჰ თამაზს ეახლა¹⁸.
- 1613 წელს შაჰ აბას პირველი წავიდა, [დაიპყრო] საქართველო და ტყვეები წაიყვანა¹⁹.
- 1625 წელს ამავე წელს ქართველი მოურავი შეებრძოლა ყიზილბაშებს და მრავალი მხედარი ამოწყვიტა²⁰. ყარჩილა-ხანი²¹, უსუფ-ხანი და ყაზახ-ხანი მოკლა. ყიზილბაშებმა ორი თვის შემდეგ მეორედ შეჰყარეს ჯარი და გაილაშქრეს ქართველების წინააღმდეგ. ქართველების მთავარსარდალი იგივე მოურავი იყო, რომელმაც ამ ომშიც ამოსწყვიტა ყიზილბაშთა ჯარი²². ამირგუნა-ხანი, შაჰბანდა-ხანი და სელიმ სულთანი მოკლა.
- 1628 წელს ხოსრო ფაშა გავეზირდა და არზრუმში გაილაშქრა აბაზას წინააღმდეგ, ქართველი მოურავიც მასთან იყო. 15 დღის განმავლობაში 1503-ჯერ ისროლა ზარბაზანი, სამი მხრიდან დაანგრია ციხის გალავანი, შეიპყრო აბაზა და სტამბოლში წაიყვანა²³.
- 1647 წელს ამავე წელს სპარსელთა ჯარმა, რომელიც ქალაქ თბილისში იდგა, შეიყარა და გაილაშქრა კახეთის მფლობელის — მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დაიღუპა თეიმურაზის ძე, რომელსაც სახელად დავითი ერქვა და რომელიც ტახტის მემკვიდრე იყო. სპარსელებმა აიღეს დავითის თავი და მასთან ერთად ბაირალი ანუ ჯვრის დროშა. დავითის თავი სარზე ჩამოაცვეს. ჯვარი თავდაყირა გადმოჰკიდეს ბაირალიდან და ასე წაიღეს ქალაქ თბილისიდან ისფაჰანამდე. იქ მიართვეს თავიანთ ხელმწიფეს შაჰ აბას მეორეს. სპარსეთის ყველა ქალაქში დიდი სიხარულით ზეიმობდნენ. ქრისტიანებისათვის კი დიდი ვაება და მწუხარება იყო, რადგან დაემხო ქრისტიანთა სამეფო²⁴.
- 1656 წელს — ამავე წელს მოკვდა დადიანის მეფე²⁵ და მეფობა გაუქმდა, რადგან მას არ ჰყავდა სამეფო ტახტის მემკვიდრე.
- 1657 წელს ლარაყალხანის²⁶ პატრონი, დიდი ერისთავი, რომელსაც სახელად ზალო-ერქვა, წავიდა ისფაჰანში, შაჰის კარზე; შაჰის ეთემად-ად-დოუღლეს შემწეობით სასჯელს გადაურჩა და ცოცხალი დაბრუნდა თავის ქვეყანაში.

1659 წელს 1 მარტს გარდაიცვალა ბაშიაჩუყის მეფე ალექსანდრე²⁷ და მის ნაცვლად გამეფდა მისი ძე, სახელად ბაგრატ²⁸. იმავე წელს ამ ბაგრატს, რომელიც თავისი მამის, ალექსანდრეს ნაცვლად დაჯდა მეფედ, მისმა დედინაცვალმა ორივე თვალი დასთხარა, რადგან მათ შორის შუღლი ჩამოვარდა²⁹. დიდებულებიც განუდგნენ ერთმანეთს, ქვეყანა აოხრდა და სამეფო დაეცა.

იმავე წელს სპარსელთა ხელმწიფის შაჰ აბას მეორის ბრძანებით მაჰმადიანების ტომებიდან 1500 ოჯახი თურქი წაიყვანეს, კახეთი აავსეს და იქ დაასახლეს.

1660 წელს კავკასიის მთებში მოხინაძრე ქართველები, ხალხი, რომელსაც თუშებ³⁰ და ფშაბებს უწოდებენ, მოვიდნენ ღამით და თურქების ამ 1500 ოჯახს მახვილით. მუსრი გაავლეს მახუცებიდან ძუძუმწოვრებამდე. ამავე წელს შაჰმა³⁰ ეთემად-ად-დოულე თანამდებობიდან გადააყენა ერისთავის განთავისუფლების გამო, რადგან ითქვა ხანებისა და შაჰის წინაშე, რომ ერისთავის წაქეზებით ამოსწყვიტეს ქართველებმა თურქეთის 1500 ოჯახი. ამავე წელს ამ ერისთავის ძმისშვილებმა მოჰკვეთეს მას თავი და შაჰს მიაართვეს. ეს საქმე მოხდა თბილისის ხანის შაჰნავაზის³¹ წაქეზებით, რომელიც თვითონაც ქართველი იყო და უნდოდა თვითონ შაჰის წინაშე მართალი გამოჩენილიყო. ამავე წელს თეიმურაზ მეფე, რომელიც კახეთის პატრონი იყო, გამოვიდა საქართველოდან და წავიდა ისფაჰანში შაჰ აბასთან, მისდამი მორჩილების გამოსახატავად. როგორც ეს ჩვეულებად აქვს სპარსელთა ვერაგ მოდგმას, შაჰმა თავდაპირველად სიყვარულითა და პატივით მიიღო იგი, მაგრამ შემდეგ მისი ქრისტიანული სარწმუნოებისა და რჯულის გამო დიდებულების წაქეზებით უღალატა შაჰმა, თავიდან მოიშორა იგი და გადაასახლა ფაჰრაბადის ქვეყანაში, ქალაქ ასტრახანში და იქ მოკვდა³². ბევრი ამბობდა, რომ თითქოს შაჰის სურვილით მოწამლეს და მოკლეს თეიმურაზიო.

1660 წელს წავიდა თეიმურაზი ისფაჰანში და 1660 წელს მოკლეს ისიც და სხვებიც, ვინც თეიმურაზს თან ახლდნენ, რჩეულნი დახოცეს, ხოლო თეიმურაზის ცხედარი შაჰის ბრძანებით წაიღეს მის ქვეყანაში, კახეთში თეიმურაზის შვილიშვილთან³³.

1. არაქელ დავრიყეცის ცნობით. თურქი სარდალი ჯღალ-ოღლი სოფიანესთან ბრძოლაში შაჰ-აბას 1-მა დაამარცხა 1606 წელს.

2. სოფიანე — ქალაქი სამხრეთ ანუ ირანის აზერბაიჯანში. მდებარეობს თავრიზსა და მარანდს შორის.

3. 1606 წელი.

4. სიბა წარმოადგენდა მოძრავ საფარს, რომელიც ერთის მხრივ იცავდა მეომრებს ციხიდან ნატყორცი ისრების, ქვებისა და ტყვიისაგან, ხოლო მეორე მხრივ სიბაზე ასული მეომრები იარაღს უშენდნენ ციხის დამცველთა¹.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთ ჩამატებაში ეს ტერმინი შემდეგნაირადაა განმარტებული: „საბა — საფარი რომ კოშკივით აღუშენო ახლო ციხესა გამაგრებულსა და იქიდან თოფს ჩაესროდეს მტერსა; აგრეთვე ნახირი ანუ ჯოგი რამე წინ მიირეკო მტერზედ და უკან მიჰყვე საბრძოლად, მტრის გასატეხად“. სიბას გამოყენება ჩვეულებრივი სამხედრო ხერხი იყო ფეოდალური ხანის აღმოსავლეთში გამაგრებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების იერიშის დროს. მაგ., ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „ინდოეთის ხელმწიფის შვილი დიდი ლაშქარით ყანდა(ჰა)რს შემოადგა და ყოველგნით სიბეს წინ წაიღეს და შიგნიდამენ და გარედამენ დაუშინეს თოფებსა, ზარბაზნებსა... და სიბესი ხანდაგს მიაწია და ზოგი კიდეც გასცილდა, შეიქნა იერიში კედელზედა“². სიბას გამოუყენლობა მეტად აძნელებდა გალავანშემოვლებული ადგილის (ქალაქის, ციხის) აღებას. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე გაგრძელების ერთ-ერთ ფრაგმენტში, სადაც მოთხრობილია შაჰ თამაზის (1524—1576) მიერ ატენის ციხის აღყის შესახებ, ნათქვამია: ატენს „გარედამ ყაენის ლაშქარი შემოადგა და შიგნიდამ ქართველნი. დაუწყეს ერთმანეთს ცემა და ბრძოლა, და მრავალნი ყიზილბაშნი დაიხოცნენ, და ციხის აღება გაძნელ-

1 ვ. ფუთურაძე, სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი 1, ნაკვ. 1, თბილისი, 1961, გვ. 92.

2 ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, საისტორიო მოამბე, წიგნი II, თბილისი, 1925, გვ. 259.

და, ამისათვის რომე არც სიბა მიიტანებოდა, და არც შეეთხრებოდა, და არსით თოფი ესროლებოდა“³.

გარდა ზემოთქმულისა, სიბა ნიშნავდა აგრეთვე თავდაცვით მიწა-ყრილს, პატენზს⁴.

5. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, განჯის ალყა სრულქვეს თვეს გაგრძელდა, რომლის განმავლობაში „ღღედაღამ შეუწყვეტელი ბრძოლა“ მიმდინარეობდა⁵.

6. 1519 წელს შეიხ ჯელალის მეთაურობით თურქეთში იფეთქა გლეხთა ძლიერმა აჯანყებამ, რომლის მონაწილეებს აჯანყების მეთაურის სახელის მიხედვით ჯელალებს უწოდებდნენ. აჯანყებამ თავდაპირველად თოქათისა და ყარაპისარის ოლქები მოიცვა, შემდეგ კი გავრცელდა ოსმალეთის მთელ აღმოსავლურ ნაწილში ანუ ანატოლიაში. ჯელალების რაზმები სომხეთშიც მოქმედებდნენ⁶.

7. არაქელ დავრიყეცი ჯელალებს შორის მოიხსენებს მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ლეგენდარულ გმირს—ქორ-ოლოს. ისტორიკოსის სიტყვით, „ეს ის ქოროლია, რომელსაც მრავალი სიმღერა გამოუთქვამს, რომელსაც ამჟამად აშუღები ასრულებენ“ (*Այս აწն Գիօղի է, որ բազում խաղ է սասցեսալ՝ զոր սլժմ աղ-նևրն հղանակ հն:*)⁷

8. იბრაჰიმ ფეჩევი განჯის ბეგლარბეგად მეჭმედ ფაშას ასახელებს.

9. XVII საუკუნის ცნობილი სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ ბეგ თურქემანი, მეტსახელად მუნში (მდივანი) გადმოგვცემს, რომ განჯასთან მდგომ შაჰ აბას I-ს (1587—1629) ეახლნენ ქართველი დიდებულები, რომელნიც „კონსტანტინე-ხანს ეწინააღმდეგებოდნენ და მის მოსპობას ცდილობდნენ“, და სთხოვეს მას, რომ კახეთის „მმართვე-

3 ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის გამოცემა, II, თბილისი, 1959, გვ. 506.

4 სპარსული ისტორიული საბუთები..., წიგნი 1. ნაკვ. 1, გვ. 92.

5 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიაძე, თბილისი, 1964, გვ. 82.

6 Г. И. Ибрагимов, Крестьянские восстания в Турции в XV—XVI вв., Византийский вестник, VII, Москва, 1953; გ. ფუთურიძე, სოციალური მოძრაობები ოსმალეთში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით. თბილისი, 1957- წ. გილიჯიანი, ჭაქაქინჩი ჯარძიანი ხ რაი ძილიჩი ქინაქი ოამანჯან კაყურიყან მხე (XVI—XVII դარხრიამ), სრეს-ქან, 1965.

7 Պատմութիւն Առաքել վարդապետի Դարձիցեյ, Վաղարշապատ, 1896, გვ. 87.

8 იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 82.

ლად დაენიშნა თეიმურაზი, დაუდ-ხანის შვილი და ალექსანდრე-ხანის შვილიშვილი“. შაჰ აბასმა შეიწყნარა მათი თხოვნა და კახეთის ტახტი თეიმურაზს დაუმტკიცა. ისტორიკოსის სიტყვით, ირანის შაჰის ბრძანებით, განჯაშივე მოეწყო თეიმურაზის ტახტზე დასმის ცერემონიალი, რის შემდეგაც იგი კახეთში გაისტუმრეს⁹.

10. ისლამის ორი მთავარი მიმართულებაა სუნა ანუ ორთოდოქსალური ისლამი, რომლის მიმდევრებსაც სუნიტები ეწოდებათ, და შია, რომელსაც შიიტები აღიარებენ. შიიტები სუნიტებისაგან განსხვავებით არ სცნობენ პირველ სამ ხალიფას (აბუ-ბექრი, ომარი, ოსმანი), უზურპატორებად თვლიან მათ და პირველ ხალიფად მიაჩნიათ მუჰამედის სიძე, მისი საყვარელი ასულის, ფატიმას მეუღლე — ალი¹⁰. 1501 წელს შიიტობა სეფიანთა სახელმწიფოს (1501—1722) ოფიციალურ რელიგიად იქნა გამოცხადებული. ამით ახლადწარმოქმნილი სეფიანთა ირანის სახელმწიფო დაუპირისპირდა ოსმალეთის იმპერიას, სადაც სახელმწიფო სარწმუნოებად სუნიტობა ითვლებოდა.

11. ისტორიული სომხეთის ერთ-ერთი ოლქი.

12. 1607 წელი.

13. შემახა — შირვანის სატახტო ქალაქი. XVI—XVII საუკუნეებში შემახა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ყველაზე დიდი და მდიდარი ქალაქი იყო. მას გარს ერტყა სამი კედლისაგან შემდგარი ვალავანი. ამიტომ ქალაქის დაპყრობა მეტად ძნელი იყო. 1607 წელს შაჰ აბასმა დიდი გაჭირვებით აიღო ქალაქი შემახა. ორათსიანი თურქული ლაშქარი განადგურებული იქნა. შაჰმა ქალაქისა და მისი სანახების მოსახლეობას 50 ათასი თუმნის გადახდა მოსთხოვა. ახლადდაპყრობილი შემახას მმართველად ზულფილარ-ხანი დაინიშნა¹¹.

14. 1608 წელი.

II.

1. სიმონ ხანი — ქართლის მეფე სვიმონ I (1558—1600).

2. ალექსანდრე II — კახეთის მეფე (1574—1605).

3. ისკანდერ მუნშის მიხედვით, ალექსანდრემ თავისი ძე, კონსტანტინე ირანში მძევლად გაგზავნა შაჰ-მოჰამედ ხოდაბანდეს (1578—1587) დროს. კონსტანტინე გაგზავნილ იქნა უფლისწულ ჰამზა-

⁹ ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბილისი, 1969, გვ. 60—61.

¹⁰ А. Массэ, Ислам, Москва, 1963; стр. 38—44; И. П. Петрушевский, Ислам в Иране в VII—XV веке, Л., 1965, стр. 38—39, 350—376.

¹¹ История Азербайджана, т. I, Баку, 1938, стр. 265.

მირზას კარზე „ყმობის პირობის გასაახლებლად“. ისტორიკოსის სიტყვით, კონსტანტინე „ბავშვობიდან ყიზილბაშთა შორის გაიზარდა და უკეთილშობილეს სამსახურში შაჰის დაახლოებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა“¹.

მოტანილ ცნობას ეწინააღმდეგება ბერი ეგნატაშვილის გადმოცემა, რომლის თანახმადაც, კონსტანტინე ირანში გაგზავნეს, არა შაჰ-მოჰმედ ხოდაბანდეს, არამედ შაჰ აბას I დროს. კონსტანტინე „გაეზარდა შაბაზს და გაეწუართა სჯულსა ზედა მაჰმადისა“². არაქელ დავრიყეცი კი სთვლის, რომ კონსტანტინე ირანში შაჰ თამაზ I დროს გაიგზავნა. ამ სამი საპირისპირო ცნობიდან. სინამდვილესთან, თითქოს, ახლო უნდა იდგეს ისქანდერ მუნშის ცნობა. რადგანაც მასში პირდაპირაა მითითებული, რომ კონსტანტინე შაჰ მოჰამედ ხოდაბანდეს ძის, სეფიანთა ტახტის მემკვიდრის ჰამზა-მირზას კარზე იმყოფებოდა.

4. დავითმა 1601 წელს ტახტი წაართვა ალექსანდრე II და ექვსი თვე იმეფა კახეთში.

5. ალექსანდრე II ძე გიორგიმ შეთქმულება მოაწყო თავისი ძმის დავითის წინააღმდეგ, რისთვისაც დავითმა შეიპყრო იგი და „თორღას ციხეში პატიმარ ყო“³.

6. სეფიანთა დინასტიის დამაარსებლის შაჰ ისმაილ I (1501—1524) ძე. ირანის ტახტზე იჯდა 1524—1576 წლებში.

7. შაჰ ისმაილ II (1576—1577).

თავისი ხანმოკლე ზეობის დროს შაჰ ისმაილ II სიკვდილით დაასჯევინა თავისი ექვსი ძმა, სეფიანთა დინასტიის სხვა წარმომადგენლები და ბევრი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე⁴. ბერი ეგნატაშვილის თანახმად, ისმაილ მეორე „იყო კაცი მოსისხლე და მრავალნი კაცნი დაჰოცნა“⁵. ჩვენი წყაროს მიხედვით ირანის ულმობელი შაჰი მოკლული იქნა. არაქელის გადმოცემას ეხმაურება ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ ცნობა, რომლის მიხედვით „შაჰ ისმაილი საწამლავით მოაკვდინეს“⁶. ისქანდერ მუნშს კი სრულიად განსხვავებული ცნობა მოაქვს. მისი სიტყვით, ისმაილ II ზომავზე მეტი თრიაქი მიიღო და ამით გარდაიცვალა⁷.

1 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 43.

2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.

3 იქვე.

4 تاریخ عالم آرای عباسی، تالیف اسکندر بیگ ترکمان، جلد اول، تهران، ۱۳۳۴، ص. 205—217.

5 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 371.

6 ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 11, 13.

7 ისქანდერ მუნში, I, გვ. 217—219.

8. შაჰ მოჰამედ „ხოდაბანდე“ ანუ „ღვთის მონა“ (1577—1587). შაჰ მოჰამედი უსინათლო იყო. მის დროს ირანის სახელმწიფოებრივ საქმეებს უძღვებოდა მისი მეუღლე, ჰქვიანი და ენერგიული მამულია, რომელიც მოაკვლევინეს ყიზილბაშმა ამირებმა⁸.

9. შაჰ აბას I (1587—1629).

10. შაჰ აბასი ერევნის ციხეს გარს შემოადგა 1603 წელს. ალყა ათი თვე გაგრძელდა, რის შემდეგაც ერევნის თურქული გარნიზონი განადგურებულ იქნა და სომხეთის დედაქალაქი შაჰ აბასის ხელთ აღმოჩნდა.

11. ისქანდერ მუნშის ცნობით, ყიზილბაშების მიერ ერევნის ციხის გარემოცვის დროს კონსტანტინე თვითონ დაეთხოვა შაჰ აბასს და საქართველოში წავიდა, რათა თავისი მამა ალექსანდრე II კახთ ბატონი შაჰის კარზე მიეყვანა იმისათვის, რომ მას შაჰისთვის ბოდიში მოეხადა ოსმალებთან კავშირის გამო და ეცნო შაჰის უზენაესობა⁹. შაჰ აბასმა იგი დიდი სიყვარულით მიიღო და „ბევრი პატივი და წყალობა უბოძა“¹⁰.

12. ჰანის თაჰმასბ-ყული — იგივე თაჰმასბ-ყული-ხანი, ერთ-ერთი ქართული ფეოდალური გვარის გამაჰმადიანებული წარმომადგენლის, ვინმე მელიქ მირმანის სომხითის ძე¹¹.

13. ქართლის მეფე გიორგი X (1601—1606).

14. მუსტაფა ლალა ფაშა წარმოშობით ბოსნიელი იყო, სოკოლოვსკის ფეოდალური გვარიდან. თავისი ნიჭისა და მოხერხების წყალობით გზა გაიკვლია ოსმალო სულთნების კარზე. სხვადასხვა დროს მას სხვადასხვა სახელოები ეჭირა ოსმალეთის იმპერიაში (მირაზორი, ჩაშნაგირბაში, სანჯაყბეგი). შემდეგ დაინიშნა ტახტის მემკვიდრის უფლისწული სელიმის აღმზრდელად ანუ ლალად. აქედან წარმოსდგა მის ზედსახელიც (ლალა — გამზრდელი); მუსტაფა ლალა ფაშა რიგ-რიგობით იყო ვანის, არზრუმის, ჰალაბის და დამასკოს ბეგლარბეგი. მუსტაფა ლალა ფაშა თავისი დროის გამოჩენილი სარდალი¹² იყო.

თურქეთ-ირანის მეორე ომის დროს, რომელიც დაიწყო 1578 წელს, ლალა ფაშა მრავალრიცხოვანი ლაშქართ დაიძრა ამიერკავკასიისაკენ საქართველოს გზით. 1578 წელს ჩილდირის ველზე გამართულ ბრძოლაში ლალა ფაშამ სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები და

8 იქვე, გვ. 521—522; ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 13.

9 ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 43.

10 იქვე.

11 იქვე.

12 ი ბ რ ა ვ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 98—100.

ხელთ იგდო მთელი რიგი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები სამცხეში და ქართლში, მათ შორის თბილისიც. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ყიზილბაშებისგან მიტოვებულმა დაუთ-ხანმა „მიუგზავნა კაცი ლალა ფაშას და მისცა რაოდენი ციხენი იყვნენ ქართლსა შინა; და შეაყენნა მცველნი მათნი და, და თვითონ წარვიდა სტამბოლს ხონთქართანა¹³. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის მიხედვით, ლალა ფაშას მიეწერება გორის გამაგრება და კარის („ყარსის“) აღდგენა¹⁴.

ამრიგად, არაქელ დავრიყეცის ცნობა მუსტაფა ლალა ფაშას მიერ საქართველოს ქალაქების და ციხეების აღებისა და გამაგრების შესახებ დადასტურებაა პოულობს ქართულ წყაროებში.

15. იანე ჩარი (თურქ.) — ახალი ჯარი. XVII საუკუნეში თურქეთში შეიქმნა სამხედრო კორპუსი, რომელიც ძირითადად ამიერკავკასიიდან წაყვანილი და გამაჰმადიანებულ პირებისაგან შედგებოდა. თავდაპირველად აღნიშნულმა კორპუსმა, რომელიც თურქეთის ისტორიაში იანიჩარის ანუ ახალი ჯარის სახელითაა ცნობილი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სულთნის ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. იანი ჩართან დაკავშირებულია დევშირმეს ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობდა ამიერკავკასიის ქვეყნებში, უპირატესად კი სომხეთში, 4—5 წლის ბიჭების მოკრებას და თურქეთში წაყვანას. ასეთ ბავშვებს უწინარეს ყოვლისა მაჰმადის რჯულზე მოაქცევდნენ, შემდეგ კი სათანადოდ წვრთნიდნენ, რათა მათგან სულთნისათვის თავდადებული კარგი მეომრები დამდგარიყვნენ. ასეთი მეომარ-მოლაშქრეებისგან კომპლექტდებოდა იანი ჩარი.

ჩვენს წყაროში იანი ჩარი ნახმარია ახალი ჯარის მეომრის მნიშვნელობით.

16. ჯაფარ ფაშა, მეტსახელად ხადომი — თურქი სარდალი. XVI საუკუნის დამლევეს მას თავრიზის მმართველის (ვალის) თანამდებობა ეჭირა.

17. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ჯაფარ ფაშამ ფარცხისთან ბრძოლაში სვიმონ მეფე შეიპყრო 1600 წელს. ზოგიერთი წყარო კი თურქების მიერ ქართლის მეფის შეპყრობის თარიღად 1599¹⁵, 1601 წელს ასახელებს¹⁶.

¹³ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 372.

¹⁴ იქვე, გვ. 523, 525.

¹⁵ მცირე ქრონიკები (კინკლესების ისტორიული მინაწერების), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 30, 34, 41, 48, 50; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948, გვ. 280, 281.

¹⁶ საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 286.

18. შაჰ აბასის მიერ ქართლის მეფის გიორგის მოწამულა არ დასტურდება სხვა წყაროებით. გიორგი ერეკნიდან თბილისს დაბრუნდა 1604 წელს და იცოცხლა არა „რამდენიმე დღე“, როგორც გვაუწყებს ისტორიკოსი, არამედ თითქმის სამი წელიწადი, რადგან იგი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 1606 წელს. არაქელ დავრიყეცის ეს დეტალი მოტანილი აქვს იმისათვის, რომ უფრო მუქ ფერებში დახატოს და უარყოფითად დაახასიათოს „ბოროტებაში დახელოვნებული ქვეყნის დამაქცეველი“ შაჰ აბას I.

19. გიორგი X-ის ძე, ქართლის მეფე (1606—1615). ისქანდერ მუნშის ცნობით, ლუარსაბი თოთხმეტი წლისა იყო, როდესაც ავიდა ქართლის ტახტზე¹⁷.

20. ბერი ეგნატაშვილის თანახმად, კახეთის მეფის დავით I სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ ქეთევანმა თავისი ნებით „წარგზავნა ყრმა თავისი (თეიმურაზი) შიშისათვის გიორგისა, რამეთუ ეშინოდა გიორგისგან, მაზლისა თვისისა და მისთვის გამოგზავნა ყაენთანა და თანა გამოატანა შერმაზან ჩოლოყაშვილი. და მივიდნენ შააბაზთან, და შააბაზ ვითარცა ძე ეგრეთ შეიტკბო“¹⁸. იგივეს იმეორებს „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე გაგრძელება¹⁹.

III

1. სინამდვილეში ალექსანდრემ თავისი ნებით კი არ დაუთმო მეფობა დავითს, არამედ ამ უკანასკნელმა წაართვა ალექსანდრეს ტახტი 1601 წელს და ექვსი თვის განმავლობაში იმეფა კახეთში. ბერი ეგნატაშვილი გულისწყრომით აღნიშნავს: თვთ (დავითმა) ბატონობა მისი მიუღო მამასა თვისსა და თვთ გაბატონდა. და თუესა ექუსსა იბატონა და მოველინა რისხვა ღმრთისა მამისა უსამართლოებითა და მოკულდა“¹.

2. მართალია ალექსანდრეს მეორე ვაჟი თავის ძმას ტახტს ეცილებოდა და მის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდა, მაგრამ მას არ მოუკლავს დავითი. იგი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა².

3. ისქანდერ მუნში გადმოგვცემს, რომ შაჰ აბასმა 1605 წელს გამაჰმადიანებული კონსტანტინე მირზა დანიშნა ჯერ კიდევ თურქების ხელში მყოფ შირვანის ხანად, დაავალა თურქების განდევნა და შირვანის დაპყრობა. შაჰის ბრძანებით კონსტანტინე-მირზას და-

¹⁷ ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 65.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 382.

¹⁹ იქვე, გვ. 538.

¹ იქვე, გვ. 382; იხ. აგრეთვე: ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 44.

² იქვე.

უქვემდებარეს არღებლის, არშაყის, თალიშის და „იმ ელთა და თიმახთა ყველა კაცი“. სპარსელი ისტორიკოსის ვერსიით, კონსტანტინე შირვანის ამირებთან ერთად კახეთში მივიდა არა ძმისა და მამის მოსაკლავად, როგორც ფიქრობს არაქელ დავრიყეცი, არამედ შირვანის დაპყრობისათვის საჭირო ლაშქრის შესაგროვებლად. ისქანდერ მუნში რამდენჯერმე იმეორებს, რომ კონსტანტინეს მხოლოდ შირვანის ხანობა ებოძა და არავითარი უფლება არ ჰქონდა კახეთის ტახტზეო. აქედან გამომდინარე იგი ჰკიცხავს კონსტანტინეს ალექსანდრესა და გიორგის მოკვლისათვის³. მაგრამ, უქვევლია, რომ სპარსელი ისტორიკოსი ცოდავს ისტორიული სინამდვილის წინაშე და ცდილობს ეს საზარელი დანაშაული მთლიანად კონსტანტინეს გადააბრალოს და ამით გაამართლოს შაჰ-აბასი. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს ბერი ეგნატაშვილის თხზულების ერთი ფრაგმენტიდან, სადაც შაჰ აბაზი შემდეგნაირად მიმართავს კონსტანტინეს: „დავით რომ მომკუდარა და სხვა აღარავინ დარჩომილა მამის შენის მეტი, წადი და მოკალ მამა-შენი და ძმა-შენი და კახეთიც შენ დაიჭირე“. შაჰის ბრძანება „გესლიანმა გველმა“, როგორც მას უწოდებს არაქელ დავრიყეცი, პირნათლად შეასრულა, მოკლა ალექსანდრე მეფე, უფლისწული გიორგი და მათთან ერთად ორი ქართველი დიდებულის⁴.

ამრიგად, არაქელ დავრიყეცისა და ბერი ეგნატაშვილის ცნობები ერთხვევა ერთმანეთს და ერთიმეორეს დადასტურებას წარმოადგენს. ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ისტორიულ ფაქტს ასახავენ, რადგანაც სეფიანთა ტახტის ერთგული მსახურის, კონსტანტინე-ხანის კახეთში გამეფება ხელს შეუწყობდა ირანის მიერ საქართველოს ამ ნაწილის საბოლოოდ დამორჩილებას.

4. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ქართველთა შეთქმულების სულისჩამდგმელი იყო დედოფალი ქეთევანი, რომელსაც ცოლობას თხოვდა კონსტანტინე⁵.

5. 1605 წელი.

6. თეიმურაზი — კახეთის მეფე (1606—1663). ირანში გაზრდილი თეიმურაზი შაჰ აბასს კახეთის ტახტის საიმედო კანდიდატად მიაჩნდა, მაგრამ თეიმურაზმა შაჰს უმტყუნა. იგი ირანის წინააღმდეგ დაუტყბრომელ მებრძოლად იქცა.

³ ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 41—52.

⁴ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 382—383.

⁵ იქვე, გვ. 383.

7. ალექსანდრე II, დავით I, გიორგი, კონსტანტინე. არაქელ დავრიყეცი აქ იგივე ვერსიას იმეორებს, თითქოს გიორგიმ მოკლა დავით I. (იხ. III, შენ. 2).

IV

1. იხ. II, შენ. 18.

2. ტარულა (ءارو؁ا ؁ ءارو؁ا ؁ ءارءا) — ქალაქის თავი, ქალაქის გამგებელი. სეფიანთა სახელმწიფოში ქალაქის ტარულა ინიშნებოდა პირადად შაჰის მიერ. მას ხელი მიუწვედებოდა საქალაქო ცხოვრების ყველა მხარეზე, მაგრამ ტარულას მთავარ და ძირითად მოვალეობას წარმოადგენდა ქალაქში და მის მიდამოებში წესრიგისა და სიმშვიდის დაცვა¹.

პროფ. შ. მესხიას დაკვირვებით, ტერმინი „ტარულა“ ქალაქის მოურავის აღსანიშნავად საქართველოში შემოვიდა XVI საუკუნის 70-იან წლებში და ამ მნიშვნელობით იხმარებოდა XVIII საუკუნის ნახევრამდე².

3. არაქელ დავრიყეცი ხმარობს ქართულ სიტყვას „გლესხ“ (*გლესხი*), რომელსაც უთანაბრებს სომხურ ტერმინს შინაკანს (*շինական*) — გლესი, სოფელი, მდაბიური. მაგ., გიორგი სააკაძის დის შესახებ ისტორიკოსი წერს, რომ იგი იყო „ასული გლესხისა, ერთი ვილაც შინაკანისა“ (*„გოსაო რ გლესხი ასანი შიოქ ჰინასკანსი“*)³.

4. დადიანის ქვეყანა, ე. ი. სამეგრელო.

5. ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, გიორგი სააკაძე გააფრთხილა ფარეშოთუხუცესმა ბააკა ხერხეულიძემ. რომელმაც გაუმკლავნა მას ლუარსაბის განზრახვა. ამისათვის ლუარსაბის ბრძანებით ბააკა შეიპყრეს და „დააჭრეს ცხვირ-პირი“⁴.

6. შემახას ქვეყანა — შირვანის სახანო.

7. ისფაჰანი — სპარსეთის ერავის ცენტრალური ქალაქი. 1598 წელს ისფაჰანი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად იქნა გამოცხადებული, რის შემდეგაც სწრაფი ტემპებით იწყება მისი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა. თუ დედაქალაქად გამოცხადების

¹ დაწვრილებით იხ.: კ. კუციია, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება „თაზქირათ აღ-მულუქის“ მიხედვით, ნარკვევები. მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, 1, თბილისი, 1966, გვ. 103—108.

² Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 246.

³ Արարիկ Դարժիսեցի, გვ. 109.

⁴ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 390.

წელს ისფაჰანში დაახლოებით 80 ათასი კაცი მოსახლეობდა⁵, XVII საუკუნის დამდეგისათვის მისი ოდენობა იზრდება 450 ათასამდე⁶, ხოლო იმავე საუკუნის ოცდაათიან წლებში ისფაჰანი უკვე ნახევარ მილიონ მოსახლეს ითვლიდა⁷. ისფაჰანის მოსახლეობის რაოდენობა იგივე ზრდას ხელი შეუწყო შაჰ აბასმა, რომელმაც სეფიანთა სახელმწიფოს ახალ სატახტო ქალაქში მრავალი ათასი კაცი გადმოასახლა ირანის სხვადასხვა პროვინციებიდან და ამიერკავკასიის ქვეყნებიდან. ისფაჰანის უბნებიდან განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო ახალი ჯულა, რომელშიც XVII საუკუნის შუა წლებში 60 ათასამდე სომეხი მოსახლეობდა⁸. ადამ ოლეარუსის ცნობით ისფაჰანის ერთ-ერთი უბანი — ჰასანაბადი დასახლებული იყო მდიდარი ქართველი ვაჭრებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1618 წლიდან სეფიანთა სახელმწიფოს დაცემამდე (1722) ისფაჰანის ტარულას ანუ ქალაქის თავის თანამდებობა ეჭირათ ქართველებს, უპირატესად ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლებს. ე. შარდენის ცნობით, „ქალაქ ისფაჰანის მმართველობა ყოველთვის საქართველოს გამგებლის ძის ხელში უნდა იყოს ან წარმოშობით ქართველს უნდა ეკუთვნოდეს“ (*le gouvernement de la ville d'Ispahan doit toujours être dans les mains d'un fils du gouverneur de géorgie, et né on géorgie*)⁹.

8. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, ლუარსაბის დედა „იყო ქალილიპარიტიანისა, სახელით მარიამ“¹⁰.

9. „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველ გაგრძელებაში ვკითხულობთ: „პირველ თურმე ერჩივა მოგრავს შააბაზს ყაენისთვის ესრეთ, ვითარმედ: „ქართლში ზამთარ მიდიო, ხიზანი მთაში ვერ შევაო, და რასაც გინდა იქო, და თუმცა მთაში შევიდენო, თოვლი და სიცივე ამოსწყვეტსო. და ესმინა შააბაზს სიტყვა მოურავისა...“¹¹.

10. როგორც ცნობილია, ქართლის მეფე გიორგი X-ს ლუარსაბის გარდა ორი ასულიც ჰყავდა: თინათინი და ხორეშანი. თინათინი

⁵ L. Lockhart, *The fall of the Safavi Dynasty and the afghan occupation of Persia*, Cambridge, 1958, გვ. 473.

⁶ Don Juan of Persia a shia catholic 156 (?)—1604, London, 1926, გვ. 53.

⁷ А. Ол е а р и й, Подробное описание гольштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 гг., М., 1870, стр. 718.

⁸ Պոლიսյան, Հայաստանը XIII—XVIII դարերում, Երևան, 1960, გვ. 17.

⁹ Voyages du chevalier Chardin en Perse..., Paris, 1811, ტ. V, გვ. 334.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 389.

¹¹ იქვე, გვ. 397—398.

შაჰ აბაზ I-ის მეუღლე იყო. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ირანის შაჰმა, დიდი მოუტრავის რჩევით, ლუარსაბს მეორე და, ე. ი. ზორეშანი სხოვა ცოლად მაგრან, როგორც არაქელ დავრიყეცი მოგვითხრობს, ლუარსაბმა თავისი და თეიმურაზს მიათხოვა, და შაჰს უარი შეუთვალა. ბერი ეგნატაშვილს სრულიად საპირისპირო ცნობა მოჰყავს. მისი სიტყვით შაჰ აბასმა თითონ სთხოვა ლუარსაბს ზორეშანი მიეთხოვებინა თეიმურაზისთვის და „ყენის სიტყუას ვერცა ცა ლუარსაბი გარდავიდა და მისცა დაი თვისი ზორაშან“¹².

არაქელ დავრიყეცის გადმოცემას უახლოვდება XVII საუკუნის ფრანგი ავტორის ჟ. შარდენის ცნობა, რომლის თანახმადც შაჰ აბასი მოუტრავის წაქეზებით ლუარსაბს თხოვს ცოლად მის დას — დარეჯანს (Darejan). მოგვყავს ამ ცნობის ქართული თარგმანი: „ლუარსაბზე შურისსაძიებლად მეჭრუმ (მოუტრავმა, გიორგი სააკაძემ. — კ. კ.) უფრო საიმედო საშუალება გამონახა. იგი შეეცადა შაჰ აბასისათვის ჩაენერგა ამ მთავრის დის, საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი ასულის სიყვარული, რომლის მშვენიედაც სპარსეთის ყველა პოეტის მიერ იყო შექმებული. დღესაც მღერიან სპარსეთში სიმღერებს, რომლებიც მის სიტურფეს უფრო მეტად გაუთქვეს სახელი, ვიდრე რომელიმე მის თანამედროვეს. ამ სიმღერებში ასახულია მშვენიერი რომანი ამ ქალისა და აბასისა. მისი ნათლობის სახელი დარეჯანი იყო. სპარსელი გადმოცემების მიხედვით კი მას ფეჰრუ (Pehry) ჰქვია“¹³.

თუმცა შარდენის ცნობაში ზოგიერთ შეუსაბამობას აქვს აღვლილი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამ ცნობაში ლაპარაკია ზორეშანზე, რადგანაც თინათინი შაჰ აბასს უკვე შერთული ჰყავდა ცოლად. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს იქიდანაც, რომ არაქელ დავრიყეცის გადმოცემით ლუარსაბის დას, რომელიც თეიმურაზს გაჰყავდა ცოლად, სახელად ფარი (*فارى*) ერქვა. ამრიგად, სომეხ ისტორიკოსს ზორეშანის ზედსახელი, რომელიც მას სილამაზის გამო ჰქონდა შერქმეული, მისი ნამდვილი სახელი ჰგონია. ცხადია, რომ არაქელისა და შარდენის თხზულებებში დამოწმებული ზორეშანის ზედსახელი წარმოქმნილია სპარსული სიტყვებიდან: ფარი (*فارى*) — ფერია, ტურფა, შვენიერი ან ფარირუ (*فرارى*) — ფერიის სგავსი, პირმშვენიერი. რაც შეეხება შარდენის ცნობას, რომ ლუარსაბის დას დარეჯანი ერქვაო, ეს ლაფსუსი უნდა მიეწეროს ფრანგი ავტორის არასწორ ინფორმირებას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ

¹² ქართლის ცხოვრება, II, გვ. 385.

¹³ Chardin. II, გვ. 52.

მოტანილ ცნობაში შარდენი ამახინჯებს ტერმინ „მოურავს“, რომელსაც იგი „მეპრუს“ (Mehry) ფორმით ხმარობს.

11. სპარსულ, სომხურ და თურქულ წყაროებში იმერეთს ჩვეულებრივად ბაშიაჩუყი ეწოდება.

12. იხ. IV, შენ. 8.

13. იმერეთში გადახვეწილ ლუარსაბს და თეიმურაზს მასპინძლობას უწევდა იმერეთის მეფე გიორგი III (1605—1639).

14. შაჰისევენი — შაჰის მეგობარი. ასე ეწოდებოდათ იმ მეომარებს, რომლებიდანაც აბას I-ის დროს კომპლექტდებოდა შაჰის პირადი გვარდია. ზოგიერთ წყაროს თანახმად შაჰისევენი ეწოდებოდათ იმ პირებს, რომლებიც თავისი ნებით ირიცხებოდნენ შაჰის სამსახურში¹⁴.

15. შაჰ აბასი თავისი ლაშქრით გორის სანახებში დაბანაკდა.

16. ისქანდერ მუნშის მიხედვით, ლუარსაბთან და თეიმურაზთან მოციქულობა თავისი ნებით იკისრა აზერბაიჯანის ვეზირმა ხოჯა მოჰამედ-რეზამ. აკად. ბ. დორნის აზრით, სარუ-ხოჯა მოჰამედ-რეზას ზედსახელია.

17. ბერი ეგნატაშვილის ცნობით¹⁵, შაჰ აბასი წერილს უგზავნის იმერეთის მეფეს გიორგის, რომელსაც „უთელის“ „მომეც ეგვე ორნივე მეფენი“-ო. ამაზე გიორგი მეფე პასუხობს: „ამათი მიცემა ჩემგან არ იქნებისო, და ხელმწიფემან ამდენი წყალობა გვეყოს და დაგვღვას პატივი, რომ ესენი ისევ შეირიგოს და თვითონ წაბ[რ]-ძანდეს და დაანებოს ამათ ამათი მამული და საბატონო“¹⁶.

18. „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტის თანახმად, ლუარსაბის შაჰთან მიყვანა იკისრა მისმა გამზრდელმა და სუფრაჯმა შადიმან ბარათაშვილმა¹⁷.

19. ისქანდერ მუნში უფრო სარწმუნო ცნობას გადმოგვცემს ლუარსაბის შაჰთან გამოცხადების თაობაზე. მისი სიტყვით შაჰ აბასმა ლუარსაბს იმერეთში მოციქულები გაუგზავნა, რომელთაც დააბარეს ქართლის მეფისთვის შეეტყობინებინათ, „რომ თუ ლუარსაბი დაიჟინებს ურჩობას და არ წამოვა სასწრაფოდ შაჰის კარზე, გიორგი-ხანის (იმერეთის მეფე გიორგი III, — კ. კ.) შვილისთვის აღეთქვა მთელი ქართლის მმართველობა“¹⁸. მხოლოდ ასეთი დამუქრების შემ-

¹⁴ История Ирана с древнейших времен до конца XVIII века. Л., 1958, гл. 273—274.

¹⁵ ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 83.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 393.

¹⁷ იქვე, გვ. 394.

¹⁸ ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 90—91.

დევ დატოვა ლუარსაბმა იმერეთი და შაჰს გორში ეახლა 1614 წლის 17 ოქტომბერს¹⁹.

20. იხ. II, შენ. 17.

21. სვიმონ I სიკვდილის თარიღის თაობაზე უთანხმოებია წყაროებში. მაგ., ერთ-ერთ ქართულ ქრონიკაში ნათქვამია: „ქსა: სპზ: (1599): მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მას შინა მყოფნი ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლასა შინა მეფესა თულაშვილმა. დაიჭირეს თათართ მეფე სვიმონ და სტამბულს ხანქართან გააგზავნეს. იედიყულაში დაატყვევეს, სამი წელიწადი იქ იყო, გამოიყვანეს და ათ მეიდანზე თავი გაავდებინეს“²⁰. ამრიგად, მოტანილი ცნობიდან ირკვევა, რომ სვიმონ მეფე სიკვდილით დაუსჯიათ 1601/2 წელს.

ამ ცნობას არ ეთანხმება XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი გრიგორ კამახეცი-დარანაღცის გადმოცემა, რომლის თანახმადაც სვიმონ მეფე იედი ყულეში ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 1608 წელს²¹. ზოგიერთი ევროპული წყაროს მიხედვით კი სვიმონი ცოცხალი იყო ჯერ კიდევ 1609 წელს²².

22. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის თანახმად, სვიმონ მეფის ნეშტი სტამბოლიდან თბილისს ჩამოასვენა და „მოართუა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დარეჯანს“ გორელმა ვაჭარმა ვინმე დიაკენიშვილმა²³.

23. სინამდვილეში სვიმონ მეფის ნეშტი მცხეთაში დაკრძალეს.

24. 1616 წელს მეორედ ახორების შემდეგ შაჰ აბასმა კახეთის სამეფო ორად გაპყო: მდინარე იორის აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი განჯის-ხანს ფეიქარ-ხან იგირში დორთს მისცა სამმართველოდ, ხოლო დასავლეთით მდებარე ნაწილი ქართლის მეფე ბაგრატ VII-ს (1615—1619) ჩააბარა²⁴.

25. არაქელ დავრიყეცის მონათხრობიდან ისე გამოდის, რომ თითქოს შაჰ აბასმა ერთხელ ილაშქრა კახეთში, დაარბია იგი და ტყვეები ირანში წაასხა. ამრიგად, სომეხი ისტორიკოსი 1614 და 1616

¹⁹ იქვე, გვ. 91.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 281—282.

²¹ Стамбулская хроника в Фехри-и-Карахачеки Кавказские войны, Тифлис, 1915, гв. 31.

²² მ. სვანიძე, სიმონ I-ის ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთ თარიღის დაზუსტებისათვის, საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, ტ. I, თბილისი, 1970.

²³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 537.

²⁴ საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1958, გვ. 292.

წლების შაპ-აბასის ლაშქრობას აერთიანებს და ერთ ისტორიულ ფაქტად თვლის, რაც რასაკვირველია არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს.

26. ყაზვინი — ირანის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი. 1598 წლამდე ყაზვინი წარმოადგენდა სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქს.

27. ფაჰრაბადი ანუ ფარაჰაბადი — ირანის ჩრდილოეთით მდებარე ოლქის მაზანდარანის ქალაქი. ფარაჰაბადი, ისევე როგორც მაზანდარანის მეორე მცირე ქალაქი აშრაფი შაპ აბასის მიერაა დაარსებული²⁵.

28. ისქანდერ მუნშის გადმოცემითაც 1614 წელს შაპ აბასმა კახეთიდან წაყვანილი ტყვეები მაზანდარანში, კონკრეტულად კი ფარაჰაბადის ოლქში დაასახლა²⁶.

29. 1658 წელი.

30. შირაზი — ფარსის ცენტრალური ქალაქი. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, შაპ აბასმა ლუარსაბი გულაბყალას ციხეში ჩააგდო²⁷.

31. სეფიანთა სახელმწიფოში რამდენჯერმე სცადეს ისფაჰანის მდინარე ზაენდე რუდთან შეერთებინათ მდინარე აბიქურენი, რომელიც ქალაქს ჩაუდიობდა. პირველი ცდა გაკეთდა შაპ თამაზის დროს, მაგრამ დიდი ხარჯების გამო სამუშაოები მალე შეჩერებულ იქნა. სამუშაოები განახლდა შაპ აბას I-ის ბრძანებით. მაგრამ მიუხედავად დახარჯული თანხის დიდი რაოდენობისა, მიზანი ამკერადაც მიუღწეველი დარჩა და სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქი კვლავ წყლის ნაკლებობას განიცდიდა²⁸.

32. ბერი ეგნატაშვილის ვერსიით, შაპ აბასის ბრძანებით ლუარსაბი მოაშთეს გულაბყალას ციხეში²⁹.

V

1. თეიმურაზმა შაპ აბასს მძევლებად გაუგზავნა უფლისწულები ალექსანდრე და ლევანი. „გამოასაჭურისნა ორნივე და ამყოფა თვსთა

²⁵ В. В. Бартольд. Историко-географический обзор Ирана, СПб, 1903, გვ. 161.

²⁶ ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 94.

²⁷ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 309.

²⁸ კ. კუცი ა, სეფიანთა ირანის ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბილისი, 1966, გვ. 99.

²⁹ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 399.

თანა. ერთი ძმა შეიშალა, ლევან, და ისრე იარებოდა შეშლილი, და მეორე ალექსანდრე, მოკუდა¹.

2. აშოთან მუხრან-ბატონის ასული, კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე — დედოფალი ქეთევანი.

3. იმამყული-ხანი სახელგანთქმული ირანელი სარდლის, წარმოშობით ქართველის ალაპვერდი-ხან უნდილაძის ძე. ალაპვერდი-ხანი გარდაიცვალა 1614 წელს. იმავე წელს იმამყული-ხანმა მიიღო ფარსის, ქუჭ-ვილუეს, ბაპრეინის და ჯორუნის კუნძულების ბეგლარ-ბეგობა. მანამდე იგი მართავდა ქალაქ ლარს².

იმამყული-ხანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სეფიანთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგ., 1622 წელს იმამყული-ხანის მეთაურობით, სპარსეთის ლაშქარმა ინგლისის ფლოტის დახმარებით კუნძულ ჯორუნიდან (ორმუზიდან) განდევნა პორტუგალიელები. ამის შედეგად ნავსადგური და საეკპრო ოპერაციები კუნძულიდან ხმელეთზე იქნა გადატანილი. ახალ ქალაქს ბენდერაბასი (ახალის ნავსადგური) ეწოდა.

იმამყული-ხანი სიკვდილით დასჯილი იქნა 1631 წელს შაჰ სეფის/ (1629—1642) მიერ. ამის მიზეზი იყო იმამყული-ხანის ძმის დაუდ-ხან უნდილაძის პოლიტიკური კავშირი ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-თან. 1631 წელს განჯა-ყარაბაღი დაარბია ქართველთა ლაშქარმა. ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „განჯა-ყარაბაღის დარბევა და აოხრება, დაუდ ხანის წაყვანა ყველა შაჰ სეფი ყაენს მოახსენეს. განრისხდა და იმან ყული ხან დაუდ ხანის ძმა შირაზის ბატონი თავისის შვილებით მოასხმევინა და ზოგი დახოცა. ზოგს თვალები დაწვა“³.

ანალოგიური ცნობაა დამოწმებული კარმელიტების ქრონიკაში. აქაც იმამყული-ხანის სიკვდილით დასჯის მიზეზად დასახელებულია დაუდ-ხანის და თეიმურაზ I-ის აჯანყება. აღნიშნული ცნობის ავტორის თანახმად, „იმამყული-ხანთან ერთად სიკვდილით დასაჯეს მისი 15 შვილი“ (he was there put to death and 15 of his children killed)⁴ იმამყული-ხანისა და მისი შვილების სიკვდილით ირანში სრულიად აღმოიფხვრა უნდილანთ ფეოდალური გვარი.

4. იმამყული-ხანი.

¹ იქვე, გვ. 401.

² გვ. 871. ، تاریخ عالم آرای عباسی

³ ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. 11, თბილისი, 1925, გვ. 238.

⁴ A Chronicle of the Carmelits in Persia and the Papal mission of the XVII-th and XVIII-th Centuries, London, 1939, გვ. 313.

5. თეიმურაზის პოემის „წამება ქეთევან დედოფლისას“ მიხედვითაც იმამყული-ხანი დიდი მოწიწებით ეპყრობოდა კახეთის დედოფალს და ცდილობდა როგორმე ეშველა მისთვის⁵. იგივეა ნათქვამი ბერი ეგნატაშვილის თხზულებაში⁶.

6. შდრ.; თეიმურაზ I „წამება ქეთევან დედოფლისას“, გვ. 135; ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 402.

7. 1625.

VI

1. 1572 წელი.

2. ატროპატაკანი — სამხრეთ აზერბაიჯანი.

3. დაჰმანი — შაჰ თამაზ I, სეფიანთა დინასტიის მეორე შაჰი (1524—1576).

4. 1575 წელი. სინამდვილეში შაჰ თამაზ I გარდაიცვალა 1576 წელს.

5. სინამდვილეში შაჰ თამაზმა 52 წელი იმეფა.

6. ისმაილ II (1576—1577). შაჰ თამაზის სიცოცხლის დროს დატუსაღებული იყო ალამუთის ციხეში, რომელიც მდებარეობდა ელბრუსის მთებში, ყაზვინის მახლობლად. ტექსტში დამოწმებული ყალა (*ყლყ*) არაბული წარმოშობის სიტყვაა (*الق*) და ნიშნავს ციხეს, სიმაგრეს.

7. იხ. II, შენ. 7.

8. შაჰ მოჰამედ-ხოდაბანდე (დგთის მონა) (1577—1587). იხ. II, შენ. 8.

9. მურად III (1574—1595).

10. იხ. II, შენ. 14.

11. ოსმალეთში.

12. ფაიტაკარანი — სიტყვა-სიტყვით „ხით ნაშენს“ ნიშნავს. ასეთი სახელწოდებით მოიხსენიება ხშირად თბილისი სომხურ წყაროებში.

13. სვიმონ I, ქართლის მეფე (1558—1600).

14. ყიზილბაშებმა სვიმონ მეფე შეიპყრეს 1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში.

15. ალანეთი — ოსეთი.

⁵ თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, ტფილისი, 1934, გვ. 129—130.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 401.

16. დამურღაფუ — თურქ. დამურ-კაფუ (რკინის კარი), იგივე დარბანდი (სპ.), დარუბანდი (ქართ), ბაბ-ალ-აბვაბ (ბჭეთაბჭე) და ბაბ-ალ-ჰადიდ (რკინის კარი) (არაბ.), ჩორ (სომხ.), კახულგა (მონღ.)⁷.

17. სინამდვილეში მუსტაფა ლალა-ფაშა ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა 1580 წელს⁸.

18. 1579 წელი.

19. აღვანთა ქვეყანა — იგულისხმება ჩრდილოეთ აზერბაიჯანი.

20. ოსმანი — თურქი მთავარსარდალი, რომელმაც ირან-თურქეთის მეორე ომის დროს (1578—1590) „ოსმალთა სახელმწიფოს გაუწია უდიდესი სამსახური და ძლიერ გაითქვა სახელი“⁹.

21. ყაითალის ტომი ბინადრობდა სამხრეთ დაღესტანის ტერიტორიაზე ყაითალთა სამფლობელო არსებობდა XVI—XIX საუკუნეებში¹⁰.

22. ტანუტერი (სომხ.) — სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მამასახლისს“.

23. შესაბამისად 1579 და 1580 წლები.

24. 1583 წელი.

25. 1583 წელი.

26. 1585 წელი.

27. ბიზანტია — იგულისხმება თურქეთი.

28. თავრიზი — სამხრეთ ანუ ირანის აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქი, 1548 წლამდე იგი სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქად ითვლებოდა. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით თავრიზი XVI—XVII საუკუნეების თითქმის მთელი მანძილზე ირანის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. XVII საუკუნის შუა წლებში მისი მოსახლეობის ოდენობა 300,000 კაცს აღწევდა.

29. ყიზილბაში (თურქ. kızılbaş) — სიტყვასიტყვით „წითელთავიანი“. სწორედ ყიზილბაშური ტომების (ჟსთაჯლუ, რუმლუ, თეკელუ, ზულკადარი, შამლუ, ავშარი, ყაჯარი) აქტიური მხარდაჭერით მოახერხეს სეფიანებმა ირანში გაბატონება. ყიზილბაშები ისლამის შიიტურ მიმართულებას აღიარებდნენ. მათი თორმეტი ნაკეცისაგან შემდგარი თავსაბურავი, რაც სიმბოლურად თორმეტი იმამს აღნიშნავდა, წითელი ფერისა იყო. აქედან გაჩნდა მათი სახელიც — ყიზილბაში¹¹.

7 ი ბ რ ა კ ი მ ფ ე ჩ ე ვ ი... სერგი ჭიქიას კომენტარი, გვ. 109.

8 ი ქ ე მ, გვ. 99.

9 ი ქ ე მ, გვ. 113.

¹⁰ СИЭ, т. 6, М., 1965, გვ. 833.

¹¹ ვ. გაბაშვილი, სეფიანთა სახელმწიფო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957, გვ. 236.

30. წარა *ბარაჯ* — სიტყვასიტყვით ნიშნავს „მსახურს, მონას, დაქირაებულს“.

31. იხ. II, შენ. 16.

32. სევ აიგი (სომხ. *Սևա ալի*) — შავი ბალი, ყარაბაღის (თურქ. „შავი ბალი“) — სომხური სახელწოდებაა.

33. ოვჰანეს წარეცი სწორედ გადმოგვცემს ტახტის მემკვიდრის, შაჰ მოჰამედ-ხოდაბანდეს ძის მკვლელობის მიზეზს. მართლაც, ყიზილ-ბაშური ტომების სამხედრო არისტოკრატია შიშით უყურებდა ჰკვიანი და ენერგიული უფლისწულის ცდებს, რომელიც მიზნად ისახავდა ირანის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას და მათი თვითნებობის აღაგმვას. ამიტომ მათი წაქეზებით იგი მოკლული იქნა ერთ-ერთი კარის მოხელის მიერ¹².

34. შაჰ აბას I (1587—1629).

35. შაჰ აბასმა გილანის პროვინცია დაიმორჩილა 1592 წელს¹³.

36. ბალხი და ბუხარა — შუა აზიის ქალაქები.

37. ჰერათი — ირანის აღმოსავლური პროვინციის, ხორასნის ცენტრალური ქალაქი.

38. ქალაქი არდებილი სეფიანთა დომენს წარმოადგენდა. აქაა დასაფლავებული სუფიურ-დერვიშული ორდენის დამფუძნებელი შეიხი სეფი ედ-დინ ისჰაკი (1252—1314), რომელიც იმავე დროს სეფიანთა ფეოდალური სამთავროს დამაარსებლად ითვლება. არდებილი წარმოადგენს შიიტების ერთ-ერთ წმიდა ქალაქს, რომელიც მრავალ მლოცველს იზიდავს.

39. 1588 წელი.

40. 1585—1588 წლებში თურქებმა ხელახლად დაიპყრეს თითქმის მთელი აზერბაიჯანი როგორც სამხრეთი, ისე ჩრდილოეთი. ქვეყანა გაპარტახებულ იქნა. ისქანდერ მუნშის ცნობით, აზერბაიჯანში საშინელმა შიმშილმა იფეთქა, რომელმაც ათასობით ლარიზ-ლატაკი იმსხვერპლა¹⁴.

41. კეისარი, ე. ი. თურქეთის სულთანი, კონკრეტულად მურად III (1574—1595).

42. ირანსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო 1590 წელს ქალაქ სტამბოლში. სეფიანთა სახელმწიფო იძულებული იყო ოსმალეთისათვის დაეთმო აღმ. საქართველო, აღმ. სომხეთი, ქუთთისტანი, მთელი

¹² И. П. Петрушеский, Азербайджан в XVI—XVII веках, ССИА, I Баку, 1949, гл. 273.

¹³ История Ирана с древнейших времен до конца XVII века, стр. 272.

¹⁴ И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках, стр. 273.

ჩრდ. და სამხრ. აზერბაიჯანი (თალიშისა და არდებელის გამოკლებით) და აგრეთვე ლურისტანის ნაწილი.

43. 1595 წელი.

44. მეჰმედ III (1595—1603).

45. ფრანგები, ე. ი. ევროპელები.

46. 1600 წელი.

47. გორის ციხე სვიმონ 1-მა თურქებისაგან გაათავისუფლა 1599 ან 1600 წელს.

48. სვიმონ მეფე ოსმალებმა შეიპყრეს 1600 წელს ფარცხისთან ბრძოლაში.

49. ივულისხმება სტამბოლი ანუ კონსტანტინოპოლი.

50. კარნუ ქალაქი — იგივე კარინი, თეოდოსიოპოლი.

51. იაზიჯი (თურქ. yazıcı) — მწერალი, მდივანი, მოხელე.

VII

1. ივ. ჯავახიშვილის აზრით ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება მოხდა 607 წელს.

2. დავით IV აღმაშენებელმა (1089—1125) 1122 წელს თბილისი თურქ-სელჩუკებისაგან გაანთავისუფლა.

3. სინამდვილეში, დავით IV 1125 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა.

4. დემეტრე I (1125—1155).

5. სინამდვილეში, დემეტრე I უფროსმა ძემ დავითმა (V) მამამისს 1155 წელს წაართვა ტახტი, ერთი წელი იმეფა და გარდაიცვალა.

6. 1156 წელს დემეტრე 1-მა ტახტზე აიყვანა თავისი უმცროსი ძე გიორგი (III) (1156—1184). 1161 წელს გიორგი III თურქ-სელჩუკებისაგან გაანთავისუფლა ანისი და მის მმართველად ივანე ორბელი დანიშნა.

7. დავით VI ნარინი რუსუდანისძე (1245—1293). უამთააღმწერელი გადმოგვცემს: „ხოლო მოწევნულ არს ესეცა სიტყუა. რომელი სხუა ვინმე ყოველთააღმწერელი იტყვის, ვითარმედ: „ყარაყორუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა, გუ[ჯუქ] ყანმან ესრეთ გაბჭო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით გაიპარა და წარვიდა აფხაზეთს და მე არა შევიწყნარებ ამას“¹.

8. ალინჯა — ციხე ნახჭევანის ოლქში.

9. ქართლის მეფე გიორგი VII (1393—1407).

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 226.

10. თემურ-ლენგის მეოთხე ლაშქრობა საქართველოში.
11. სინამდვილეში თემურ-ლენგი 1405 წელს გარდაიცვალა.
12. ჯაჰანშაჰი შავ-ბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს ტახტზე 1435—1467 წლებში იჯდა. ამიტომ იგი საქართველოში ვერ ილაშქრებდა 1429 წელს. აქ აშკარა შეცდომაა. როგორც ჩანს, 1429 წლის ნაცვლად უნდა იყოს 1439 წელი (იხ. *სიასქლ ჯაჰრქიხეჩი*, გვ. 629).
13. შაჰრუხი (1405—1447) თემურ-ლენგის ძე და შემეკვიდრე. ხორასნის სულთანი.
14. უნდა იგულისხმებოდეს საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის (1412—1443) ძე დიმიტრი.
15. იხ., VII, შენ. 12.
16. ჰასან-ბეგი ანუ უზუნ-ჰასანი (გრძელი ჰასანი) თერთბატკნიან სახელმწიფოს ფადიშაჰი (1453—1478) ცნობილი სპარსელი ისტორიკოსის ჰასან-ბეგ რუმელუს სიტყვით, უზუნ-ჰასანმა საქართველოზე გაილაშქრა 1476/7 წელს, „მან დაიპყრო საქართველო, მრავალი ტყვე წამოიყვანა და სეიდებსა და შეიხებს ყველას წილი არგუნა“².
17. როგორც ცნობილია, შაჰ თამაზ I-მა (1524—1576) საქართველო ოთხჯერ დალაშქრა (1541—1554). არაქელ დავრიყეცის აქ მოხსენებული აქვს შაჰ-თამაზის პირველი ლაშქრობა, რომელსაც ჰასან რუმელუ 1540/1 წლით ათარიღებს³.
18. ფარცხისთან ბრძოლაში სვიმონ I სპარსელებმა დაატყვევეს 1569 წელს.
19. შაჰ აბასის პირველ შემოსევას საქართველოში ადგილი ჰქონდა 1614 წელს.
20. მარტყოფის ბრძოლა, 1625 წლის 25 მარტი.
21. მეშქედის მმართველი ყარჩილა-ხანი წარმოშობით სომეხი იყო⁴.
22. მარაბდის ბრძოლა, 1625 წლის ივლისი.
23. 1628 წელს ხოსრო-ფაშამ, რომელსაც ახლად მიღებული ჰქონდა დიდი ვეზირის თანამდებობა, მართლაც დაიპყრო არზრუმინ⁵.
24. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, თეიმურაზ I-ის ძე დაიღუპა ქართლის მეფე როსტომსა (1632—1658) და თეიმურაზს შორის თია-

² ჰასან რუმელუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ, შენიშვნები დაუთმო რევაზ კიკნაძემ, თბილისი, 1966, გვ. 17.

³ იქვე, გვ. 22—23.

⁴ კ. კუციია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, ვ. გაბაშვილის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 74.

⁵ იბრაჰიმ ფეჩევი, გვ. 87.

ნეთში, უღლისთან გამართულ ბრძოლაში; „ხოლო როსტომ მეფემან დაიპყრა სრულიად კახეთი და პატრონობდა ქართლსა და კახეთსა, გაუგზავნა თავი დათუნასი ყენსა და მიულოცა გამარჯვება და არლარა ჰქონდა ფიქრი როსტომ მეფესა, იშუებდა, ლხინობდა“⁶.

25. იგულისხმება სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611—1657).

26. ყარაღალხანი — არაგვის საერისთავო.

27. იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639—1661).

28. ბაგრატი 1661 წელს იმეფა ექვსი თვე.

29. ბაგრატი დააბრმავა მისმა დედინაცვალმა, ალექსანდრე III-ის მეორე ცოლმა, თეიმურაზ I-ის ასულმა დარეჯანმა.

30. შაჰ აბას II (1642—1666).

31. ვახტანგ V (1658—1675).

32. თეიმურაზ I ასტრახადში გარდაიცვალა 1663 წელს.

33. იხ. VII, შენ. 32.

⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 426—427; იხ. აგრეთვე: ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, თბილისი, 1913, გვ. 122—123.

შინაარსი

შესავალი	5
I ქალაქების განჯისა და შემახას ალების შესახებ	9
II იმის შესახებ თუ რა მიზეზით დაიბარა შაჰ აბასმა ქართველი მეფეები და როგორ მოატყუა ისინი	12
III მეორე მოთხრობა შაჰ აბასის ლალატის შესახებ, რომელიც კიდევ ერთხელ გამოიჩინა ქართველთა მეფის მიმართ	14
IV მოთხრობა და მიზეზი ქართველთა ქვეყნის აოხრებისა და მათი მეფის ლუ- არსაბის სიკვდილი, რაც შაბაზ პირველის ხელით მოხდა	16
V მოთხრობა კახეთის თეიმურაზის წამებისა იმავე შაჰ აბაზის მიერ	41
VI აღვანთა ქვეყნის ისტორია შედგენილი ვარდაპეტ ოვჰანეს წარცის მიერ	44
VII ქრონოლოგია	54
კომენტარები	57

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. ჯ ა ნ ა შ ი ა
გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ქ ა ვ ა
ტექნიკური რედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 13.12.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.11.74;
ქალაქის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 5.0 სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 4.29; უე 00840 ტირაჟი 700; შეკვეთა 3103
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19